ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს სკოლა პოლიგლოტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:

გულნარა ხაბურზანია-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრ(ებ)ი:

- ფიქრია მახარაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
- ხათუნა ნოზაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- მიმოზა ღოლიჯაშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- ნინო ლაცაბიძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
- ნინო როსტომაშვილი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
- სალომე გოგალაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
- ნიკოლოზ ჩუბინიძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
- ხათუა გერგაია-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
- ალექსანდრე ჩახნაშვილი-სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
- ქეთევან ცირეკიძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს სკოლა პოლიგლოტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	200160798

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	გუდამაყრის ქუჩა N4
საფოსტო ინდექსი	0178
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://www.polygloti.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	school_polygloti@yahoo.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	032 2 600 221 032 2 144 145 (+995) 599 572 559

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 31ივლისის MES 7 25 0000936115 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2025 წლის 26 და 27 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი გუდამაყრის ქუჩა N4; შენობა N01/3 შენობა N02/3
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი გუდამაყრის ქუჩა N4; შენობა N01/3 შენობა N02/3
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი გუდამაყრის ქუჩა N4; შენობა N01/3 შენობა N02/3

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 31 ივლისის MES 7 25 0000936115 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განვახორციელეთ ვიზიტი შპს სკოლა პოლიგლოტში მის. ქ. თბილისი გუდამაყრის ქუჩა N4 ა.წ . 26 და 27 აგვისტოს. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N№99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან.

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ერთ მისამართზე მდებარე ორივე შენობის ინფრასტრუქტურა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დამატებითი იქნა გამოთხოვილი გარკვეული დოკუმენტაცია.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნობრივი მიმართულების მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. სკოლის პერსონალი ორიენტირებულია განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებზე და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
350	**304**	***460***

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების*

<table>
<tr><td rowspan="3">მოსწავლეთა
რაოდენობა:
460</td><td>ჯგუფი
ეთანხმება
☐</td><td>განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td rowspan="2">ექსპერტთა
ჯგუფი არ
ეთანხმება
☒</td><td rowspan="2">სკოლის მატერიალური რესურსი იძლევა შესაძლებლობას მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა 350-დან გაიზარდოს 440-მდე. არსებული ფართი და მატერიალური რესურსი: 24 საკლასო ოთახი, ინვენტარი (მერხი, სკამი) საკმარისია მოსწავლეთა ამ რაოდენობისთვის. თუმცა ადამიანური რესურსის შესაბამისობისთვის აუცილებელია სკოლამ დამატებით აიყვანოს საჭირო რაოდენობის პერსონალი (მასწავლებელი), რამდენადაც ვიზიტის პერიოდში საათობრივი ბადით გათვალისწინებული სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა 7 მოწვეული მასწავლებლის ჩართულობით, რომელთაგან ყველას 12-დან 18 საათამდე ჰქონდა დატვირთვა. კანონთან შესაბამისობის თვალსაზრისით, აუცილებელია საჭირო ადამიანური რესურსისთვის კონკურსის გამოცხადება ვაკანტურ ადგილებზე.</td></tr>
</table>

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	*უცხოური ენები* *დაწყებითი საფეხური* *ინგლისური ენის სწავლებისთვის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო გეგმით დაწყებით საფეხურზე (მე-2-დან მე-6 კლასის ჩათვლით) კლასებში) სწავლა განხორციელდა არაგრიფირებული სახელმძღვანელოთი. ასევე 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის პროექტითაც დასტურდება, რომ სკოლა არ იყენებს 2022 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული დოკუმენტით განსაზღვრულ სახელმძღვანელოებს (N 4-40), რაც ეწინააღმდეგება რეგულაციებს არაგრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყენების შესახებ.*

		*აუცილებელია, **დაცულ იქნას სახელმძღვანელოს შეთანხმების წესი.***
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	*მონიტორინგის ჯგუფის განსაზღვრისას სკოლამ იხელმძღვანელოს შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტით/ებით განსაზღვრული რეგულაციებით ჯგუფის წევრების დანიშვნასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მონიტორინგის განხორციელებისას დაცულ იქნას ბრძანებით განსაზღვრული ჯგუფის წევრების ჩართულობა ისე, რომ არ იყოს შეუსაბამობები თავად სკოლის მიერ შემუშავებულ რეგულაციებთან მიმართებაში.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.6.	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.	*სასურველია მარეგულირებელ დოკუმენტებში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს წარმატებული გამოცდილების გაზიარების მექანიზმები, კერძოდ როდის და რა ფორმით ხდება წარმატებული გამოცდილების აღიარება, რამდენად არის ეს ცნობილი სასკოლო საზოგადოებისთვის და ა.შ.*
ინდიკატორი N3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	*სასურველია სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტში გაიწეროს მკაფიო კრიტერიუმები, რის მიხედვითაც უფრო გამჭირვალე გახდება თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება და ამის საფუძველზე გამოკვეთილი პროფესიული საჭიროების იდენტიფიცირება*
ინდიკატორი N3.3.1.2.	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული	*სასურველია უფრო დეტალურად იქნას აღწერილი ყველა დამხმარე, მმართველობითი და ძირითადი პროცესები ერთიან დოკუმენტში.*

	მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	
ინდიკატორი N3.3.1.3.	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა	*სასურველია შინაგანაწესში (მუხლი 24) საჩივრით მიმართვის ადრესატი იყოს ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრულია სკოლის ორგანიგრამით, კერძოდ, სკოლას არ ჰყავს ,,შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი <u>დირექტორი/დირექტორატი". სკოლას ჰყავს დირექტორი.</u>*
ინდიკატორი N3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	*საკადრო კონკურსის ჩატარების წესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის შესაბამისად, ექიმმა განახორციელოს წლის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის ანალიზი (სამედიცინო შემთხვევების რაოდენობა და ტიპები, პერიოდული სამედიცინო შემოწმებით გამოვლენილი განვითარების დარღვევები, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ.) და მოამზადოს საჭირო წინადადებები და რეკომენდაციები სკოლის ხელმძღვანელობისათვის წარსადგენად.*
ინდიკატორი N3.6.3.1.	სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას	*სასურველია, რომ სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში (მშობელთა ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია) უფრო მკაფიოდ განისაზღვროს: ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის მართვის პრინციპები; საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირების წესი და ა.შ. საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგად მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების მეთოდები მაგ: უსაფუძვლო კრიტიკის დროს და ა.შ. სასურველია, მკაფიოდ განისაზღვროს სკოლის საკომუნიკაციო საშუალებების მართვის ფორმები.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N.4.1.1.	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი	*მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში გაიწეროს კანონმდებლობით გათვალისწინებული (,,ზოგადი განათლების შესახებ" მუხლი 33. 2.*

	გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება	*კერძო სკოლის უფლება-მოვალეობები მოსწავლის მიმართ) პუნქტი ფინანსური დავალიანების შემთხვევაში მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებით.*
ინდიკატორი N4.1.2.2.	სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს	*შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ მოსწავლის პირად საქმეში შეტანილი იქნას ინფორმაცია საფეხურების მიხედვით მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობისა და მის მიმართ გამოყენებული წახალისების ფორმების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს N113/ნ გრძანების ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის'' შესაბამისად.*
ინდიკატორი N4.2.1.5.	სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;	*სასურველია არაფორმალური განათლების მენეჯერის სამოქმედო გეგმაში და ანგარიშში ასახული იყოს უფრო მრავალფეროვანი აქტივობები და არ მოიცავდეს მხოლოდ ციფრული ტექნოლოგიების, ციფრული აზროვნების უნარების განვითარების მიმართულებებს.*
ინდიკატორი N4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	*სასურველია სკოლამ კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ჩაატაროს მოსწავლეების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში, გამოკითხვის შედეგები, უკუკავშირი სკოლას მისცემს შესაძლებლობას კიდევ უფრო ეფექტურად დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები.*
ინდიკატორი N4.2.3.2.	სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა	*სკოლას მიეცა რჩევა: შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ სრულფასოვნად იქნას შევსებული ისგ.ფორმა. ისგ.ჯგუფის მუშაობა ნამდვილად დასტურდებოდა წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და*

	და თანამშრომლობის პრინციპებს.	*მასწავლებელთან გასაუბრებით, თუმცა მნიშვნელოვანია ისგ. ფორმა სრულად იძლეოდეს ინფორმაციას შესაბამისი პუნქტების მიხედვით. მაგ: რა საგნებში საჭიროებს მოსწავლე ინდ.გეგმას, როდის ჩატარდა ისგ. ჯგუფის შეხვედრები და ა.შ.*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *<u>დაწყებითი საფეხური</u>*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	*<u>საზოგადოებრივი მეცნიერება:</u>* *სასურველია კურიკულუმში ყველა თემასთან მიმართებით გათვალისწინებული იყოს შემოქმედებითი ტიპის დავალება, რომელიც მიზნობრივად იქნება დაკავშირებული თემასთან, იქნება რეალისტური და განხორციელებადი. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გაითვალისწინონ მრავალფეროვანი და დიფერენცირებული მიდგომა (სამივე საფეხური - ყველა საგანი). სასურველია სასწავლო წლის ბოლოს შეიქმნას დოკუმენტირებული ანგარიში კურიკულუმის ეფექტურობისა და მიღწეული შედეგების შესახებ, რაც დაეხმარება მომავალ დაგეგმვას და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.* *<u>უცხოური ენები:</u>* ***ინგლისური ენის დაწყებით საფეხურზე** შუალედური მიზანი ან არ არის გათვალისწინებული, ან მხოლოდ ერთია, რაც არ არის საკმარისი მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.* ***ფრანგული ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებშიც**. მაგ: მეოთხე კლასის კურიკულუმში შუალედური მიზნის მისაღწევი დავალების პირობაა: "ჩემი ტანსაცმელი" – აღწერე ტანსაცმელი, რომელსაც ატარებ სკოლაში და სკოლის გარეთ, დღესასწაულებზე". თუმცა, არ არის მითითებული, რა ტიპის შემოქმედებითი პროდუქტი უნდა იყოს ეს (პრეზენტაცია, პოსტერი, ესე, დიალოგი, ვიდეო და ა.შ.). სკოლას მიეცა რჩევა **კონკრეტულად მიუთითოს თითოეული შუალედური მიზნისთვის მოსალოდნელი შემოქმედებითი***

		პროდუქტის ტიპები.*მაგ: პოსტერი, პრეზენტაცია და ა.შ.* ***<u>მათემატიკა</u>*** *მე-5 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემები და სამიზნე ცნებები განისაზღვროს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის შესაბამისად.*
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *სასურველია, სკოლამ კათედრაზე შეიმუშაოს და დაამტკიცოს ერთი ფორმის დოკუმენტი (საგნობრივი კურიკულუმი), სადაც სწავლის შედეგები განისაზღვრება საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. საგნის გრძელვადიანი მიზნებისა (სამიზნე ცნებები) და სასწავლო თემების/საკითხების/კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის გათვალისწინებით. სასურველია კურიკულუმის პერიოდული გადახედვა და კორექტირება არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, რათა საგნობრივი მიზნები, თემები და შუალედური მიზნები, მუდმივად იყოს აქტუალური და მოსწავლეთა უნარების განვითარებისკენ მიმართული (სამივე საფეხური-ყველა საგანი).* ***<u>მათემატიკა</u>*** *სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმებში გაითვალისწინონ რამდენიმე კომპლექსური ან შემოქმედებითი ტიპის დავალება.* ***<u>დაწყებითი საფეხური</u>*** *კურიკულუმში შეტანილია ცნება „გრამატიკა (პრაქტიკული)“, თუმცა არ ჩანს ის საკითხები, რითაც ცნებას დაამუშავებენ. სკოლას მიეცა რჩევა აღნიშნულის გამოსწორების.*
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *სასურველია კურიკულუმში ასახული იყოს ყველა საკითხის შესაბამისი რესურსი, ასევე მიეთითოს სახელმძღვანელო-გამომცემლობა-ავტორი-გვერდები (სამივე საფეხური - ყველა საგანი). სასურველია რესურსების პერიოდული გადამოწმება და განახლება,*

	სწავლის შედეგების მიღწევას	*რათა უზრუნველყოს მათი აქტუალურობა და შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან.* ***<u>უცხოური ენები</u>*** *სასურველია უზრუნველყფილი იყოს გაკვეთილის მთავარ თემასა და წინარე ცოდნის გააქტიურების აქტივობებს შორის ლოგიკური კავშირი.* ***ფრანგულ ენაში*** *"ოჯახი" თემისთვის შეიძლება წინარე ცოდნის გააქტიურება მოხდეს ოჯახის წევრების აღწერის მაგალითებით, ნათესაური კავშირების ლექსიკის გამეორებით, ან თავად მოსწავლეების ოჯახებზე მცირე კითხვა-პასუხებით. მოხდეს მასწავლებელთა გადამზადება შესაბამისად.* ***<u>ტექნოლოგიები</u>*** *სასურველია მოსწავლეებმა იმუშაონ სხვადასხვა პროგრამებში: Code.org , ვსწავლობთ თამაშით.*
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***<u>უცხოური ენები</u>*** *კურიკულუმში ყოველი დავალებისთვის უნდა იყოს გათვალისწინებული რამდენიმე ალტერნატიული შესრულების ვარიანტი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ მონაწილეობას განურჩევლად მათი ტექნიკური საშუალებებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისა.*
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერება</u>*** *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/ რუბრიკები საგნების მიხედვით უნდა იყოს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი ხასიათის და არ ასახავს კონკრეტული პროდუქტის შექმნის დროს მოსწავლის შეფასებას.* *მე-2 კლასის* ***ბუნებისმეტყველება:*** *განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში სამიზნე ცნებები არასრულია. განხორციელებული*

		კომპლექსური დავალების შეფასება. *მე-3 კლასი პირველ თემაში ერთი სამიზნე ცნებაა.* *მე-4 კლასი: არ არის გაწერილი შუალედური პროდუქტი.* *მე-6 კლასის ბუნებისმეტყველება: „შუალედური მიზნის მისაღწევი დავალების იდეა“ - გრაფა ცარიელია.* *დაწყებით საფეხურზე შეფასება (განმავითარებელი/განმსაზღვრელი) უნდა ასახავდეს კონკრეტული პროდუქტის შეფასებას და არა ზოგადი ტიპის შეფასებას.* ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერება</u>*** *სასურველია, შეფასების სისტემის გამდიდრება მრავალფეროვანი ინსტრუმენტებით და მკაფიოდ გაწერა, თემასთან მიმართებით სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით, თუ როგორ უწყობს ხელს შეფასება სწავლის მიზნების მიღწევასა და მოსწავლის მხარდაჭერას. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტად დააკავშირონ ესგ-ის მიხედვით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მისაღწევ შედეგებთან. სასურველია წლის დასაწყისში კათედრის მიერ შემუშავდეს შემაჯამებელი დავალებებისთვის განმსაზღვრული შეფასების სქემები-საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი მორგება გამოკვეთილ საჭიროებებზე. სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მოერგოს შესაბამის თემატიკას, კურიკულუმში დაკონკრეტდეს შუალედური სასწავლო მიზანი. ასევე, მიეთითოს პროდუქტი/პროდუქტები.* ***<u>უცხოური ენები</u>*** *ორგანიზება გაუწიონ ფრანგული ენის მასწავლებლებისთვის მიზნობრივ ტრენინგს შეფასების სისტემების ერთიანი ფორმის შემუშავებასა და გამოყენებაზე. მაგ: მომზადდეს კონკრეტული შეფასების რუბრიკები თითოეული ენობრივი უნარ-ჩვევისთვის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა) ცალ-ცალკე.*

		<u>დაწყებითი საფეხური</u> *შექმნას კონკრეტული კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები.*
ინდიკატორი N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერება</u>*** *სასურველია ყოველი წლის ბოლოს დაიგეგმოს კურიკულუმის ანალიზი, თუნდაც კომენტარების სახით. სასურველია ანალიზის შედეგები აისახოს კათედრის გეგმაში და გამოყენებულ იქნას როგორც მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისა და პროცესის გაუმჯობესების საფუძველი.* ***<u>ტექნოლოგიები</u>*** *სასურველია მასწავლებელმა მოსწავლეები ამუშაოს უფრო მეტად პრაქტიკულ დავალებებზე/ შემაჯამებელი წერები განახორციელოს პრაქტიკული სამუშაოებითაც.*
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერება</u>*** *სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება. შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს. სასურველია პერიოდულად მოხდეს შეფასების რუბრიკების რეაქტუალიზაცია სწავლების პრაქტიკიდან გამომდინარე და კათედრის წევრებთან ერთად განხილვა, რათა შეფასება კიდევ უფრო ინფორმატიული და ეფექტური გახდეს მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად.* ***<u>უცხოური ენები</u>*** *ფრანგული ენის მასწავლებლებისთვის ორგანიზდეს მიზნობრივი ტრენინგი ერთიანი შეფასების სისტემის შემუშავებისა და გამოყენების მიმართულებით;*

		მომზადდეს დეტალური შეფასების რუბრიკები თითოეული ენობრივი უნარ-ჩვევისთვის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი); ***<u>ტექნოლოგიები</u>*** *მასწავლებელმა შექმნას ყველა თემისთვის ინდივიდუალური განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა და არ იხელმძღვანელოს ზოგადი შეფასების რუბრიკით.*
ინდიკატორი N2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერება</u>*** *სასურველია კურიკულუმში ყველა თემას შეესაბამებოდეს და მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი მატერიალური და ელ.რესურსები. სასურველია რესურსების პერიოდული განახლება და ხელმისაწვდომობის მონიტორინგი, რათა მოსწავლეებს მუდმივად ჰქონდეთ აქტუალური და მრავალფეროვანი მასალები სწავლის პროცესისთვის.* ***<u>ტექნოლოგიები</u>*** *მასწავლებელმა მოსწავლეების დახმარებით შექმნას ელექტრონული რესუსრსი, რომელსაც გამოიყენებს სწავლებისას.*
ინდიკატორი N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *სასურველია რესურსების შერჩევის პროცესში პერიოდულად გამოიყენონ მოსწავლეთა უკუკავშირი, რათა უფრო ზუსტად განისაზღვროს მათ საჭიროებებზე ორიენტირებული მასალა და დაინერგოს მრავალფეროვანი, აქტუალური რესურსების გამოყენება.* ***<u>ტექნოლოგიები</u>*** *სასურველია კათედრის ოქმს დანართის სახით ახლდეს დამატებითი რესურსების ჩამონათვალი.*
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *სასურველია რესურსების შერჩევა მოხდეს თემატური მიზნების შესაბამისად და რეგულარულად განახლდეს ახალი, აქტუალური,*

	მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*მრავალფეროვანი მასალებით. ასევე სასურველია მოსწავლეთა სისტემატური უკუკავშირის მიღება, რათა რესურსების გამოყენება იყოს ეფექტური და მათი მრავალფეროვნება პასუხობდეს კლასის ინდივიდუალურ საჭიროებებს.* ***<u>ტექნოლოგიები</u>*** *სასურველია კათედრის ოქმს დანართის სახით ახლდეს დამატებითი რესურსების ჩამონათვალი.*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ***<u>საბაზო განათლების</u>*** *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>*** *სასურველია, მასწავლებლებმა ახალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ საბუნებისმეტყველო საგნებში, საბაზო და საშუალო საფეხურზე თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. ასევე, საგანთა შორის ინტეგრირებული პროექტების, პროდუქტების შექმნაზე. განახორციელონ შემაჯამებლების მრავალმხრივ საინტერესოებისა და მრავალფეროვნების მიზნით სხვადასხვა ტიპის დავალებები (ციტირება ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრის ოქმიდან).* ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერება</u>*** *სასურველია კურიკულუმში ყველა თემასთან მიმართებით გათვალისწინებული იყოს შემოქმედებითი ტიპის დავალება, რომელიც მიზნობრივად იქნება დაკავშირებული თემასთან, იქნება რეალისტური და განხორციელებადი. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გაითვალისინონ მრავალფეროვანი და*

		დიფერენცირებული მიდგომა (სამივე საფეხური - ყველა საგანი). სასურველია სასწავლო წლის ბოლოს შეიქმნას დოკუმენტირებული ანგარიში კურიკულუმის ეფექტურობისა და მიღწეული შედეგების შესახებ, რაც დაეხმარება მომავალ დაგეგმვას და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. ***<u>მათემატიკა</u>*** *სასურველია, კათედრამ საბაზო და საშუალო საფეხურისთვის შეიმუშაოს კურიკულუმის ერთნაირი ფორმატი. მაგ. როგორც მოგვაწოდა მე-7 კლასისათვის.* *საბაზო საფეხურზე კურიკულუმით წარმოდგენილი სამიზნე ცნებები მოსაყვანია მესამე თაობის ესგ-ს სამიზნე ცნებებთან შესაბამისობაში.*
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***<u>ესთეტიკური აღზრდა</u>*** *ერთი კონკრეტული თემის, თუ პროექტის დამუშავების/შესწავლის პროცესში, სასურველია და აუცილებელიც დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, ხოლო ყოველივე ეს გაწერილი იყოს კურიკულუმში. სტანდარტში მუსიკის საგნის ექვსივე ცნება ნათლად არის წარმოდგენილი და აგრეთვე პროექტული სწავლების სახელმძღვანელოშიც მოცემულია სტადარტიდან ამონარიდი (იხ. პროექტული სწავლების მასწავლების წიგნი გამომცემლობა „პეგასი“ 2022 წ. - გვ.12);* ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერება</u>*** *სასურველია, სკოლამ კათედრაზე შეიმუშაოს და დაამტკიცოს ერთი ფორმის დოკუმენტი (საგნობრივი კურიკულუმი), სადაც სწავლის შედეგები განისაზღვრება საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. საგნის გრძელვადიანი მიზნებისა (სამიზნე ცნებები) და სასწავლო თემების/საკითხების/კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის გათვალისწინებით. სასურველია კურიკულუმის პერიოდული გადახედვა და კორექტირება არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე,*

		რათა საგნობრივი მიზნები, თემები და შუალედური მიზნები, მუდმივად იყოს აქტუალური და მოსწავლეთა უნარების განვითარებისკენ მიმართული (სამივე საფეხური-ყველა საგანი). ***<u>უცხოური ენები</u>*** *საგაზო საფეხურის ინგლისური და ფრანგული ენის კურიკულუმები განაახლოს სამიზნე ცნებების ახალი ეროვნული სტანდარტის შესაბამისად.* ***<u>მათემატიკა</u>*** *სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმებში გაითვალისწინონ რამდენიმე კომპლექსური ან შემოქმედებითი ტიპის დავალება.*
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერება</u>*** *სასურველია კურიკულუმში ასახული იყოს ყველა საკითხის შესაბამისი რესურსი, ასევე მიეთითოს სახელმძღვანელო-გამომცემლობა-ავტორი-გვერდები (სამივე საფეხური - ყველა საგანი). სასურველია რესურსების პერიოდული გადამოწმება და განახლება, რათა უზრუნველყოს მათი აქტუალურობა და შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან.*
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერება</u>*** *რადგან სკოლის მიერ დიფერენცირებული მიდგომების განხორციელება მხოლოდ ზეპირსიტყვიერად გამოიკვეთა, სასურველია, შესაბამისი მასალა წარმოდგენილი იყოს თვალსაჩინოების სახით. ასევე, სსსმ მოსწავლის ნამუშევარი.* ***<u>საზოგადოებრივი მენიერება</u>*** *სასურველია, მკაფიოდ გამოიკვეთოს მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად დაიგეგმოს მოკლევადიანი მიზნები. მკაფიოდ გამოიკვეთოს კათედრის წევრების მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები - კურიკულუმში*

		შეტანილი ცვლილებები კლასის საჭიროებიდან გამომდინარე. სასურველია, რომ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სპეციალური საგანმანათლებლო გეგმის (ისგ) შემუშავების პროცესში კათედრის ყველა წევრი ჩაერთოს, რათა სკოლამ შეიმუშაოს და განახორციელოს სპეციალური სასწავლო გეგმა ნებისმიერი ტიპის მოსწავლის მიღებისა და მხარდაჭერისათვის, რაც ხელს შეუწყობს სკოლაში ინკლუზიური განათლების ხარისხიანად განხორციელებას და უზრუნველყოფს ნებისმიერ მოსწავლეზე მორგებულ საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. ***<u>უცხოური ენები</u>*** *კურიკულუმში ყოველი დავალებისთვის უნდა იყოს გათვალისწინებული რამდენიმე ალტერნატიული შესრულების ვარიანტი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ მონაწილეობას განურჩევლად მათი ტექნიკური საშუალებებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისა.* ***<u>ესთეტიკური აღზრდა</u>*** *სასურველია ისგ-ში საგნის ცნებაზე/ცნებებზე და ქვეცნებებზე დაფუძნებული აქტივობები იყოს შემთავაზებული სსსმ მოსწავლეთათვის.*
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერება</u>*** *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/ რუბრიკები საგნების მიხედვით უნდა იყოს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი ხასიათის და არ ასახავს კონკრეტული პროდუქტის შექმნის დროს მოსწავლის შეფასებას.* *ფიზიკა მე-7 კურიკულუმში მეორდება სამიზნე ცნებები ერთ თემაში. შუალედური დავალების პირობის გრაფა ცარიელია. მე-10 კლასი*

		ფიზიკა ქვეცნებები მიუსადაგეთ სამიზნე ცნებებს. საბაზო საფეხურზე გასათვალისწინებელია შეფასება კონკრეტული დავალების, რომელიც კურიკულუმით განახორციელეთ. ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერება</u>*** *სასურველია, შეფასების სისტემის გამდიდრება მრავალფეროვანი ინსტრუმენტებით და მკაფიოდ გაწერა, თემასთან მიმართებით სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით, თუ როგორ უწყობს ხელს შეფასება სწავლის მიზნების მიღწევასა და მოსწავლის მხარდაჭერას. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტად დააკავშირონ ესგ-ის მიხედვით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მისაღწევ შედეგებთან. სასურველია წლის დასაწყისში კათედრის მიერ შემუშავდეს შემაჯამებელი დავალებებისთვის განმსაზღვრული შეფასების სქემები-საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი მორგება გამოკვეთილ საჭიროებებზე. სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მოერგოს შესაბამის თემატიკას, კურიკულუმში დაკონკრეტდეს შუალედური სასწავლო მიზანი. ასევე, მიეთითოს პროდუქტი/პროდუქტები.* ***<u>უცხოური ენები</u>*** *ორგანიზება გაუწიონ ფრანგული ენის მასწავლებლებისთვის მიზნობრივ ტრენინგს შეფასების სისტემების ერთიანი ფორმის შემუშავებასა და გამოყენებაზე. მაგ: მომზადდეს კონკრეტული შეფასების რუბრიკები თითოეული ენობრივი უნარ-ჩვევისთვის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა) ცალ-ცალკე.* ***<u>ესთეტიკური აღზრდა</u>*** *მუსიკის საგნის საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში შეფასება, სასურველია გაიწეროს დამოუკიდებლად, საბაზო საფეხურის ყველა ცნების - ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია,*

		ფორმა და ჟანრის მიხედვით, თემასა და საკითხთან მიმართებაში და მიენიჭოს მათ 1 ქულა, რაც ჯამში დადებითი შეფასების 6 - მაქსიმალური ქულას შეადგენს.
ინდიკატორი N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერება</u>*** *სასურველია ყოველი წლის ბოლოს დაიგეგმოს კურიკულუმი ანალიზი, თუნდაც კომენტარების სახით. სასურველია ანალიზის შედეგები აისახოს კათედრის გეგმაში და გამოყენებულ იქნას როგორც მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისა და პროცესის გაუმჯობესების საფუძველი.* ***<u>ესთეტიკური აღზრდა</u>*** *მუსიკის საგანში, საბაზო საფეხურზე, სასურველია შემოქმედებითი პროდუქტების შეთავაზება მოსწავლეთათვის, იქნება ეს კომპლექსური დავალება, პრეზენტაციის მომზადება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, მცირე მოკვლევა-კვლევა კონკრეტული თემისა და საკითხის, მოკლე მოხსენება, თუ სხვა.*
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება. შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს. სასურველია პერიოდულად მოხდეს შეფასების რუბრიკების რეაქტუალიზაცია სწავლების პრაქტიკიდან გამომდინარე და კათედრის წევრებთან ერთად განხილვა, რათა შეფასება კიდევ უფრო ინფორმატიული და ეფექტური გახდეს მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად.* ***<u>უცხოური ენები</u>*** *ფრანგული ენის მასწავლებლებისთვის ორგანიზდეს მიზნობრივი ტრენინგი ერთიანი შეფასების სისტემის შემუშავებისა და გამოყენების*

		მიმართულებით; *მომზადდეს დეტალური შეფასების რუბრიკები თითოეული ენობრივი უნარ-ჩვევისთვის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი);*
ინდიკატორი N2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *სასურველია კურიკულუმში ყველა თემას შეესაბამებოდეს და მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი მატერიალური და ელ.რესურსები. სასურველია რესურსების პერიოდული განახლება და ხელმისაწვდომობის მონიტორინგი, რათა მოსწავლეებს მუდმივად ჰქონდეთ აქტუალური და მრავალფეროვანი მასალები სწავლის პროცესისთვის.*
ინდიკატორი N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *სასურველია რესურსების შერჩევის პროცესში პერიოდულად გამოიყენონ მოსწავლეთა უკუკავშირი, რათა უფრო ზუსტად განისაზღვროს მათ საჭიროებებზე ორიენტირებული მასალა და დაინერგოს მრავალფეროვანი, აქტუალური რესურსების გამოყენება.*
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *სასურველია რესურსების შერჩევა მოხდეს თემატური მიზნების შესაბამისად და რეგულარულად განახლდეს ახალი, აქტუალური, მრავალფეროვანი მასალებით. ასევე სასურველია მოსწავლეთა სისტემატური უკუკავშირის მიღება, რათა რესურსების გამოყენება იყოს ეფექტური და მათი მრავალფეროვნება პასუხობდეს კლასის ინდივიდუალურ საჭიროებებს.*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ***<u>საშუალო განათლების</u>*** *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>*** *სასურველია, მასწავლებლებმა ახალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ საბუნებისმეტყველო საგნებში, საბაზო და საშუალო საფეხურზე თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების*

		განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. ასევე, საგანთა შორის ინტეგრირებული პროექტების, პროდუქტების შექმნაზე. განახორციელონ შემაჯამებლების მრავალმხრივ საინტერესოებისა და მრავალფეროვნების მიზნით სხვადასხვა ტიპის დავალებები (ციტირება ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრის ოქმიდან). ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *სასურველია კურიკულუმში ყველა თემასთან მიმართებით გათვალისწინებული იყოს შემოქმედებითი ტიპის დავალება, რომელიც მიზნობრივად იქნება დაკავშირებული თემასთან, იქნება რეალისტური და განხორციელებადი. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გაითვალისინონ მრავალფეროვანი და დიფერენცირებული მიდგომა (სამივე საფეხური - ყველა საგანი). სასურველია სასწავლო წლის ბოლოს შეიქმნას დოკუმენტირებული ანგარიში კურიკულუმის ეფექტურობისა და მიღწეული შედეგების შესახებ, რაც დაეხმარება მომავალ დაგეგმვას და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.* ***<u>მათემატიკა</u>*** *სასურველია კათედრამ საშუალო საფეხურისთვის შეიმუშაოს კურიკულუმის ერთნაირი ფორმატი. მაგ. როგორც მოგვაწოდა მე-11 კლასისათვის. სასურველია, საფეხურის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება მუშავდებოდეს.* *კურიკულუმით წარმოდგენილი სამიზნე ცნებები მოსაყვანია მესამე თაობის ესგ-ს სამიზნე ცნებებთან შესაბამისობაში.* *კურიკულუმით წარმოდგენილი საკითხებითა და ქვესაკითხებით დაფარული იყოს ყველა თემა.*
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ	***<u>ესთეტიკური აღზრდა</u>*** *ერთი კონკრეტული თემის, თუ პროექტის დამუშავების/შესწავლის*

	მიზნებს	*პროცესში, სასურველია და უცილებელიც დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, ხოლო ყოველივე ეს გაწერილი იყოს კურიკულუმში. სტანდარტში მუსიკის საგნის ექვსივე ცნება ნათლად არის წარმოდგენილი და აგრეთვე პროექტული სწავლების სახელმძღვანელოშიც მოცემულია სტადარტიდან ამონარიდი (იხ. პროექტული სწავლების მასწავლების წიგნი გამომცემლობა „პეგასი“ 2022 წ. - გვ.12);* ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *სასურველია, სკოლამ კათედრაზე შეიმუშაოს და დაამტკიცოს ერთი ფორმის დოკუმენტი (საგნობრივი კურიკულუმი), სადაც სწავლის შედეგები განისაზღვრება საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. საგნის გრძელვადიანი მიზნებისა (სამიზნე ცნებები) და სასწავლო თემების/საკითხების/კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის გათვალისწინებით. სასურველია კურიკულუმის პერიოდული გადახედვა და კორექტირება არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, რათა საგნობრივი მიზნები, თემები და შუალედური მიზნები, მუდმივად იყოს აქტუალური და მოსწავლეთა უნარების განვითარებისკენ მიმართული (სამივე საფეხური-ყველა საგანი)* ***<u>მათემატიკა</u>*** *სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმებში გაითვალისწინონ რამდენიმე კომპლექსური ან შემოქმედებითი ტიპის დავალება*
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერება</u>*** *სასურველია კურიკულუმში ასახული იყოს ყველა საკითხის შესაბამისი რესურსი, ასევე მიეთითოს სახელმძღვანელო-გამომცემლობა-ავტორი-გვერდები (სამივე საფეხური - ყველა საგანი). სასურველია რესურსების პერიოდული გადამოწმება და განახლება, რათა უზრუნველყოს მათი აქტუალურობა და შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან.*

ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***<u>უცხოური ენები</u>*** *კურიკულუმში ყოველი დავალებისთვის უნდა იყოს გათვალისწინებული რამდენიმე ალტერნატიული შესრულების ვარიანტი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ მონაწილეობას განურჩევლად მათი ტექნიკური საშუალებებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისა.*
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***<u>ესთეტიკური აღზრდა</u>*** 1. *მუსიკის მიმართულებით წარმოდგენილია შეფასების რუბრიკის „ჩეკლისტი“, რომელშიც შეფასების კრიტერიუმები არის ზოგადი, სამწუხაროდ, არსად წერია რომელიმე ცნება ან საშუალო საფეხურის მუსიკის საგნის სტანდარტის მისაღწევი შედეგები. სასურველია რუბრიკები იყოს კონკრეტულად აგებული პროექტის ფარგლებში შესასწავლ ცნებებზე და მისაღწევ შედეგებზე.* *2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით წარმოდგენილი „პროექტის შეფასების რუბრიკაში“ ქულები არის დონეებზე მიწერილი და კრიტერიუმი ათია მოცემული. სასურველია, ქულობრივი მაჩვენებელი მოიხსნას, რადგან პროექტული სწავლების მიმართულებით მოსწავლე არ ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. სასურველია, შედგენის დროს აქცენტი გაკეთდეს ცნებებსა და მიზნებზე და რუბრიკაში გაიწეროს განმავითარებელი კომენტარის სახით.* ***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერება</u>*** *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/ რუბრიკები საგნების მიხედვით უნდა იყოს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი ხასიათის და არ ასახავს კონკრეტული პროდუქტის შექმნის დროს მოსწავლის შეფასებას.* ***ფიზიკა:*** *მე-11 კლასი კურიკულუმში სამიზნე ცნებებს შეუსაბამეთ*

		ქვეცნებები. მე-12 კლასების კურიკულუმებს არ ახლავს შუალედური პროდუქტის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები. ***ქიმია*** *მე-11 კლასი, პროდუქტის შეფასების რუბრიკა. კურიკულუმებს არ ახლავს მატრიცები.* ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *სასურველია, შეფასების სისტემის გამდიდრება მრავალფეროვანი ინსტრუმენტებით და მკაფიოდ გაწერა, თემასთან მიმართებით სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით, თუ როგორ უწყობს ხელს შეფასება სწავლის მიზნების მიღწევასა და მოსწავლის მხარდაჭერას. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტად დააკავშირონ ესგ-ის მიხედვით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მისაღწევ შედეგებთან. სასურველია წლის დასაწყისში კათედრის მიერ შემუშავდეს შემაჯამებელი დავალებებისთვის განმსაზღვრული შეფასების სქემები-საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი მორგება გამოკვეთილ საჭიროებებზე. სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მოერგოს შესაბამის თემატიკას, კურიკულუმში დაკონკრეტდეს შუალედური სასწავლო მიზანი. ასევე, მიეთითოს პროდუქტი/პროდუქტები.*
ინდიკატორი N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	***<u>ესთეტიკური აღზრდა</u>*** *ერთი კონკრეტული თემის, თუ პროექტის დამუშავების/შესწავლის პროცესში სასურველია და აუცილებელიც დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, ხოლო ყოველივე ეს გაწერილი იყოს კურიკულუმში. სტანდარტში მუსიკის საგნის ექვსივე ცნება ნათლად არის წარმოდგენილი და აგრეთვე პროექტული სწავლების სახელმძღვანელოშიც მოცემულია სტადარტიდან ამონარიდი (იხ. პროექტული სწავლების მასწავლების წიგნი გამომცემლობა „პეგასი“ 2022 წ. - გვ.12);* ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>***

		სასურველია ყოველი წლის ბოლოს დაიგეგმოს კურიკულუმი ანალიზი, თუნდაც კომენტარების სახით. სასურველია ანალიზის შედეგები აისახოს კათედრის გეგმაში და გამოყენებულ იქნას როგორც მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისა და პროცესის გაუმჯობესების საფუძველი.
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერება</u>*** *სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება. შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს. სასურველია პერიოდულად მოხდეს შეფასების რუბრიკების რეაქტუალიზაცია სწავლების პრაქტიკიდან გამომდინარე და კათედრის წევრებთან ერთად განხილვა, რათა შეფასება კიდევ უფრო ინფორმატიული და ეფექტური გახდეს მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად.*
ინდიკატორი N2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერება</u>*** *სასურველია კურიკულუმში ყველა თემას შეესაბამებოდეს და მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი მატერიალური და ელ.რესურსები. სასურველია რესურსების პერიოდული განახლება და ხელმისაწვდომობის მონიტორინგი, რათა მოსწავლეებს მუდმივად ჰქონდეთ აქტუალური და მრავალფეროვანი მასალები სწავლის პროცესისთვის.*
ინდიკატორი N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *სასურველია რესურსების შერჩევის პროცესში პერიოდულად გამოიყენონ მოსწავლეთა უკუკავშირი, რათა უფრო ზუსტად განისაზღვროს მათ საჭიროებებზე ორიენტირებული მასალა და დაინერგოს მრავალფეროვანი, აქტუალური რესურსების გამოყენება.*
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *სასურველია რესურსების შერჩევა მოხდეს თემატური მიზნების შესაბამისად და რეგულარულად განახლდეს ახალი, აქტუალური,*

	მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*მრავალფეროვანი მასალებით. ასევე სასურველია მოსწავლეთა სისტემატური უკუკავშირის მიღება, რათა რესურსების გამოყენება იყოს ეფექტური და მათი მრავალფეროვნება პასუხობდეს კლასის ინდივიდუალურ საჭიროებებს.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლა პოლიგლოტის მიერ (2025 წლის 06 ოქტომბრის კორესპონდენცია N4-112) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში-ავტორიზაციის დებულება) 25[1] მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია და მიიჩნევს, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ დასკვნის პროექტში ასახული ხარვეზები და რიგი რჩევები. კერძოდ:

ინდიკატორი 3.1.1.1.

- *სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტში ფუნქციები გაწერილია არარსებული სტრუქტურული ერთეულის სახელზე ან მსგავსი სახელწოდების მქონე ერთეულზე.*

არგუმენტრებული პოზიციის სახით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ბრძანება (2025 წ. ბრძანება N2/1-42) ზოგიერთ დოკუმენტში ტექნიკური უზუსტობების აღმოფხვრის შესახებ და თავად ეს დოკუმენტები, კერძოდ: შპს სკოლა პოლიგლოტის დებულება, „საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, ასევე ორგანიგრამა და ყველა მათგანში შესაბამისობაშია სტრუქტურული ერთეულების დასახელება. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღმოფხვრილია ტექნიკური ხასიათის უზუსტობები. <u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>

ინდიკატორი 3.1.2.3.

- *დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი საკონკურსო მასალები (ოქმები), შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი ვერ აფასებს პერსონალის შერჩევის გამჭირვალობის პროცესს;*

არგუმენტრებული პოზიციის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების დოკუმენტაციის ნიმუშები, რითაც დასტურდება პერსონალის შერჩევის პროცესების განხორციელება სკოლის მიერ შემუშავებული ,,საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნების", შესაბამისად. წარმოდგენილი მტკიცებულების გათვალისწინებით, <u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>

ინდიკატორი 3.1.2.4.

- *რამდენიმე თანამშრომელს პირად საქმეში არ ჰქონდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ,,უფლების ჩამორთმევის" ცნობა;*

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა აღნიშნული ცნობები.

- *ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა 7 მოწვეული მასწავლებელი. ხელშეკრულებით მათთან განსაზღვრული იყო კანონმდებლობის შესაბამისად საათობრივი დატვირთვა არაუმეტეს 9 საათისა, თუმცა რეალურად მათი საათობრივი დატვირთვა შეადგენდა 12-დან 18საათს. აღნიშნული ეწინააღმდეგება კანონმდებლობას (ზოგადი განათლების კანონი მუხლი 2, პუნქტი ღ9);*

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა emis-ს ბაზა და საათობრივი ბადე, რომლის მიხედვით დასტურდება, რომ დაცულია მოწვეული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა კანონმდებლობის შესაბამისად. მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება 8 საათს.

- *ექიმს არ ჰქონდა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე კანონით დადგენილ სპეციალობაში (ა) „პედიატრია"; ბ) „საოჯახო მედიცინა"; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი). ექიმთან გასაუბრებისას ექსპერტთათვის ცნობილი გახდა, რომ მას სასერტიფიკატო გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა, მაგრამ ჯერ არ ჰქონდა მიღებული სერტიფიკატი. ვიზიტის პერიოდში სკოლამ ექიმის მიერ გამოცდის წარმატებით ჩაბარების შესახებ ცნობა ვერ წარმოადგინა.*

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა ექიმის სახელმწიფო სერტიფიკატი, რომლითაც მას მიენიჭა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება სპეციალობაში: „პედიატრია". ამგვარად, მისი კვალიფიკაცია სრულად აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით" დადგენილ მოთხოვნებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე <u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>

ინდიკატორი 3.3.1.3.

- *განცხადების /საჩივრის ვადები ორ მარეგულირებელ (შინაგანაწესი-მუხლი 38; გასაჩივრების წესი და პროცედურები-მუხლი 3) დოკუმენტში არ ემთხვევა ერთმანეთს, რითაც ირღვევა გადაწყვეტილებების გასაჩივრების განხილვის სისტემის გამჭირვალობა.*

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სკოლის მიერ განხორციელდა შესაბამისი ცვლილება სკოლის შინაგანაწესში, რომლის თანახმადაც საჩივრის წარდგენისა და განხილვის წესი განისაზღვრება შპს სკოლა პოლიგლოტის დოკუმენტის „გასაჩივრების წესი და პროცედურები“ შესაბამისად. **არგუმენტირებული პოზიციის სახით სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების ბრძანება (2025წ. ბრძანება N2/1-42); აღნიშნულიდან გამომდინარე შესაბამისობაშია მოყვანილი საჩივრის განხილვის ვადები და პროცედურები. აღნიშული <u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

ინდიკატორი 3.4.1.1.

- *სკოლა დაწყებითი საფეხურის შენობის პირველ და მეორე სართულზე კიბის უჯრედში ვიდეომეთვალყურეობას სრულად ვერ უზრუნველყოფს.*

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა ვიდეოკამერის შესყიდვის ინვოისი, მიღება-ჩაბარების აქტი და დამონტაჟებული ვიდეოკამერების ამსახველი ფოტო-მასალა. აქედან გამომდინარე აღნიშნული **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

ინდიკატორი N3.4.1.2.

- *ექიმის კვალიფიკაცია არ იყო კანონმდებლობასთან შესაბისობაში. კერძოდ, მას არ ჰქონდა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი.*

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა ექიმის სახელმწიფო სერტიფიკატი, რომლითაც მას მიენიჭა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება სპეციალობაში: „პედიატრია“. ამგვარად, მისი კვალიფიკაცია სრულად აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით“ დადგენილ მოთხოვნებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

ინდიკატორი 2.2.2.4.(დაწყებითი, საბაზო საფეხურითვის)

- *სკოლას ვიზიტის დროს ჰყავდა 7 მოწვეული მასწავლებელი. შრომითი ხელშეკრულებით მათთან განსაზღვრული იყო კანონმდებლობის შესაბამისად საათობრივი დატვირთვა არაუმეტეს 9 საათისა. თუმცა, სკოლის საათობრივი ბადის შესწავლის საფუძველზე ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ ყველა მათგანთან დარღვეული იყო ეს პირობა და მათი*

საათობრივი დატვირთვა შეადგენდა 12-დან 18საათს. აღნიშნული ეწინააღმდეგება კანონმდებლობას (ზოგადი განათლების კანონი მუხლი 2, პუნქტი ღ9). გარდა ამისა, სკოლას ვიზიტის პერიოდშიც არ ჰქონდა გამოცხადებული კონკურსი მასწავლებლის პოზიციაზე, რითაც შესაძლებელი იქნებოდა საჭირო ადამიანური რესურსის მოძიება.

დაწესებულებამ **არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა emis-ს ბაზა და საათობრივი ბადე,** რომლის მიხედვით დასტურდება, რომ დაცულია მოწვეული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა კანონმდებლობის შესაბამისად. მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება 8 საათს. ამასთანავე სკოლას www.teacherjobs.ge გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი. საათობრივი ბადისა და emis-ს ბაზის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**.

ინდიკატორი 2.2.2.1-დაწყებითი საფეხური (უცხოური ენები)

- *ინგლისური ენის სწავლებისთვის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო გეგმით დაწყებით საფეხურზე (მე-2-დან მე-6 კლასის ჩათვლით) კლასებში) სწავლა განხორციელდა არაგრიფირებული სახელმძღვანელოთი. ასევე 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის პროექტითაც დასტურდება, რომ სკოლა არ იყენებს 2022 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული დოკუმენტით განსაზღვრულ სახელმძღვანელოებს (N 4-40), რაც ეწინააღმდეგება რეგულაციებს არაგრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყენების შესახებ. აუცილებელია, დაცულ იქნას სახელმძღვანელოს შეთანხმების წესი.*

სკოლამ **არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან გაგზავნილი წერილი** (2025 წლის 06.10. N4-110;) 2025-2026 სასწავლო წლისთვის მე-2 კლასიდან მე-6 კლასის ჩათვლით სახელმძღვანელოების შეთანხმების თაობაზე (Macmillan English 1, Macmillan English 2, Macmillan English 3, Macmillan English 4, Macmillan English 5). ამასთანავე დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ინგლისური ენის სახელმძღვანელოების გამომცემლობა წერილობით ადასტურებდა Give Me Five და Macmillan English პროგრამულ იდენტურობას და ისინი ერთმანეთის ალტერნატივად მიიჩნევა (თავად წერილი სკოლის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა).

ზემოაღნიშნული არგუმენტის მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწყებით საფეხურზე (მე-2 კლასიდან მე-6 კლასის ჩათვლით) დარღვეულია სახელმძღვანელოს შეთანხმების წესი. კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 აპრილის N425389 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმძღვანელოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების წესის“ მე-6 მუხლის პუნქტი 2-ის ქვეპუნქტი „ა“, „გ“. კანონმდებლობის თანახმად სკოლამ <u>განაცხადი სამინისტროში უნდა წარადგინოს სკოლის/სკოლის სტატუსის მაძიებლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე არაუგვიანეს 60 დღით ადრე. შეთანხმებული სახელმძღვანელო სასწავლო პროცესში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად არ გამოიყენება შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომდევნო სასწავლო</u>

<u>წლამდე.</u> შესაბამისად მიმდინარე წლის 06 ოქტომბერს სკოლის მიერ გაკეთებული განაცხადი 2025-2026 სასწავლო წლისთვის სახელმძღვანელოს შეთანხმების თაობაზე ვერ ამოქმედდება 2026-2027 სასწავლო წლამდე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **<u>ინდიკატორი 2.2.2.1. არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

ინდიკატორები 2.1.2.1.; 2.1.2.3.; (საშუალო საფეხურზე-უცხოური ენები)

- ***<u>საშუალო საფეხურზე</u>*** *<u>არ</u> იყო <u>წარმოდგენილი</u> ყველა <u>კლასის</u> <u>კურიკულუმები</u> <u>ინგლისურ</u> <u>და</u> <u>ფრანგულ</u> <u>ენებში,</u> <u>შესაბამისად</u> <u>ვერ</u> <u>მოხერხდა</u> <u>საშუალო</u> <u>საფეხურის</u> <u>შესაბამისობის</u> <u>დადგენა</u> <u>სტანდარტთან</u> <u>მიმართებაში.</u>*

დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი დახარვეზებული იყო, რადგანაც ტექნიკური მიზეზის გამო, ვერ მოხერხდა საშუალო საფეხურის ინგლისურის კურიკულუმების ნახვა. დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შედეგად ექსპერტს მიეცა საშუალება შეესწავლა საშუალო საფეხურის კურიკულუმები და მიიჩნევს, რომ **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.</u>**

ინდიკატორები 2.1.2.1.; 2.1.2.2.; 2.1.2.3.; 2.1.2.5.;2.2.1.1.; 2.2.1.3.; 2.2.2.1.;(საბაზო/საშუალო საფეხურზე-ესთეტიკური აღზრდა)

- საშუალო საფეხურზე 2024-2025 სასწავლო წელს საათობრივ ბადეში არ იყო გათვალისწინებული და შესაბამისად, არ ისწავლებოდა ,,პროექტული სწავლების“ სავალდებულო საგნები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. გამომდინარე აქედან, საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის საგნების მიმართულებით სკოლის მიერ დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი კურიკულუმები და რესურსები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს გაზიარებული დოკუმენტი: „პროექტი-საათობრივი ბადე 2025-2026 სასწავლო წელი სკოლა პოლიგლოტი“, რომელშიც ახალი სასწავლო წლიდან გათვალისწინებულია მე-10 კლასში „პროექტი ხელოვნებაში“ 1 სთ. კვირეული დატვირთვით, ხოლო მე-11 კლასში „პროექტი მუსიკაში“. აღნიშნული მოცემულობა არ აკმაყოფილებდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლამ **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა საბაზო/საშუალო საფეხურის სავალდებულო საგნების - პროექტული სწავლების X, XI და XII კლასების კურიკულუმები** - როგორც მუსიკაში, აგრეთვე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. ექპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისად, **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.</u>**

რაც შეეხება რჩევებს, **<u>დაწესებულებამ გაითვალისწინა შემდეგი რჩევები:</u>**

ინდიკატორი 3.1.1.1.

1. *ორგანიგრამით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების დასახელება უნდა იყოს იდენტური საშტატო განრიგით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულებისა. ასევე, ეს სახელწოდებები იმავე ფორმულირებით უნდა იყოს სკოლის მიერ შემუშავებული დებულების დოკუმენტში. ყველა მითითებული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობები უნდა იყოს გაწერილი გამონაკლისის გარეშე.*
2. *სკოლის ექიმთან ფუნქცია-მოვალეობების აღწერილობაში დაემატოს კვების მონიტორინგის ჯგუფის მუშაობაში ჩართულობის პუნქტი. რამდენადაც სკოლა ვალდებულია სასკოლო კვების ორგანიზებისას გაითვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 24 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანების მოთხოვნები ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე". კერძოდ, ამავე დოკუმენტის მე-7 მუხლის შესაბამისად სკოლის კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის მიზნით სკოლა ვალდებულია შექმნას მონიტორინგის ჯგუფი, ,,რომელშიც შევლენ საბაზო და/ან საშუალო საფეხურის მოსწავლეები, სკოლის მოსწავლეთა მშობლები, მასწავლებლები (სასურველია ბიოლოგიის), სკოლის ექიმი/ექთანი, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები".*
3. *სკოლის დებულების მიხედვით სკოლაში საგნობრივი ჯგუფებისა და მონათესავე საგნების მიხედვით შექმნილია კათედრები, რომლებშიც გაერთიანებულია ყველა მასწავლებელი. გამონაკლისია დაწყებითი კლასების კათედრა, სადაც I-VI კლასების მასწავლებლებთან ერთად ერთიანდება სკოლის ფსიქოლოგიც, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს სკოლაში ახლადმიღებული მოსწავლეების ადაპტაციის საკითხებთან და შესაბამისად, ხელს უწყობს კათედრის მუშაობის მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებას. ექსპერტთა მიერ სკოლამ მიიღო რჩევა დაწყებითი განათლების სწავლების კათედრის (მოიცავს I-VI კლასებს) ხელმძღვანელად ფსიქოლოგის ნაცვლად განისაზღვროს საგნის მასწავლებელი. რამდენადაც დებულების ჩანაწერის მიხედვით, ფსიქოლოგის ფუნქციებში ისედაც შედის ის მოვალეობები, რა არგუმენტითაც იგი არჩეულ იქნა კათედრის ხელმძღვანელად.*

დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შედეგად გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ გაწეული რჩევები ინდიკატორის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით. არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ: 1. სკოლის დებულებაში გაწერილია ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქცი-მოვალეობა; 2. ექიმთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში ექიმის ფუნქცია-მოვალეობებში დამატებულია კვების მონიტორინგის ჯგუფის მუშაობაში ჩართულობის პუნქტი; 3. დაწყებითი საფეხურის კათედრის ხელმძღვანელად ფსიქოლოგის ნაცვლად დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი.

ინდიკატორი 3.1.2.1.

- *შესაბამისობაში იქნას მოყვანილი დოკუმენტის ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ სახელწოდება და მისი დამტკიცების ბრძანებაში მოხსენებული სახელწოდება (2023 წლის 10.07. ბრძანება N2/1-11);*

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა ბრძანება დოკუმენტის სახელწოდებაში ცვლილების შეტანის შესახებ. შპს სკოლა პოლიგლოტის დირექტორის 2025 წლის 05 სექტემბრის N2/1-43 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება შპს სკოლა პოლიგლოტის დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის N2/1-11 ბრძანების სათაურსა და ტექსტში და ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის სახელწოდება - „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და მექანიზმები“ ჩასწორდა შემდეგი სახით - „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“.

ინდიკატორი 3.4.1.1.

- *სკოლამ მიიღო რჩევა უზრუნველყოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების გადამზადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის ბრძანების №65/ნ ,,სკოლის დირექტორის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსაზღვრული პირის გადამზადების წესის“ შესაბამისად.*

სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად მოწოდებულ იქნა მტკიცებულებები (შრომითი ხელშეკრულება, გადამზადების სერტიფიკატი, ბრძანება უსაფრთოხებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ; სსიპ საგანამანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან კორესპონდენცია 2025წ. 30.09; N4-105) იმის შესახებ, რომ დაცვის თანამშრომლად აყვანილ იქნა თანამშრომელი, რომელსაც უკვე აქვს გავლილი სსიპ - საგანამანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ორგანიზებული უფლებამოსილი პირების გადამზადების კურსი. სწორედ აღნიშნული დაცვის თანამშრომელი დაინიშნა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით უფლებამოსილ პირად. გარდა ამისა, სკოლამ მიმართა მანდატურის სამსახურს დაცვის თანამშრომლის, რომელსაც არ ჰქონდა გავლილი აღნიშნული კურსი, გადამზადების თხოვნით.

ინდიკატორი 3.5.1.4

- *სასურველია ერთ-ერთ ადაპტირებულ სველ წერტილზე, ეტლით მოსარგებლისთვის უფრო მარტივად გადაადგილების მიზნით მოიხსნას კარის ზღურბლი.*

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ფოტომასალა, რომლითაც დასტურდება სველ წერტილზე ეტლით მოსარგებლისთვის კარის ზღრუბლის მოხსნის ფაქტი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლამ მისია და ხედვა დაამტკიცა 2023 წლის 01 სექტემბერს მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, განხილულ იქნა პედაგოგიურ საბჭოზე (ოქმი N1) და შემდეგ დაამტკიცა დირექტორმა. სკოლის მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **მისია** ,,არის ეფექტური, უსაფრთხო, მოდერნიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა, რომელიც მოწოდებულია აღზარდოს პატრიოტი, თავისუფლად მოაზროვნე, სოციალურად აქტიური მოქალაქე, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება დღევანდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში და მომავალში პროდუქტიულ წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სკოლა ზრუნავს მოსწავლეებს მიაწოდოს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლება. ამ გზით უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის შექმნას მდგრადი მომავალი“.

ხედვა ,,სკოლა „პოლიგლოტისთვის“ უმნიშვნელოვანესია ინოვაციური პედაგოგიური ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო პროექტების ფართოდ დანერგვაში. ეს ხელს შეუწყობს ჩვენს მოსწავლეებს განავითარონ კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, აიმაღლონ აკადემიური ცოდნა, გამოიმუშაონ კომუნიკაციის მაღალი კულტურა. გვსურს როგორც მოსწავლეებს, ასევე პედაგოგებს შევუქმნათ ჯანსაღი, მდგრადი გარემო თვითგამორკვევისა და თვითრეალიზაციისათვის როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. სწორედ ეს შეუწყობს ხელს სკოლა „პოლიგლოტს“ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს დღევანდელ, კონკურენტუნარიან საგანმანათლებლო სივრცეში.

სკოლა ორიენტირებულია უცხო ენების გაღრმავებულ სწავლებაზე, რისთვისაც სწავლებას ახორციელებს თანამედროვე საერთაშორისო სახელმძღვანელოებით როგორც ინგლისურ, ასევე ფრანგულ და რუსულ ენებში. **სკოლა მოწოდებულია** პარტნიორული ურთიერთობა დაამყაროს როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების სკოლებთან“.

სკოლისთვის მთავარ ღირებულებას წარმოადგენს თანამშრომლობა, მდგრადობა, სამართლიანობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა უმნიშვნელოვანესი ღირებულებებია. **ინდიკატორი 1.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიისა და ხედვის თანახმად, მნიშვნელოვნად მიიჩნევს საგანამანათლებლო პროექტებში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას, რისთვისაც მაგ: 2024-2025 სასწავლო წელს განხორციელდა არაფორმალური განათლების ინოვაციური პროექტი. კერძოდ, დაარსდა AI კლუბი, რომლის მიზანია მოსწავლეებში ხელოვნური ინტელექტის (AI) და ციფრული უნარების განვითარების ხელშეწყობა; მოსწავლეების მომზადება მომავლის პროფესიებისთვის ციფრულ ეპოქაში; მონაცემთა ანალიტიკის, კიბერუსაფრთხოების, კონტენტ-კრეაციის და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიური სფეროების გაცნობა; ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის გაღვივება ციფრულ გარემოში და ა.შ.

სკოლაში მოსწავლეებს შექმნილი აქვთ მშვიდი სასკოლო სასწავლო გარემო. სკოლის ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებლები, სკოლის ფსიქოლოგი და დაცვის წევრები ზრუნავენ სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის და ასევე პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის შექმნაზე. სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. სკოლას ეზოში აქვს პატარა რეკრეაციული ზონა. სკოლაში ტარდება სპორტული და შემოქმედებითი ღონისძიებები მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ხელშეწყობილია მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივები; ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობით მშობელთა ჩართულობა და სასკოლო-შემეცნებითი ექსკურსიები, გუნდური და თანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას და ჩამოყალიბებას. შესაბამისად, **ინდიკატორი 1.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის ფილოსოფიის შემუშავება განხორციელდა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული მისიის შემუშავების მეთოდოლოგის მიხედვით (2023 წლის 16.06. ბრძანება N2/1-07). აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად საწყის ეტაპზე მოხდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის მიზანი იყო არსებული ვითარების ანალიზი, პრიორიტეტებისა და საჭირო ცვლილებების იდენტიფიცირება. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა კითხვარები, სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები) ინტერესების გასათვალისწინებლად. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე სკოლამ შეიმუშავა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების სამუშაო ვერსია/პროექტი, რომელიც წარდგენილ იქნა პედაგოგიური საბჭოსთვის. მიღებული უკუკავშირის ანალიზის შედეგად, მოხდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულების დამტკიცება. დაწესებულების მიერ აღნიშნული ჩართულობის დადასტურება მოხდა როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციით, ასევე ექსპერტთა მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითაც. **ინდიკატორი 1.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან ექსპერტთა მიერ გასაუბრებით და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია მშობელთა კრებებზე. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ სამუშაო ჯგუფის ოქმებში დგინდება, სკოლამ მოახდინა არსებული სკოლის ფილოსოფიის გადახედვა, სასკოლო საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე შეიმუშავა განახლებული მისია, ხედვა და ღირებულება. შესაბამისად, ის სათანადოდ იყო გაზიარებული. **ინდიკატორი 1.1.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე www.polygloti.edu.ge . გარდა ამისა, სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სკოლის მისია. შესაბამისად, **ინდიკატორი 1.1.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლა 2006 წლიდან არის დაარსებული და მისი პირვანდელი სახელწოდება იყო შპს პოლიგლოტი. თუმცა, საფირმო სახელწოდების ცვლილება განხორციელდა 2024 წლის 25ნოემბერს (ბრძანება N2/1-41) და სკოლის სახელწოდება გახდა ,,შპს სკოლა პოლიგლოტი“, რითაც სკოლის სახელი სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. აღნიშნული დასტურდება სამეწარმეო რეესტრის ამონაწერითაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 1.1.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის შემუშავების მეთოდოლოგია (2023 წლის 16.06. ბრძანება N2/1-07);
- სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ბრძანება სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ (2023 წლის 20.06. ბრძანება N2/1-08);
- სკოლის ფილოსოფიის კვლევის კითხვარი;
- პედასბჭოს ოქმი N1 (01 სექტემბერი 2023 წ.);
- ბრძანება საფირმო სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ (2024 წლის 25.11.ბრძანება N2/1-41);
- სკოლის წესდება;

- არაფორმალური განათლების მენეჯერის წლიური ანგარიში;
- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (2023 წლის 03.07. ბრძანება N2/1-09), რომელშიც აღწერილია სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების პრინციპები, მეთოდები და პროცედურები. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ძირითადი ეტაპები, რომელთა შორის პირველი ადგილი უკავია სასკოლო საზოგადოებისგან ინფორმაციის შეგროვებას სკოლის შიდა პროცესების და დამოკიდებულებების შესახებ. ამისთვის სკოლას განსაზღვრული აქვს კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (სასწავლო პროცესის გამოკითხვა, ინტერვიუ და სხვ.). დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი სამოქმედო გეგმის პირველ ეტაპზე იწყებს ინფორმაციის შეგროვებას, სასკოლო დოკუმენტაციის დამუშავებასა და ანალიზს, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პირველი საფეხურის დასრულების შემდგომ, მიღებული და დამუშავებილი ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება სიტუაციის ანალიზი, რომელიც ასევე

მოიცავს გასულ წელს დასახული სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხს, მუშავდება და გამოიყენება შემდგომი სამოქმედო გეგმის/გეგმების შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი 1.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი და მოიცავს 2024 -2031 წლებს. დოკუმენტი შედგენილია მისიასა და ხედვაში გაცხადებული მიზნების შესასრულებლად. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (2023 წლის 03.07. ბრძანება N2/1-10; განსაზღვრულია შემადგენლობა: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი) მიერ მოხდა განვითარების სტრატეგიული მიზნების სამუშაო ვერსიის შემუშავება, რის შემდეგაც სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე (ოქმი N7, 27.06.2024წ) მოხდა გეგმის განხილვა და უკუკავშირის შეგროვება. უკუკავშირის საფუძველზე შემუშავდა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების საბოლოო რედაქცია. რის შემდეგაც დამტკიცდა სკოლის დირექტორის მიერ, როგორც ეს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით არის განსაზღვრული. შვიდწლიანი გეგმა მოიცავს შემდეგ პუნქტებს: სტრატეგიული მიზნებს, ამოცანებს, ინდიკატორებს, მტკიცებულებებს, შესრულების დროს, ინფორმაციას პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების შესახებ. სკოლის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტებია: სკოლის ფილოსოფია; სწავლა-სწავლება, სასკოლო კურიკულუმი; სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა; მოსწავლეთა მხარდაჭერა, მდგრადი განვითარება. **ინდიკატორი 1.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელშიც აღწერილი იყო 2024-2025 სასწავლო წლის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების პერიოდი. ერთწლიანი გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და სკოლის თვითშეფასებას. ვიზიტის პერიოდში სკოლამ ასევე წარმოადგინა უკვე ერთწლიანი 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი. **ინდიკატორი 1.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ამოცანების შესაბამისი აქტივობები დეტალური და სტრუქტურირებულია. შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები თუ შესაბამისი რესურსები განსაზღვრავს სკოლის მიერ განსახორციელებელ დაგეგმილ აქტივობებს. **ინდიკატორი 1.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (2023 წლის 03.07. ბრძანება N2/1-09);
- პედსაბჭოს ოქმი N1 (2024 წლის 6 სექტემბერი);
- სტრატეგიულ დაგეგმვაზე მომუშავე ჯგუფის დამტკიცების ბრძანება (2023 წლის 03.07. ბრძანება N2/1-10);
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა (შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან (ოქმი# 7 - 27/06/2024 წ) და დამტკიცდა 28/06/2024/);
- SWOT ანალიზი;
- 2024-2031 წწ. სტრატეგიული გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (2023 წლის 03.07. ბრძანება N2/1-09). იგი ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას (მუხლი 7), რომელსაც ახორციელებს აღნიშნული მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით გეგმების შესრულების ანგარიში ყოველი სემესტრის ბოლოს წერილობითი ფორმით წარედგინება სკოლის პედაგოგიურ საბჭოს (მუხლი 8). როგორც სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით არის განსაზღვრული, ერთწლიანი და სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი სკოლაში ხორციელდება მონიტორინგის ჯგუფის მიერ. ამასთანავე სკოლის სხვა მარეგულირებელი დოკუმენტითაც განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი. კერძოდ, მონიტორინგის ჯგუფის დებულების თანახმად (2022 წლის 05 სექტემბრის ბრძანება №2/1-04) ერთწლიანი გეგმის შესრულების მონიტორინგი ხდება წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის დასრულებისას და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა წარედგინება სკოლის

დირექტორს (მუხლი 6). შვიდწლიანი გეგმის შესრულების მონიტორინგს ჯგუფი ახორციელებს საანგარიშო პერიოდში მინიმუმ სამჯერ, ორწლიანი ციკლის დასრულებისას და შედეგები წარედგინება სკოლის დირექტორს.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში მიეთითება გეგმის ის პუნქტები/ნაწილები, რომლებიც შესრულდა და ამავე დროს, შეუსრულებელი პუნქტები/ნაწილები. დასკვნის ანალიზი ეხმარება სკოლას, მოახდინოს სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა და გამოსწორების მიზნით გარკვეული ღონისძიებების დაგეგმვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **ინდიკატორი 1.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტაცია, შესრულების ანგარიშიც, სადაც აღწერილია სამოქმედო გეგმის თითეული მიმართულების მიხედვით სკოლის მიერ გაწეული სამუშაო და ჩატარებული აქტივობები. მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა. სკოლამ წარმოადგინა მონიტორიგნის ჯგუფის ოქმები, წლიური ანგარიში, რომლითაც დასტურდება სკოლაში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმების ფუნქციონირების პროცესი.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დადგინდა მონიტორიგნის ჯგუფის მიერ განხორციელებულ პროცესთან დაკავშირებული ხარვეზები, კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად (2023 წლის 03.07. ბრძანება N2/1-09), ერთწლიანი და სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი სკოლაში **ხორციელდება მონიტორინგის ჯგუფის მიერ, რომლის წევრებიც არ შეიძლება იყვნენ ის პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ სტრატეგიული მიზნებისა და გეგმების შემუშავების მიზნით შემქნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში** (მუხლი 7, პუნქტი 4). სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის ბრძანების მიხედვით კი (2023 წლის 20.06. ბრძანება N2/1-08) ჯგუფის წევრებად განისაზღვრნენ: სკოლის დირექტორი, სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი და დირექტორის მოადგილე, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების მართვის მენეჯერი. ამასთანავე, ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება (2024 წლის 04.09. N2/1-27), რომლის მიხედვით ჯგუფის შემადგენლობაში ასევე გვხვდება სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული პირი-დირექტორის მოადგილე. მასთან ერთად ჯგუფის წევრებად განსაზღვრული იყო დირექტორის მეორე მოადგილე და კათედრის ხელმძღვანელები, მაგრამ მონიტორინგის ჯგუფის დებულების მიხედვით ამ ჯგუფის შემადგენლობაში უნდა იყოს ხარისხის მართვის მენეჯერიც, რაც შეუსაბამობაა. აღნიშნული უზუსტობები ფიქსირდებოდა თავად მონიტორინგის ჯგუფის ოქმებშიც (შემადგენლობასთან დაკავშირებთ) და ვიზიტის დროს სკოლის

წარმომადგენლებთან გასაუბრების დროსაც. ამიტომ ექსპერტთა მიგნების გაზიარების საფუძველზე დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული მიგნებები და ვიზიტის პერიოდშივე ცვლილება შეიტანა მონიტორინგის ჯგუფის დებულებაში (2025 წლის 27.08. ბრძანება N2/1-37), რომლის თანახმად მონიტორინგის ჯგუფის წევრებად განისაზღვრებიან კათედრის ხელმძღვანელები და ხარისხის მართვის მენეჯერი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებამ მიიღო <u>რჩევა:</u> **მონიტორინგის ჯგუფის განსაზღვრისას სკოლამ იხელმძღვანელოს შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტით/ებით განსაზღვრული რეგულაციებით ჯგუფის წევრების დანიშვნასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მონიტორინგის განხორციელებისას დაცულ იქნას ბრძანებით განსაზღვრული ჯგუფის წევრების ჩართულობა ისე, რომ არ იყოს შეუსაბამობები თავად სკოლის მიერ შემუშავებულ რეგულაციებთან მიმართებაში.**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, ამასთანავე უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის მიღებას (როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე შესაბამისი კითხვარის გამოყენებით) და შედეგების შეფასებას კვლევის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე. გარდა ამისა, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია ადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. შესაბამისად **ინდიკატორი 1.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული დასამოქმედო გეგმის შედეგები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმებით. გარდა ამისა, სკოლის ვებგვერდზე საჯაროდ არის განთავსებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები. **ინდიკატორი 1.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს შესაბამის მექანიზმს, რაც ეხმარება სკოლას შედეგების გაანალიზებაში. აღნიშნული დოკუმენტის (მე-9 მუხლი) საფუძველზე სკოლა ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ადგენს SWOT ანალიზს, რომელიც ეხმარება სკოლას გაანალიზოს ძლიერი და სუსტი მხარეები, დაადგინოს შესაძლებლობები და ამ ანალიზის შედეგები გამოიყენოს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას. აღნიშნული დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც. **ინდიკატორი 1.2.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (2023 წლის 03.07. ბრძანება N2/1-09);
- მონიტორინგის ჯგუფის დებულება (2022 წლის 05 სექტემბრის ბრძანება №2/1-04);
- მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება (2024 წლის 04.09; ბრძანება N2/1-27);
- მონიტორინგის ჯგუფის ოქმები;
- მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშები;
- პედსაბჭოს ოქმი N1 (2024 წლის 6 სექტემბერი);
- კვლევის შედეგების ანალიზი;
- ბრძანება მარეგულირებელ დოკუმენტებში ცვლილების შეტანის შესახებ (2025 წლის 27.08. ბრძანება N2/1-37);
- სტრატეგიულ დაგეგმვაზე მომუშავე ჯგუფის დამტკიცების ბრძანება (2023 წლის 03.07. ბრძანება N2/1-10);
- SWOT ანალიზი;
- 202-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- 2024-2031 წწ. სტრატეგიული გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ გრაფიკული სახით წარმოდგენილ იქნა შპს სკოლა პოლიგლოტის ორგანიგრამა. ასევე - სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი - პოლიგლოტის დებულება (2022 წლის 05.09. ბრძანება №2/1-04). დებულების თანახმად, სკოლის დირექცია შედგება მისი მოადგილეებისა და ხარისხის მართვის მენეჯერისგან. დირექტორს ჰყავს 2 მოადგილე: მოადგილე-სასწავლო აღმზრდელობითი პროცესების მართვის მენეჯერი და მეორე მოადგილე-საორგანიზაციო საკითხების მართვის მენეჯერი. დაწესებულების საშტატო განრიგისა და დებულების თანახმად ჰყავს: ბუღალტერი, ფინანსური მენეჯერი, ოფისმენეჯერი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მენეჯერი, მდგრადი განვითარების მენეჯერი, ფსიქოლოგი, არაფორმალური განათლების მართვის მენეჯერი, ექიმი, დიასახლისი(2), დაცვის წევრი(2), მეეზოვე, კაფეტერიის მომსახურე პერსონალი (მზარეული-2, მზარეულის დამხმარე-3) და იურისტი. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი.

სკოლაში ფუქნციონირებს 4 კათედრა: ჰუმანიტარულ-საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და ესთეტიკურ–სპორტული აღზრდის კათედრა (მოიცავს შემდეგ საგნებს: ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მოქალაქეობა/სამოქალაქო განათლება, არჩევითი საგანი-ციფრული ეპოქა, ხელოვნური ინტელექტი და ახალი პროფესიები და სპორტი); 2. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა (მოიცავს საგნებს: მათემატიკა, ბიოლოგია, ისტი, ქიმია და ფიზიკა); 3. უცხოური ენების კათედრა (მოიცავს საგნებს: ინგლისური ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა); 4. დაწყებითი განათლების სწავლების კათედრა (მოიცავს I-VI კლასებს).

სკოლის დებულების დოკუმენტში გაწერილია სკოლის სტრუქტურაში შემავალი თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები. თუმცა, ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ როგორც დადგინდა, გარკვეული ტექნიკური უზუსტობები იყო ორგანიგრამასა და დებულებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალს შორის, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ორგანიგრამაში ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის დასახელება არ ემთხვეოდა დებულებაში დასახელებულს ან საერთოდ იყო გამორჩენილი (მაგ: ბუღალტერი (მთავარი ბუღალტერი), საინფორმაციო მენეჯერი (IT მენეჯერი), პერსონალურ მონაცემთა დაცვის მენეჯერი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი), იურისტი). გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში დებულებაში არ იყო გაწერილი სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები. ასეთი ტექნიკური უზუსტობები ექსპერტთა მიერ დადგინდა საშტატო განრიგთან მიმართებაშიც, რაც გამოიხატებოდა სტრუქტურული ერთეულების სახელდებასთან. ამასთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იყო ტექნიკური შეცდომა და ვიზიტის

პერიოდშივე აღნიშნულ დოკუმენტებში დაკორექტირების მიზნით მოხდა ცვლილებების შეტანა (2025 წლის 27.08. ბრძანება N2/1-37). თუმცა, ამავე **დაკორექტირებულ დოკუმენტებში კვლავ რჩება განსხვავებული სახელწოდებები:** შრომის უსაფრთხოების მენეჯერი დებულებით, ხოლო საშტატოში-შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი; პერსონალურ მონაცემთა დაცვის მენეჯერი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია ასევე დოკუმენტში ,,საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (2024 წლის 09.08. ბრძანება N2/1-220). აღნიშნულ დოკუმენტში გვხდებოდა ტექნიკური უზუსტობები სტრუქტურული ერთეულების დასახელებასთან, თუმცა ფუნქციები იყო იდენტური (მაგ: საქმისმწარმოებელი ნაცვლად ოფისმენეჯერისა და სხვ.). **გარდა ამისა, არაერთხელ გვხდება ისეთი სტრუქტურული ერთეულების დასახელება, რომელიც არც სკოლის დებულებით და არც დაწესებულების ორგანიგრამით არ არის განსაზღვრული, კერძოდ, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, რომელსაც ამ დოკუმენტის თანახმად ექვემდებარება მეეზოვე, დიასახლისი და ა.შ.** უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ უზრუნველყო მარეგულირებელ დოკუმენტებში ტექნიკური უზუსტობების სრულად აღმოფხვრა. ამდენად, **სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტში ფუნქციები გაწერილია არარსებული სტრუქტურული ერთეულის სახელზე ან მსგავსი სახელწოდების მქონე ერთეულზე. მნიშვნელოვანია სკოლის ორგანიგარამით, საშტატო განრიგით, სკოლის დებულებით, ,,საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტებში სტრუქტურული ერთეულები იყოს შესაბამისობაში.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა მიერ დაწესებულებამ მიიღო **რჩევები:**

1. ორგანიგრამით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების დასახელება უნდა იყოს იდენტური საშტატო განრიგით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულებისა. ასევე ეს სახელწოდებები იმავე ფორმულირებით უნდა იყოს სკოლის მიერ შემუშავებული დებულების დოკუმენტში. ყველა მითითებული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობები უნდა იყოს გაწერილი გამონაკლისის გარეშე.

2. სკოლის ექიმთან ფუნქცია-მოვალეობების აღწერილობაში დაემატოს კვების მონიტორინგის ჯგუფის მუშაობაში ჩართულობის პუნქტი. რამდენადაც სკოლა ვალდებულია სასკოლო კვების ორგანიზებისას გაითვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 24 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანების მოთხოვნები “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე”. კერძოდ, ამავე დოკუმენტის მე-7 მუხლის შესაბამისად სკოლის კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის მიზნით სკოლა ვალდებულია შექმნას მონიტორინგის ჯგუფი, ,,რომელშიც შევლენ საბაზო და/ან საშუალო საფეხურის მოსწავლეები, სკოლის მოსწავლეთა მშობლები, მასწავლებლები (სასურველია ბიოლოგიის), სკოლის

ექიმი/ექთანი, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები“. სკოლას ბრძანებით ჰყავს დამტკიცებული კვების მონიტორინგის ჯგუფი;

3. სკოლის დებულების მიხედვით სკოლაში საგნობრივი ჯგუფებისა და მონათესავე საგნების მიხედვით შექმნილია კათედრები, რომლებშიც გაერთიანებულია ყველა მასწავლებელი. გამონაკლისია დაწყებითი კლასების კათედრა, სადაც I-VI კლასების მასწავლებლებთან ერთად ერთიანდება სკოლის ფსიქოლოგიც, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს სკოლაში ახლადმიღებული მოსწავლეების ადაპტაციის საკითხებთან და შესაბამისად, ხელს უწყობს კათედრის მუშაობის მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებას. ექსპერტთა მიერ სკოლამ მიიღო **რჩევა** დაწყებითი განათლების სწავლების კათედრის (მოიცავს I-VI კლასებს) ხელმძღვანელად ფსიქოლოგის ნაცვლად განისაზღვროს საგნის მასწავლებელი. რამდენადაც დებულების ჩანაწერის მიხედვით, ფსიქოლოგის ფუნქციებში ისედაც შედის ის მოვალეობები, რა არგუმენტითაც იგი არჩეულ იქნა კათედრის ხელმძღვანელად. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულებით ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზეც.

არგუმენტრებული პოზიციის სახით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ბრძანება (2025 წ. ბრძანება N2/1-42) ზოგიერთ დოკუმენტში ტექნიკური უზუსტობების აღმოფხვრის შესახებ და თავად ეს დოკუმენტები, კერძოდ: შპს სკოლა პოლიგლოტის დებულება, ,,საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, ასევე ორგანიგრამა და ყველა მათგანში შესაბამისობაშია სტრუქტურული ერთეულების დასახელება. <u>ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღმოფხვრილია ტექნიკური ხასიათის უზუსტობები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შედეგად გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ გაწეული რჩევები ინდიკატორის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით. არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ: 1. დებულებაში გაწერილია ყველა სტრუქტურული ერთეულის საკვალიფიკაციო მოთხოვნა; 2. ექიმთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში ექიმის ფუნქცია-მოვალეობებში დამატებულია კვების მონიტორინგის ჯგუფის მუშაობაში ჩართულობის პუნქტი; 3. დაწყებითი საფეხურის კათედრის ხელმძღვანელად ფსიქოლოგის ნაცვლად დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი. **ინდიკატორი 3.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის საშტატო განრიგით, სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემაში (emis) ასახული პერსონალისა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზით, სასკოლო სასწავლო გეგმისა და შპს სკოლა პოლიგლოტის შეჯერებით დგინდება, რომ სკოლის სრუქტურული ერთეულების/პირებს შორის ფუნქციები და ვალდებულებების განაწილება

უკავშირდება სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებას და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას სკოლის ადმინისტრაციამ და პერსონალმაც აღნიშნა, რომ სკოლის მმართველი გუნდი ცდილობს სასკოლო საზოგადოების მართვის პოლიტიკა მორგებული იყოს საჭიროებებზე. აგრეთვე, სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისა თუ კონკრეტულ პოზიციაზე მყოფი პირების ვინაობა, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ფუნქციათა აღრევის პრევენციულ ღონისძიებას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ორგანიგრამა;
- პოლიგლოტის დებულება (2022 წლის 05.09. ბრძანება №2/1-04);
- ბრძანება 2024-2025 სასწავლო წლისათვის საშტატო განრიგისა და სკოლის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ (06.09.2024წ. ბრძ. N211-31-1);
- საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები (2024 წლის 09.08. ბრძანება N2/1-22);
- ,,შპს სკოლა პოლიგლოტის ზოგიერთ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (2025 წლის 27.08. ბრძანება N2/1-37);
- შინაგანაწესი;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- 2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლის ემისის (emis) ბაზა;
- სკოლის ვებგვერდი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება შპს სკოლა პოლიგლოტის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც (დამტკიცებულია 2023 წლის 10.07. ბრძანება N2/1-11.) ითვალისწინებს ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. ვიზიტის პერიოდში აღნიშნული დოკუმენტის სახელწოდებასთან დაკავშირებით დადგინდა ტექნიკური უზუსტობა, ბრძანებით დოკუმენტის სახელწოდებაა ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და მექანიზმები", ხოლო თავად დოკუმენტის სახელწოდება არის ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა". ექსპერტთა მიერ დაწესებულებამ მიიღო **რჩევა, შესაბამისობაში იქნას მოყვანილი დოკუმენტის ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" სახელწოდება და მისი დამტკიცების ბრძანებაში მოხსენებული სახელწოდება** (2023 წლის 10.07. ბრძანება N2/1-11).

სკოლამ აღნიშნული რჩევა გაითვალისწინა და არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა ბრძანება დოკუმენტის სახელწოდებაში ცვლილების შეტანის შესახებ. შპს სკოლა პოლიგლოტის დირექტორის 2025 წლის 05 სექტემბრის N2/1-43 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება შპს სკოლა პოლიგლოტის დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის N2/1-11 ბრძანების სათაურსა და ტექსტში და ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის სახელწოდება - „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და მექანიზმები" ჩასწორდა შემდეგი სახით - „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა".

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესებს ასევე არეგულირებს შინაგანაწესი (დამტკიცებულია 2019 წლის 09.09. ბრძანება N2/1-07; ცვლილება შეტანილია 2022 წლის 15.03. ბრძანება N2/1-02), რომელიც შედგენილია საქართველოს ,,შრომის კოდექსის" მოთხოვნათა გათვალისწინებით და ეფუძნება საქართველოს განათლების სისტემაში მოქმედ კანონებს და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს. შინაგანაწესი მიზნად ისახავს სკოლის საქმიანობისათვის ხელშეწყობას, სკოლის მისიის შესრულებს და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას; სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომითი და მის თანმდევ ურთიერთობის მოწესრიგებასა და კონტროლს; სკოლაში დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფას; სასწავლო-სამუშაო დროის რეგულირებასა და რაციონალური გამოყენებას; სკოლაში სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის მოსწავლეთა ქცევის წესების მოწესრიგებას. დასაქმებული თავის შრომით უფლებას ახორციელებს სკოლასთან შრომითი ხელშეკრულების დადების გზითა და სამსახურებრივი ინსტრუქციების გათვალისწინებით. შინაგანაწესით ასევე რეგულირდება შრომითი ურთიერთოებების წარმოშობის პროცესები.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის მასალები (ბრძანებები). ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა სკოლის მიერ გამოცხადებული საკონკურსო პროცედურების განხორციელების ეტაპები. შესაბამისად, კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის გამოცხადების პროცედურები როგორც ადმინისტრაციის თანამშრომლების, ასევე მასწავლებლების სკოლაში მიღების მიზნით, განსაზღვრულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანების შესაბამისად.

ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, თუმცა ექსპერტთა მიერ ხელშეკრულებების შესწავლილსას, თავდაპირველად დადგინდა რამდენიმე ხარვეზი. კერძოდ,

1. მასწავლებელთა ხელშეკრულების ნაწილში არ იყო მითითებული რა საათობრივი დატვირთვით გაფორმდა კანდიდატთან ხელშეკრულება;

2. ხელშეკრულებების ნაწილში არ იყო მითითებული ხელფასის მიღების ოდენობა ანუ რამდენჯერ იღებდა თანამშრომელი ხელფასს;

3. ხელშეკრულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი დასაქმებულს ავალდებულებდა ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე 3 თვით ადრე წერილობითი ფორმით შეატყობინოს სკოლის დირექტორს მომდევნო სასწავლო წლისთვის თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ. ამავე მუხლის პუნქტი 3-ის თანახმად, აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ან/და წერილობითი თანხმობის დარღვევის შემთხვევაში, დასაქმებულს ეკისრებოდა ფინანსური სანქცია 3 თვის ხელფასის ოდენობით.

აღნიშნული პუნქტი ეწინააღმდეგებოდა ამავე ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის შინაარსს, რომლის თანახმად, დასაქმებულის ინიციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას, იგი ვალდებულია დამსაქმებელს აღნიშნულის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართოს 30 კალენდარული დღით ადრე. აღნიშნულ რეგულაციას აგვარებს შრომის კოდექსი. შესაბამისად, შრომით ხელშეკრულებაში ერთმანეთთან შესაბამისობაში არ იყო მე-8 მუხლის პუნქტი 2, პუნქტი 3 და მე-9 მუხლის პუნქტი 5. გარდა ამისა, მე-8 მუხლის პუნქტი 2 და პუნქტი 3 არღვევდა მხარეთა ნებას, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა დასაქმებულის შრომითი პირობების გაუარესება. ამასთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენლებმა ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილება შეიტანეს შრომითი ხელშეკრულების ფორმაში და იგი მოიყვანეს შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის შინაგანაწესის, სკოლის მიერ შემუშავებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის", ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების (დამტკიცებულია 2021 წლის 07 ოქტომბერს, ბრძ. N1-41) შესაბამისად.

შინაგანაწესით სკოლას განსაზღვრული აქვს დისციპლინური გადაცდომების შემთხვევებში შესაბამისი პროცედურები და პასუხისმგებლობის სახეები, განსაზღვრულია წახალისების სისტემა. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მექანიზმს არეგულირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებთან ექსპერტთა მიერ გასაუბრებით დადგინდა, პერსონალის პრევენციული და ინტევენციული მართვისათვის სკოლა ახდენს ადამიანური რესურსის საჭიროების დროულ ანალიზს, ახდენს ადამიანური რესურსების საჭიროებების პროგნოზირებას. პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვისთვის სკოლა ატარებს კვლევებს. კვლევის მონაცემთა ანალიზით განსაზღვრავს საჭიროებებს და შემდგომ გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, რათა კრიტიკულ შემთხვევაში ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს, არ დაირღვეს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოება. თუ მასწავლებელი ვერ ახერხებს სამუშაოზე გამოცხადებას და ვერც დროულად აცნობებს სკოლას აღნიშნულის შესახებ, ხდება ჩანაცვლება იმავე საგნის მასწავლებლით შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული პუნქტი რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის (მუხლი 9) მიხედვით.

სკოლაში შემუშავებულია ,,საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები" (2024 წლის 09.08. ბრძანება N2/1-22), რომლის საფუძველზე ხდება პერსონალის შერჩევა. სკოლაში მოქმედებს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებებს რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლა მასწავლებელთა საჭიროებების დადგენას ახდენს საგაკვეთილო დასწრებით, რისთვისაც იყენებს გაკვეთილის შეფასების ფორმას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტაციებში: შინაგანაწესი (მუხლი 8, მუხლი 9), ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (მუხლი 4), ,,საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები" (2024 წლის 09.08. ბრძანება N2/1-22), განსაზღვრულია ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც ადგენს შპს სკოლა პოლიგლოტში მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, მათ შორის, კონკურსის ჩატარების

წესსა და პირობებს, კონკურსის ეტაპებს, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით.

დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია კონკურსის ვადები და პირობები, განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე www.teacherjobs.ge. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ბრძანება ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების, კანდიდატთა განაცხადის მიღების ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ (2024წლის 02.07. ბრძანება N2/1-27). ვაკანსია გამოცხადებულია უცხოური ენის მასწავლებელის პოზიციაზე, თუმცა საკვალიფიკაციო მთხოვნებში გაწერილი იყო სპორტის მასწავლებლის საკვალიფიკაიო მოთხოვნები. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ აღნიშნა, რომ იყო ტექნიკური უზუსტობა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ იქნა დამატებითი საკონკურსო მასალები (ოქმები), თუმცა დაწესებულების მიერ არ იქნა მასალა მოწოდებული, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი ვერ აფასებს პერსონალის შერჩევის გამჭირვალობის პროცესს. მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია სტატუსების მიხედვით.

არგუმენტრებული პოზიციის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების დოკუმენტაციის ნიმუშები, რითაც დასტურდება პერსონალის შერჩევის პროცესების განხორციელება სკოლის მიერ შემუშავებული „საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ შესაბამისად. ზემოთქმულიდან გამომდინარე **ინდიკატორი 3.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტით „საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (2024 წლის 09.08. ბრძანება N2/1-22) განსაზღვრულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. emis-ის მონაცემებით, სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი-1; დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობითი პროცესების მენეჯერი-1; დირექტორის მოადგილე-საორგანიზაციო პროცესების მართვის მენეჯერი-1; უფროსი მასწავლებელი-34; მოწვეული მასწავლებელი-7; მასწავლებლობის მაძიებელი-1; სპეციალური მასწავლებელი-1; ფინანსური მენეჯერი-1; ხარისხის მართვის მენეჯერი-1; მთავარი ბუღალტერი-1; კომპანიის მდგრადი განვითარების მენეჯერი-1; ოფისმენეჯერი-1; დაცვა-1; არაფორმალური განათლების მართვის მენეჯერი-1; ბიბლიოთეკარი-1; ფსიქოლოგი-1; ექიმი-1; შრომის უსაფრთხოების მენეჯერი-1; გახანგრძლივებული ჯგუფის ხელმძღვანელი-1; საინფორმაციო მენეჯერი-1; დამხმარე მასწავლებელი-2; დამლაგებელი-2; მეეზოვე-1; მზარეული-2; მზარეულის დამხმარე-3.

ექსპერტების მიერ შესწავლილი თანამშრომელთა პირადი საქმეებისა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების, ასევე თანამშრომელთა ბაზის დათვალიერებით დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ

თანამდებობას, მათი კვალიფიკაცია და მოთხოვნები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. თუმცა, გარკვეული **ხარვეზი დაფიქსირდა პირად საქმეებთან დაკავშირებით,** კერძოდ:

- რამდენიემ თანამშრომლის **პირად საქმეში არ იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები, კერძოდ, „უფლების ჩამორთმევის“ ცნობები.** ამასთანავე დაწესებულებამ ექსპერტთა მიერ მიიღო რეკომენდაცია, რომ შინაგანაწესით განსაზღვრული პერსონალის სავალდებულო დოკუმენტების ნუსხისთვის დაემატებინათ ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და ასევე, ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ზოგადი განათლების კანონის 33.1 პრიმა მუხლის შესაბამისად. ვიზიტის პერიოდშივე დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და სკოლის შინაგანაწესში შეტანილ იქნა ცვლილება („შპს სკოლა პოლიგლოტის ზოგიერთ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (2025 წლის 27.08. ბრძანება N2/1-37) პერსონალის პირად საქმეში ზემოხსენებული სავალდებულო ცნობების დამატების შესახებ;

<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა აღნიშნული ცნობები.</u>

- emis-ის ბაზის მონაცემებზე დაყრდნობით და პირადი საქმეების შესწავლით ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა **7 მოწვეული მასწავლებელი. ხელშეკრულებით მათთან განსაზღვრული იყო კანონმდებლობის შესაბამისად საათობრივი დატვირთვა არაუმეტეს 9 საათისა, თუმცა სკოლის საათობრივი ბადის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ყველა მათგანთან დარღვეული იყო ეს პირობა და მათი საათობრივი დატვირთვა შეადგენდა 12-დან 18საათს.** აღნიშნული ეწინააღმდეგება კანონმდებლობას (ზოგადი განათლების კანონი მუხლი 2, პუნქტი ღ9);

<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა emis-ს ბაზა და საათობრივი ბადე, რომლის მიხედვით დასტურდება, რომ დაცულია მოწვეული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა კანონმდებლობის შესაბამისად. მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება 8 საათს.</u>

- **ექიმს არ ჰქონდა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე კანონით დადგენილ სპეციალობაში** (ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი). ექიმთან გასაუბრებისას ექსპერტთათვის ცნობილი გახდა, რომ მას სასერტიფიკატო გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა, მაგრამ ჯერ არ ჰქონდა მიღებული სერტიფიკატი. ვიზიტის პერიოდში სკოლამ ექიმის მიერ გამოცდის წარმატებით ჩაბარების შესახებ ცნობა ვერ წარმოადგინა.

<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა ექიმის სახელმწიფო სერტიფიკატი,</u> რომლითაც მას მიენიჭა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება სპეციალობაში: „პედიატრია“. ამგვარად, მისი კვალიფიკაცია სრულად აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი

ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით“ დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიიჩნევს, რომ ინდიკატორი 3.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების და კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების (პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის, კურიკულუმზე მომუშავე ჯგუფის მუშაობის დამადასტურებელი ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებთან გასაუბრებისას არამარტო პერსონალმა, არამედ თავად მოსწავლეებმაც აღნიშნეს კონკრეტული მაგალითების დასახელებით, სკოლა ყოველთვის ცდილობს გაითვალისწინოს სკოლის თემის მოსაზრებები და ერთობლივად გადაჭრას პრობლემები.

როგორც ოქმების შესწავლისა და საგნობრივ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კათედრების და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებების, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესის ანალიზით და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

შპს სკოლა პოლიგლოტის მარეგულირებელი დოკუმენტებში ვხვდებით წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმებს, რომელთა განხორციელების პროცესებზე ისაუბრა სასკოლო საზოგადოებამ ექსპერტებთან.

სკოლის შინაგანაწესის (2019 წლის 09.09. ბრძანება N2/1-07) მე-11 და მე-12 თავების მიხედვით განსაზღვრულია დასაქმებულთა/მასწავლებელთა წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა. დღესასწაულებთან დაკავშირებით, მოტივაციის ამაღლების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, საგანმანათლებლო

პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის ან/და სხვა დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში, დამსაქმებელი უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დასაქმებულის/მოსწავლის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი, რაზეც გამოიცემა ბრძანება;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (2023 წლის 10.07. ბრძანება N2/1-11) დოკუმენტის მიხედვით (მუხლი 2. პუნქტი 2.5) სკოლა მიიჩნევს, რომ პერსონალის წახალისების სისტემა (შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების ღონისძიებები, პროფესიული განვითარების ხელშემწყობი აქტივობები, ტრენინგები, სემინარები, კონფერენციები და სხვ.) არის ადამიანური რესურსების მართვის უმთავრესი მექანიზმი. ის ხელს უწყობს სკოლაში კვალიფიციური და მოტივირებული პერსონალის მოზიდვას. წახალისების სისტემა პირდაპირაა დაკავშირებული ადამიანური რესურსების მართვის ეფექტურობასთან. აღნიშნულ მიდგომას აფიქსირებდა ასევე სკოლის ადმინისტრაცია ექსპერტებთან გასაუბრებისას.

სკოლის მიერ შემუშავებული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების (2021 წლის 07 ოქტომბერს, ბრძ. N1-41) მე-11 მუხლით გათვალისწინებულია პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში თანამშრომელთა შორის გამოცდილების გაზიარების ინსტრუმენტი. ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ორიენტირებულია წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მექანიზმის განვითარებაზე, რისთვისაც სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლებს, სხვადასხვა ტრენინგებზე მიღებული გამოცდილების გაზიარებაზე.

ასევე კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დაწესებულებამ მიიღო **რჩევა: სასურველია მარეგულირებელ დოკუმენტებში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს წარმატებული გამოცდილების გაზიარების მექანიზმები, კერძოდ როდის და რა ფორმით ხდება წარმატებული გამოცდილების აღიარება, რამდენად არის ეს ცნობილი სასკოლო საზოგადოებისთვის და ა.შ.** ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.1.2.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (2023 წლის 10.07. ბრძანება N2/1-11);
- შინაგანაწესი (დამტკიცებულია 2019 წლის 09.09. ბრძანება N2/1-07);
- ბრძანება შინაგანაწესში ცვლილების შეტანის თაობაზე (2022 წლის 15.03. ბრძანება N2/1-02);

- ,,შპს სკოლა პოლიგლოტის ზოგიერთ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (2025 წლის 27.08. ბრძანება N2/1-37);
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (2021 წლის 07 ოქტომებრს, ბრძ. N1-41);
- ბრძანება ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება შპს ,,პოლიგლოტში“ ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ (2024 წლის 05.29. ბრძანება N2/1-29);
- ,,საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (2024 წლის 09.08. ბრძანება N2/1-22);
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- emis-ის ბაზა;
- ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი;
- ხელშეკრულებების ჟურნალი;
- კათედრის დებულება;
- კათედრის ოქმები;
- ხარისხის ჯგუფიის ოქმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- საკონკურსო ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა და ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების დოკუმენტები (2023 წლის 10.07. ბრძანება N2/1-11), რომლებიც არეგულირებენ სკოლაში პერსონალის შეფასებისა და მათი პროფესიული საჭიროებათა დადგენის პროცესს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად (მუხლი 10) სკოლაში დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობა წარმოადგენს სკოლის ადამიანური რესურსების დაგეგმვის, ახალი თანამშრომლების შერჩევა-დასაქმების, ახლად დანიშნული თანამშრომლების ადაპტაციის, თანამშრომელთა შეფასებისა და მოტივირების საფუძველს. სკოლა ზრუნავს არამხოლოდ აკადემიური პერსონალის, არამედ სკოლის დირექციის წევრებისა და ტექნიკური პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, რისთვისაც სკოლაში შემუშავებულია და სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები (2023 წლის 10.07. ბრძანება N2/1-11). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება; სკოლაში მასწავლებელთა შეფასების სისტემის დანერგვა; ადამიანური რესურსების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად სკოლის შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება.

მასწავლებელთა შეფასებისა და პროფესიული განვითარების პროცესი სკოლაში ასევე რეგულირდება პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით (2021წლის 07.14; ბრძანება N1-41). როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, სკოლაში ხორციელდება მასწავლებელთა სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის/მონიტორინგის პროცესი, რაც ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს. მასწავლებელთა შეფასებისათვის და მათი შემდგომი მოტივაციისათვის დანერგილია გამჭვირვალე

და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, გაკვეთილებზე დასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სხვადასხვა კითხვარები და ამით მიღებული შედეგების ანალიზი. აღნიშნული დასტურდება ასევე ხარისხის მართვის ჯგუფის ოქმებით. მოცემული კითხვარები შექმნილია Google Forms-ის პლატფორმაზე, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. სკოლას მოწოდებული ჰქონდა გაკვეთილზე დაკვირვებისა და შეფასების კრიტერიუმები, სკოლას აქვს მასწავლებელთა შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მრავალფეროვანი მექანიზმები.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა დიდწილად ყურადღებას აქცევს მასწავლებელთა საჭიროების გამოვლენას წინასწარ დადგენილი ინსტრუმენტების (გაკვეთილის შეფასების რუბრიკები, მასწავლებელთა თვითრეფლექსიის აღმწერი დოკუმენტი და სხვ.) მეშვეობით, ხოლო რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალის მიერ შესრულებული საქმიანობის შეფასებას, ხდება შესრულებული სამუშაოს ზეპირსიტყვიერად შეფასება და სკოლის მიერ შემუშავებულ მარგულირებელ დოკუმენტში მკაფიოდ არ არის გაწერილი როგორ ხდება პერსონალის შეფასება. ამიტომ სკოლამ ექსპერტთა მიერ მიიღო <u>რჩევა</u>, **სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტში გაიწეროს მკაფიო კრიტერიუმები, რის მიხედვითაც უფრო გამჭირვალე გახდება თანამშრომლის (მასავლებელების გარდა) მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება და ამის საფუძველზე გამოკვეთილი პროფესიული საჭიროების იდენტიფიცირება.**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვქვათ, რომ **ინდიკატორი 3.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტებში („ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა“, „ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები“, „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, „მონიტორინგის ჯგუფის დებულება“) დეტალურად არის აღწერილი პერსონალის განვითარების მექანიზმები და ინსტრუმენტები. სკოლაში იმართება კონსულტაციები და სადისკუსიო შეხვედრები.

ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ სკოლაში ყოველწლიურად ტარდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვები. აღნიშნული გამოკითხვები ხელს უწყობს საჭიროების გამოვლენას. კერძოდ თუ რა კუთხით სჭირდება სკოლას გაუმჯობესება - სასწავლო პროგრამული თუ ადამიანური რესურსის კუთხით და გეგმავს/ახორციელებს შესაბამისი ღონისძიებებს/აქტივობებს. ანალიზი მუშავდება და განიხილება ცალკეულ პედაგოგთან (საჭიროების შემთვევაში). შეფასების ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები განიხილება პედაგოგთა და თანამშრომელთა შეხვედრებზე, ისახება

პრობლემის გადაჭრის გზები. აღნიშნულის ანალიზის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება („ხარისხის განვითარების მექანიზმი“). დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში ხორციელდება მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება, რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალა (საჭიროების კვლევის კითხვარები, გაკვეთილზე დასწრების ბარათები, მასწავლებელთა რეფლექსიები და სხვ.). **ინდიკატორი 3.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა მასწავლებლის პიროვნების პროფესიული განვითარებისთვის იყენებს ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა: სკოლის ბაზაზე პრაქტიკის გაზიარება, ტრენინგები, ურთიერთდახმარება სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსების გაზიარებით, გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა. გარდა ამისა, სკოლა ეხმარება თანამშრომლებს სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობაზე, რასაც თავად სკოლა აფინანსებს. სკოლა თანაბარ პირობებს ქმნის ყველა მასწავლებლისთვის აიმაღლოს კვალიფიკაცია, რაც დაეხმარება მასწავლებელს გააუმჯობესოს სწავლ-სწავლების ხარისხი. ამ მიზნით სკოლა რეკომენდაციას უწევს და სთავაზობს ტრენინგებს, ვორქშოფებს, კონფერენციებს, სადაც მასწავლებლებს აქვთ საშუალება დაესწრონ, მიიღონ მონაწილეობა, გამოცდილება გაუზიარონ კოლეგებს და გასცენ კონსტრუქციული უკუკავშირი, გაიუმჯობესონ პედაგოგიური პრაქტიკა და საჭიროების შეთხვევაში განახორციელონ მიზნობრივი ინტერვენციები სასწავლო პროცესში, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, ისე მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, რადგან მასწავლებლების პროფესიონალიზმი პირდაპირ უკავშირდება მოსწავლის წარმატებასაც. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა მაძიებელი მასწავლებელი. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, სკოლა მაქსიმალურად ორიენტირებულია მისი კარიერული წინსვლის ხელშეწყობაზე კანონმდებლობის შესაბამისად. სხვადასხვა უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში სკოლის პედაგოგები ეხმარებიან სტუდენტებს პროფესიის დაუფლებაში. მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლისას პედაგოგებს წარმოდგენილი ჰქონდათ სხვადასხვა ტრენინგის სერტიფიკატები. **ინდიკატორი 3.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა პოლიგლოტის მიერ შემუშავებული ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესით (2024 წლის 17.06. ბრძ. N2/1-09) რეგულირდება ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესი და ის აქტივობები, რაც პერსონალს ეხმარება სკოლაში დამკვიდრებული წესებისა და ტრადიციების გაცნობაში, რათა სწრაფად მოხდეს ორგანიზაციის კულტურასთან შეგუების

პროცესი. დოკუმენტში განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის სკოლაში ადაპტაციის მიზნით თანამშრომელთა ვალდებულებები როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე ადმინისტრაციის წევრებისთვისაც.

გარდა ამისა, სკოლის მიერ შემუშავებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" (2023 წლის 10.07. ბრძანება N2/1-11) არეგულირებს სკოლაში ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესს (მუხლი 7, მუხლი 8). ადაპტაციის პროცესში ხდება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების, სკოლის ორგანიზაციული მოწყობის, სამუშაო პროცესისა და დავალებების შესრულების სტანდარტების, სკოლის შინაგანაწესის და სხვა დოკუმენტაციის გაცნობა, რომლითაც ხორციელდება სწავლა-სწავლების პროცესი სკოლაში. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი ახალი თანამშრომლის ინტეგრაციისთვის აქტივობები. ასევე კათედრის დებულების მიხედვით, კათედრის ერთ-ერთი ამოცანაა პედაგოგებს შორის ურთერთთანამშრომლობის განვითარება. ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობითია, შესაბამისად, ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია ახალ სამუშაო გარემოსთან ეფექტურად ხორციელდება. სკოლა აცნობს მათ სკოლის ძირითად, მარეგულირებელ დოკუმენტებს. შექმნილია კოლეგიალური, კეთილგანწყობილი, ხელშემწყობი გარემო ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით. **ინდიკატორი 3.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა პოლიგლოტის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის (2023 წლის 10.07. ბრანება N2/1-11) თანახმად, სკოლა მიიჩნევს, რომ პერსონალის წახალისების სისტემა (შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების ღონისძიებები, პროფესიული განვითარების ხელშემწყობი აქტივობები, ტრენინგები, სემინარები, კონფერენციები და სხვ.) არის ადამიანური რესურსების მართვის უმთავრესი მექანიზმი. ის ხელს უწყობს სკოლაში კვალიფიციური და მოტივირებული პერსონალის მოზიდვას. წახალისების სისტემა პირდაპირაა დაკავშირებული ადამიანური რესურსების მართვის ეფექტურობასთან.

როგორც სკოლის წარმომადგენლებმა ექსპერტებთან საუბრისას აღნიშნეს, ინიციატივები პერსონალის მხრიდან ძირითადად ხორციელდება ზეპირსიტყვიერად. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმებად შინაგანაწესის მიხედვით (მუხლი 25, მუხლი 26) გათვალისწინებულია: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლის მიერ შეთავაზებული წახალისების სისტემა დასაქმებულებისთვის ქმნის მოტივაციას იყვნენ აქტიურები და განვითარდნენ პროფესიულად. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დასაქმებულებს საშუალება ეძლევათ დააფიქსირონ რა სახის დახმარება ესაჭიროებათ პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლის დირექტორის მიერ წახალისების მიზნით გაცემული დასაქმებულებზე ფასიანი საჩუქრებიც (ბრძანება თანამშომელთა წახალისების მიზნით პრემიის გაცემის შესახებ 2024 წლის 08.01. ბრძ. N2/1-01). **ინდიკატორი 3.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი (2024 წლის 17.06. ბრძ. N2/1-09);
- სკოლის შინაგანაწესი;
- პროფესიული განვითარების მექანიზმები;
- პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (2021 წლის 07.14; ბრძანება N1-41);
- პედაგოგების ტრენინგის დაფინანსების ამსახველი დოკუმენტი;
- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა (2023 წლის 10.07. ბრანება N2/1-11);
- ბრძანება თანამშრომელთა წახალისების მიზნით პრემიის გაცემის შესახებ (2024 წლის 08.01. ბრძ. N2/1-01);
- კათედრის დებულება;
- კათედრის ოქმები;
- მონიტორინგის ჯგუფის დებულება;
- მონიტორინგის ჯგუფის ოქმები და ანგარიში;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება (2024 წლის 05.09. ბრძანება N2/1-29);
- ხარისხისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

შპს სკოლა პოლიგლოტში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე ციკლს. ამის დასტურია, დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება, მონიტორინგის ჯგუფის დებულება და სხვ. ხარისხის მართვის მექანიზმის დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი ყველა პროცესი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. ხარისხის მართვისთვის სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესს და შესაბამის ბიუჯეტს, ახორციელებს დაგეგმილ ღონისძიებებს და პერიოდულად, კათედრების, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე აფასებს, სასწავლო წლის ბოლოს კი საქმიანობის შემაჯამებელი შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის შესამუშავებლად. სკოლაში მოქმედი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობის ფარგლებში ახორციელებს მასწავლებელთა საჭიროებების იდენტიფიცირებას, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სამოქმედო გეგმები, ოქმები, ანგარიშები, რომლებიც ასახავს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის ციკლურ პროცესებს. ყოველივე ამის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორი 3.3.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს, რომლებიც იდენტიფიცირებულია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში და აღწერილია სკოლის მიერ სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებში (სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კურიკულუმი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, სკოლის დებულება და სხვა). აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. ნათლადაა გაწერილი კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

მმართველობითი პროცესი უკავშირდება სკოლის საქმიანობის დაგეგმვას და კონტროლს. მასში იგულისხმება სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება (სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა).

ძირითად პროცესად სკოლაში განისაზღვრება: სასკოლო კურიკულუმის შემუშავება/გაუმჯობესება; სასკოლო კურიკულუმის განხორციელება; სასწავლო პროცესის ორგანიზება, მართვა და ა.შ

სკოლაში მიმდინარე დამხმარე პროცესები ხელს უწყობს ძირითადი პროცესების წარმართვას - სასწავლო პროცესის სრულფასოვან განხორციელებას. სკოლაში დამხმარე პროცესებად ითვლება: ელექტრონული ჟურნალის წარმოება; საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); ფინანსების მართვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა; მატერიალური რესურსების მართვა; ადამიანური რესურსების მართვა; მოსწავლის სერვისების განხორციელება; საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; ფინანსური რესურსებს მართვა; უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა და ა.შ.

სკოლაში ადმინისტრაცია წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად რგოლს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. სკოლაში სწავლის შედეგების შეფასებისა და სისტემის ხარისხის უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულია მონიტორინგის ჯგუფი. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი, მონიტორინგის ჯგუფი. შრომითი ხელშეკრულებები და შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). სკოლას ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ მიეცა **რჩევა, სასურველია უფრო დეტალურად იქნას აღწერილი ყველა დამხმარე, მმართველობითი და ძირითადი პროცესები ერთიან დოკუმენტში. ინდიკატორი 3.3.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის მიერ შემუშავებული სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით რეგულირდება განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის ვადები, დისციპლინური სახდელის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და ვადები. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები შეიცავს მითითებას სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრების უფლების თაობაზე. აღნიშნული წესის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, სკოლის მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე, ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს, მიმართოს სკოლას ნებისმიერი განცხადებით/საჩივრით.

სკოლის პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები გაწერილია შინაგანაწესში და მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლაში მოსწავლის მობილობისას მოსწავლის მშობელთან (კანონიერ წარმომადგენელთან) ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობები, დავის წარმოშობის შემთხვევაში-გასაჩივრების მექანიზმები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესის 24-ე მუხლი არეგულირებს საჩივრის განხილვის წესს. კანონმდებლობით, დაწესებულების დებულებით და შინაგანაწესით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს, მასწავლებელს/სხვა დასაქმებულს და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს ,,შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ დირექტორს/დირექტორატს". ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს სკოლამ მიიღო <u>**რჩევა, შინაგანაწესის 24-ე მუხლში საჩივრით მიმართვის ადრესატი იყოს ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრულია სკოლის ორგანიგრამით, კერძოდ, სკოლას არ ჰყავს ,,შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დირექტორი/დირექტორატი**</u>". <u>სკოლას ჰყავს დირექტორი.</u>

სკოლის შინაგანაწესით (მუხლი 38) განსაზღვრულია ასევე განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, რომლის თანახმად ,,განცხადების/საჩივრის განხილვის ვადაა 1 თვე. დირექტორის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია გაიზარდოს 3 თვემდე". სკოლას მიერ შემუშავებული გასაჩივრების წესისა და პროცედურების დოკუმენტის (ბრძანება N2/1-17; 10.07.2024წ.) თანახმად (მუხლი 3), განცხადება განიხილება რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. ,,საჩივრის განხილვა ხდება მისი რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში. საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით ერთი თვის ვადით". განცხადების /საჩივრის ვადები ორ მარეგულირებელ (შინაგანაწესი-მუხლი 38; გასაჩივრების წესი და პროცედურები-მუხლი 3) დოკუმენტში არ ემთხვევა ერთმანეთს, რითაც ირღვევა გადაწყვეტილებების გასაჩივრების განხილვის სისტემის გამჭირვალობა. ამიტომ სკოლამ ვიზიტის პერიოდში ექსპერტებისგან მიიღო რეკომენდაცია, მოეყვანათ

გასაჩივრების განხილვის ვადები შესაბამისობაში. თუმცა დაწესებულებას აღნიშნული ცვლილება არ განუხორციელებია, რის გამოც, ინდიკატორი არ აკმაყოფილებდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სკოლამ სკოლის მიერ განხორციელდა შესაბამისი ცვლილება სკოლის შინაგანაწესში, რომლის თანახმადაც საჩივრის წარდგენისა და განხილვის წესი განისაზღვრება შპს სკოლა პოლიგლოტის დოკუმენტის „გასაჩივრების წესი და პროცედურები“ შესაბამისად. არგუმენტირებული პოზიციის სახით სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების ბრძანება (2025წ. ბრძანება N2/1-42); აღნიშნულიდან გამომდინარე შესაბამისობაშია მოყვანილი საჩივრის განხილვის ცადეები და პროცედურები.

,,საკადრო კონკურის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (2024 წლის 09.08. ბრძანება N-2/1-22) რეგულირდება კონკურსანტის უფლებების დაცვის პროცესი, კერძოდ კონკურსის პროცედურებისა და შედეგების გასაჩივრებისათვის პირმა განაცხადი უნდა შეიტანოს სკოლის დირექტორის სახელზე, რომელიც ამ განცხადების განხილვის მიზნით ბრძანებით ქმნის საპრეტენზიო კომისიას. **ინდიკატორი 3.3.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობანი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის, მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულებისა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ სკოლასა და დასაქმებულებს შორის შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების გამო. შინაგანაწესით განისაზღვრება სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შესვენებისა და დასვენების დრო, დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი, წახალისებისა და დისციპლინური სახდელების გამოყენების პრინციპები, დასაქმებულისა და მოსწავლის მატერიალური პასუხისმგებლობა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, სასწავლო პროცესში მონაწილეთა უფლება მოვალეობანი.

შინაგანაწესის გარდა სკოლის მიერ შემუშავებული არაერთი მარეგულირებელი დოკუმენტი არეგულირებს პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომამდგენლის უფლებების დაცვის მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს სკოლაში ორგანიზებული სასწავლო გარემოს შექმნას. სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და

დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. მშობლის უფლებამოსილებები ასევე აღწერილია მშობელთან ურთიერთობის დებულებაში (კომუნიკაციების სტრატეგიები);
შინაგანაწესის გარდა, სკოლაში მოქმედებს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლას გასაჯაროებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტები და ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი 3.3.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (2023 წლის 14.09. ბრძანება N2/1-27);
- პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (2021 წლის 07.14; ბრძანება N1-41);
- შინაგანაწესი (დამტკიცებულია 2019 წლის 09.09. ბრძანება N2/1-07; ცვლილება შეტანილია 2022 წლის 15.03. ბრძანება N2/1-02);
- სკოლის დებულება (2022 წლის 05 სექტემბრის ბრძანება №2/1-04);
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (2023 წლის 10.07. ბრძანება N2/1-11);
- ხარისხის ჯგუფის ოქმები და ანგარიში;
- გასაჩივრების წესისა და პროცედურები (ბრძანება N2/1-17; 10.07.2024წ.);
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულება;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების პროცესებს სკოლაში რამდენიმე მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს. კერძოდ: მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), პოლიგლოტის დებულება (2022 წლის 05.09. ბრძანება №2/1-04); საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები (2024 წლის 09.08. ბრძანება N2/1-22).

სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისთვის, გარდა ვებგვერდის და სოციალური ქსელისა, სკოლა იყენებს: სატელეფონო ზარებს; ელექტრონულ ჟურნალს; სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრებს (მაგ.მშობელთა კრებები); სხვადასხვა მიზნობრივ კითხვარებს.

როგორც სკოლის წარმომადგენლებთან, ასევე მოსწავლეთა მშობელებთან/კანონიერ წარმომადგენლბეთან ექსპერტთა მიერ გასაუბრებითაც დადგინდა, სკოლა უზრუნველყოფს მშობლის ინფორმირებას და თავადაც აქვთ შესაძლებლობა გააზიარონ სკოლის წარმომადგენლებთან ნებისმიერ საკითხი, რასაც სკოლის მხრიდან ყოველთვის აქვს რეაგირება. მშობელთან ურთიერთობის დებულების თანახმად, სკოლა ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ; ხოლო მშობელს ევალება პერიოდულად მივიდეს სკოლაში და გაეცნოს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას და სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციას.

მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება: მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით); ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით; განმავითარებელი შეფასებებით (სემესტრული)-I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში; განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასებებით - V კლასის II სემესტრში და VII-XII კლასებში; მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს; ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით. SchoolBook-ით, სადაც ყოველდღიურად თავსდება დეტალურად აღწერილი საშინაო დავალებები და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები (გარდა აკადემიური მოსწრებისა). ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა კვლევის შედეგები, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოებისგან უკუავშირის მიღებისა და მათზე რეაგირების შესაძლებლობას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.3.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებიით დგინდება, სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრებაში. კერძოდ, პედაგოგიურ საბჭოში მასწავლებლების ჩართულობით განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სკოლის ფილოსოფია, სკოლის განვითარების ერთწლიანი და შვიდწლიანი სამოქმედო გეგმები. პედაგოგიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სასწავლო

პროცესთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით. საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლები იღებენ გადაწყვეტილებას საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.
მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა ჩართულობის მიზნით ფუნქციონირებს მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავებს და სკოლის დირექციას წარუდგენს მნიშვნელოვან მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, იცავს მოსწავლეთა ინტერესებს და მათი უფლებებს, საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობს მოსწავლეებს სკოლის დირექციასთან. მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში სხვადასხვა ფორმით ხდება. შემუშავებულია თითოეული რგოლის დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი ფუნქციები, არჩევის წესი, ფუნქციონირება, უფლებამოსილებები და ა.შ. აღნიშნული დასტურდება პედსაბჭოს, კათედრების, მონიტორინგის ჯგუფის, ხარისხის ჯგუფის, მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის ოქმებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. **ინდიკატორი 3.3.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პოლიგლოტის დებულება (2022 წლის 05.09. ბრძანება №2/1-04);
- საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები (2024 წლის 09.08. ბრძანება N2/1-22);
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);
- პედსაბჭოს ოქმები;
- მოსწავლეთა საინიციტივო ჯგუფის ოქმები;
- საინიციატივო ჯგუფის დებულება;
- კათედრის დებულება;
- კათედრის ოქმები;
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი (შეთანხმების წერილი 2020 წლის 13.04. MES 8 20 00022797).

- ***ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი*** - სკოლის ტერიტორიაზე ორივე შენობაში სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის 2 თანამშრომელი. დასვენებაზე მოსწავლეები მუდმივად მორიგე მასწავლებლების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირიც (2025 წლის 07.03. ბრძანება N2/1-13). სკოლის ეზო შემოღობილია და შექმნილია უსაფრთხო გარემო. შენობა შიდა და გარე პერიმეტრზე აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით, თუმცა დაწყებითი საფეხურისთვის განკუთვნილ შენობაში პირველ და მეორე სართულზე კიბის უჯრედებზე სამეთვალყურეო სისტემა არ იყო დამონტაჟებული. ექსპერტებთან გასაუბრებისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დამატებით შეიძენდნენ 2 სათვალთვალო კამერას, თუმცა ვიზიტის პერიოდში სკოლას არ წარმოუდგენია შესყიდვის დოკუმენტაცია ან დამონტაჟებული კამერები. სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული ვიდეომეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირი.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა ვიდეოკამერის შესყიდვის ინვოისი, მიღება-ჩაბარების აქტი და დამონტაჟებული ვიდეოკამერების ამსახველი ფოტო-მასალა.

ვიზიტის პერიოდში **სკოლამ ასევე ვერ წარმოადგინა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების გადამზადების სერტიფიკატები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის ბრძანების №65/ნ „სკოლის დირექტორის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსაზღვრული პირის გადამზადების წესის“ შესაბამისად.** ამიტომ სკოლამ ექსპერტთა მიერ მიიღო **რჩევა: უზრუნველყოს სკოლამ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გადამზადება კანონმდებლობის შესაბამისად.**

სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად მოწოდებულ იქნა მტკიცებულებები (შრომითი ხელშეკრულება, გადამზადების სერტიფიკატი, ბრძანება უსაფრთოხებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ; სსიპ საგანამანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან კორესპონდენცია 2025წ. 30.09; N4-105) იმის შესახებ, რომ დაცვის თანამშრომლად აყვანილ იქნა თანამშრომელი, რომელსაც უკვე აქვს გავლილი სსიპ - საგანამანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ორგანიზებული უფლებამოსილი პირების გადამზადების კურსი. სწორედ აღნიშნული დაცვის თანამშრომელი დაინიშნა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით უფლებამოსილ პირად (2025 წლის 01.09; ბრძანება N2/1-38). გარდა ამისა, სკოლამ მიმართა მანდატურის სამსახურს დაცვის თანამშრომლის, რომელსაც არ ჰქონდა გავლილი აღნიშნული კურსი, გადამზადების თხოვნით.

- ***უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა***-დაწესებულებამ წარმოადგინა შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (შეთანხმების წერილი: 2025 წლის 24.01. MIA. 6 25 00196378). სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი. ასევე, სართულებზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა;
- ***სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ*** - ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, რომელიც გაცემულია სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2024წლის 19 აგვისტოს დასკვნის თანახმად, ორივე შენობის შეფასებებიდან გამომდინარე, სახანძრო უსაფრთხოების სისტემა შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი ,,შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებს;
- ***უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*** - სკოლამ წარმოადგინა შპს ექსპერტ დეველოპმენტის მიერ განხორციელებული შენობის კონსტრუქციული მდგრადობის ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად ორივე შენობის მდგომარეობა აკმაყოფილებს მდგრადობისა და საიმედოობის ნორმებს. კვლევა ჩატარდა 2025 წლის 07.07. ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ექსპლუატაციისთვის ვარგისია. სკოლამ ასევე წარმოადგინა მერიის ზედამხედველობის მიერ მიღებული დასკვნა შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების ვარგისად აღიარების შესახებ (2025 წლის 13.02. წერილი N:17-01250442030);
- ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ჰყავდა **შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული 1 სპეციალისტი (შრომის უსაფრთხოების მენეჯერი).** შრომის უსაფრთხოების მენეჯერი აკონტროლებს სკოლის შრომის უსაფრთხოების სისტემას, კონსულტაციას უწევს დირექტორს შრომის უსაფრთხოების საკითხებზე და ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ. სკოლას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმა, რომლის შესაბამისად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა დასაქმებული და სხვა პირი, უზრუნველყოფილია უსაფრთხო სამუშაო გარემოთი. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ჩატარებული აქტივობების ამსახველი მასალა (სწავლების აღრიცხვის უწყისი), სამოქმედო გეგმა, ანგარიში. დაცულია ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტები.

ინდიკატორი 3.4.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში პირველადი დახმარების აღმოჩენის პროცესი რეგულირდება დოკუმენტით ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“ (2024 წლის14.01. ბრძანება N2/1-02). დაწყებითი საფეხურის შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო ექიმის კაბინეტი, რომელიც პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სკამები, მაცივარი, სასწორი, საათი, სამედიცინო ტახტი, კარადა, გადასატანი/მობილური ტახტი (ტაფჩანი), კარადა, სადაც განთავსებული იყო პირველადი მოხმარების მედიკამენტები, პაციენტის გასინჯვის პრივატულობის უზრუნველსაყოფად გამყოფი შირმა.

სკოლას ჰყავდა 1 ექიმი. მან წარმოადგინა გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა და სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალები, რომლის წარმოება სკოლაში ხორციელდება ელექტრონულად. მასზე წვდომა კი მხოლოდ ექიმს აქვს.

ექიმის კვალიფიკაცია არ იყო კანონმდებლობასთან შესაბისობაში. კერძოდ, მას არ ჰქონდა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე კანონით დადგენილ სპეციალობაში (ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი). ექიმთან გასაუბრებისას ექსპერტთათვის ცნობილი გახდა, რომ მას სასერტიფიკატო გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა, მაგრამ ჯერ არ ჰქონდა მიღებული სერტიფიკატი. ვიზიტის პერიოდში სკოლამ ექიმის მიერ გამოცდის წარმატებით ჩაბარების შესახებ ცნობა ვერ წარმოადგინა.

<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა ექიმის სახელმწიფო სერტიფიკატი,</u> რომლითაც მას მიენიჭა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება სპეციალობაში: „პედიატრია“. ამგვარად, მისი კვალიფიკაცია სრულად აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით“ დადგენილ მოთხოვნებს.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ სკოლამ მიიღო **რჩევა:** საკადრო კონკურსის ჩატარების წესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის შესაბამისად, ექიმმა <u>**განახორციელოს წლის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის ანალიზი**</u> (სამედიცინო შემთხვევების რაოდენობა და ტიპები, პერიოდული სამედიცინო შემოწმებით გამოვლენილი განვითარების დარღვევები, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ.) და მოამზადოს საჭირო წინადადებები და რეკომენდაციები სკოლის

ხელმძღვანელობისათვის წარსადგენად. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.4.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი 51 წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით". სკოლას შემუშავებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (შეთანხმების წერილი 2020 წლის 13.01. MES 8 20 00022797; დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2020 წლის 15.01. ბრძანება N2/1-03). სკოლაში ხორციელდება პედაგოგების მორიგეობაც. შინაგანაწესით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით და პროცედურების დაცვით სკოლში ფუნქციონირებს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც მონიტორინგის ჯგუფის დებულების ფარგლებში უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესის და საგაკვეთილო პროცესში წესრიგის დაცვას. სკოლას ჰყავს დაცვის 2 წევრი, ასევე განსაზღვრულია უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირები (2023 წლის 11 სექტემბერი, ბრძანება N2/1-19). სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს დასაქმებულთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული თრობის შემოწმების პასუხისმგებელი პირი (2025 წლის 07.03. ბრძანება N2/1-13). **ინდიკატორი 3.4.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას ხელს უწყობს სკოლის მიერ შემუშავებული არაერთი მარეგულირებელი დოკუმენტი. მაგ: ,,ადაპტაციის წესში" გაწერილი აქტივობები დახმარებას უწევს არამარტო პირველ კლასელებს და ახალ მოსწავლეებს, არამედ ეხმარება საერთოდ მოსწავლეებს სასწავლო გარემოში ადაპტირების პროცესში. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. ინდივიდუალური თუ გუნდური კონსულტაციები მოსწავლეებისა და მასწავლებელთათვის ხელს უწყობს მოსწავლეებისთვის შესაფერისი სასწავლო გარემოს შექმნას, მათთვის თვითგამოხატვის საშუალების მიცემას, შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეებისთვის კი სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართვას. ფსიქოლოგი უზრუნველყოფს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საჭირო მეთოდური მითითებებით, სხვადასხვა სახის აქტივობებითა და ვორქშოპებით. აღნიშნული დასტურდება ფსიქოლოგის სამოქმედო გეგმით, სემესტრული ანგარიშით და მასთან გასაუბრებით. ექსპერტებთან საუბრისას მოსწავლეები და მშობლები ხაზს უსვამდენენ ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს არსებობას სკოლაში.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ჰყავდა 1 ფსიქოლოგი, 1 სპეც.მასწავლებელი. სასკოლო კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები სკოლაში ქმნის ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო

გარემოს. დამრიგებლების მიერ ტარდება სადამრიგებლო საათი, რომლის ფარგლებშიც დამრიგებელი ასაკის შესაბამისად მუშაობს შემდეგ მიმართულებებზე: მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია, ბულინგი, პიროვნული და სოციალური განვითარება და სხვა. **ინდიკატორი 3.4.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი, რომლის მე-8 მუხლით რეგულირდება სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას საშტატო განრიგით დამტკიცებული ჰყავს 2 დამლაგებელი, რომელთა შრომით ხელშეკრულებაში დეტალურად არის აღწერილი მათი ფუნქცია-მოვალეობები, რაც სკოლის დებულებითაც არის განსაზღვრული. ყოველი შესრულებული სამუშაოს აღრიცხვა ხდება სკოლის მიერ შემუშავებულ ფორმაში და დასტურდება დამლაგებლის ხელმოწერით. გარდა ამისა, სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელია ექიმი, რაც დასტურდება სკოლის დებულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების აღწერით, ექიმთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებითა და ექსპერტთა მიერ მასთან გასაუბრებით.

სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე სივრცე. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება იზოლირებულად სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ იზოლირებულ სივრცეში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ვაჟებისთვის, ხოლო პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის არსებობს ცალკე სანიტარული კვანძი.

სკოლაში (ორივე შენობის) არსებულ კაფეტერიაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს კვების მონიტორინგის ჯგუფს, რომელიც შექმნილია 2024 წლის 03 სექტემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 24 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანების "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე" შესაბამისად. ბრძანების მიხედვით მონიტორინგის ჯგუფი სულ მცირე თვეში ერთხელ ახორციელებს კვების ობიექტის მონიტორინგს და შესაბამისობის შესახებ სკოლის მიერ შემუშავებულ ფორმით წარადგნეს მონიტორინგის შედეგებს.

სკოლის ეზო კეთილმოწყობილია და მოსწავლეებიც ჩართული არიან ეზოს კეთილმოწყობაში. სკოლას საშტატო განრიგით დამტკიცებული ჰყავს ასევე მეეზოვე, რომელიც ზრუნავს სკოლის ტერიტორიის დასუფთავებაზე. **ინდიკატორი 3.4.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა პოლიგლოტში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხს არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის (2024 წლის 11.07. ბრძანება N2/1-18) დოკუმენტი, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლაში მუშავდება პერსონალური მონაცემები თანამშრომელთა და მოსწავლეების შესახებ. აღნიშნული პროცესი რეგულირდება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის მიხედვით (2024 წლის 11.07. ბრძანება N2/1-19).

სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საკონსულტაციო კომპანიასთან „სეიფთი ქორფ“, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა პერსონალური მონაცემების კუთხით ოფიცრის მომსახურება, ოფიცრის გამოყოფა, სრული დოკუმენტაციის დანერგვა, დამკვეთი კომპანიის საქმიანობის კანონთან თანხვედრაში მოყვანა. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების შესაბამისობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან. სკოლა ამუშავებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, მათ შორის: ინფორმაცია მოსწავლის/თანამშრომლების ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა ნასამართლეობის (ზოგადი, სქესობრივ დანაშაულსა და უფლების ჩამორთმევის) შესახებ. მონაცემები მუშავდება სხვადასხვა მოქმედების განხორციელებით, კერძოდ მოსწავლის და დასაქმებულის პირადი საქმის წარმოება, ელექტრონული ჟურნალის აღრიცხვა, ერთიან ელექტრონულ სისტემაში მონაცემების აღრიცხვა/მოძიება, სკოლის ტერიტორიაზე ვიდეო/ფოტო გადაღება და ა.შ. სკოლა ამუშავებს და ბრძანების სახით გამოსცემს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, რომელიც დაკავშირებულია პირისთვის მოსწავლის სტატუსის მინიჭებასთან, შეწყვეტასთან, შეჩერებასთან, აღდგენასთან, მობილობასთან, ჩარიცხვასთან და ა. შ.

სკოლის შინაგანაწესის მუხლი 7. პუნქტი ,,გ“-ს თანახმად ,,დირექტორს უფლება აქვს, მასწავლებელთან შეთანხმებით მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ნება დართოს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობაზე“. აღნიშნულ ჩანაწერთან დაკავშირებით ექსპერტთა მიერ სკოლამ მიიღო **რჩევა,** რომ ასეთ დროს მნიშვნელოვანია არამარტო მასწავლებელთან შეთანხმება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობის თაობაზე, არამედ აუცილებელია ეს შეთანხმება მოხდეს კლასში მყოფი ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან პერსონალური მონაცემების დაცვის კანონის შესაბამისად. ვიზიტის პერიოდშივე აღნიშნულ პუნქტში სკოლამ შეიტანა ცვლილება, რომლის თანახმად გაკეთდა ჩანაწერი დირექტორის გაკვეთილზე დასწრების შესახებ.

სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლებელია ჰქონდეს: დირექტორს, დირექტორის მოადგილეებს, ოფისმენეჯერს, საინფორმაციო მენეჯერს, ბუღალტერს, დამრიგებელს, მასწავლებელს, დაცვას

და ექიმს. აღნიშნულ წესში დეტალურად არის აღწერილი, რომელ სტრუქტურულ ერთეულს რა მონაცემებზე აქვს წვდომის უფლება და რა მიზნით. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება სოციალურ ქსელში, გარდა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან წინასწარ შეთანხმებული ინფორმაციისა. მოსწავლეთა და პერსონალის პირად ინფორმაციაზე, ესქულის ბაზაზე წვდომა შეზღუდულია და ხელი მიუწვდება მხოლოდ შესაბამის უფლებამოსილ პირს/პირებს. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი (2023 წ. 11.09; ბრძანება N2/1-21). პერსონალთან, მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელეთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაცულია პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი ასევე არეგულირებს ვიდეომონიტორინგის საკითხსაც. **ინდიკატორი 3.4.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის (2024 წლის 11.07. ბრძანება N2/1-18) დოკუმენტში დეტალურადაა განსაზღვრული სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სკოლა, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და „schoolbook" უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, ასევე მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად.

სკოლის შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის თაობაზე აღრიცხულ ინფორმაციაზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ დირექტორს და დაცვის წევრს. ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის შესახებ მონაცემების გამოყენება ხდება, მხოლოდ სკოლის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდებისთვის (დასაქმებულისთვის - სამუშაოსთან დაკავშირებული ინფორმაციის, მოსწავლისა და მშობლისთვის სასწავლო მიზნებისთვის არსებული ინფორმაციის მიწოდება). მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეებს, ოფისმენეჯერს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე). პირად საქმეებში მონაცემების შემოწმება/გამოყენება ხდება მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნით, სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე, უფლებამოსილი პირის მიერ, მაგალითად: მოსწავლის მიღების, კლასიდან კლასში გადაყვანის, მობილობის დროს ან მასწავლებლის მიღების/გათავისუფლების დროს. დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. პერსონალური ინფორმაციის დაცვის მიზნით სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას ახორციელებს სკოლის საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამების განახლებას, სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ჩაწერას, კომპიუტერული ტექნიკის უსაფრთხო

და ეფექტურ მუშაობას, სკოლის შიდა ქსელური სერვისების პროგრამულად გამართვას. **ინდიკატორი 3.4.1.7. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ვალდებულია სხვა საკითხებთან ერთად განიხილოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები. ამასთანავე, სკოლას 2024 წლის 1 ივლისიდან, ემსახურება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანიზაცია შპს „სეიფთი ქორფ“, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. **ინდიკატორი 3.4.1.8. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა (სახანძრო ექსპერტიზის ბიურო, 2024წლის 19.08);
- შენობის კონსტრუქციული მდგრადობის ექსპერტიზის დასკვნა, შპს ექსპერტ დეველოპმენტი (2025 წლის 07.07);
- ბრძანება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ (2025 წლის 07.03. ბრძანება N2/1-13);
- მერიის ზედამხედველობის დასკვნა შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების ვარგისად აღიარების შესახებ (2025 წლის 13.02. წერილი N: 17-01250442030);
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (2025 წლის 24.01. MIA. 6 25 00196378);
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (2024წ. 07.08; ბრძანება N2/1-21);
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (შეთანხმების წერილი 2020 წლის 13.01. MES 8 20 00022797; დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2020 წლის 15.01. ბრძანება N2/1-03);
- ბრძანება უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ (2023 წლის 11 სექტემბერი, ბრძანება N2/1-19);
- შრომის უსაფრთხოების მენეჯერთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;

- შრომითი უსაფრთხოების პოლიტიკა;
- შრომის უსაფრთხოების მენეჯერის სამოქმედო გეგმა და ანგარიში;
- შრომის უსაფრთხოების მიმართულებით სწავლების აღრიცხვის უწყისები;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (2024 წლის14.01. ბრძანება N2/1-02);
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება;
- ექიმის შრომითი ხელშეკრულება;
- ექიმის პირადი საქმე;
- ბრძანება შპს ,,პოლიგლოტის“ კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნისა და სასკოლო კვების ობიექტის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ (2024წ. 03.09. ბრძანება N2/1-24-1);
- ფსიქოლოგის შრომითი ხელშეკრულება;
- ფსიქოლოგის სამოქმედო გეგმა და წლიური ანგარიში;
- სადამრიგებლო მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (2024 წლის 11.07. ბრძანება N2/1-18);
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა (2024 წლის 11.07. ბრძანება N2/1-19);
- ბრძანება ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ (2023 წ. 11.09; ბრძანება N2/1-21);
- მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი;
- შპს,,სეიფტი ქორფ“-თ%ან გაფორმებული ხელშეკრულება;
- კვების მონიტორინგის ჯგუფის მიერ შევსებული აქტის ფორმები;
- სსიპ საგანამანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან კორესპონდენცია 2025წ. 30.09; N4-105).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, შპს სკოლა პოლიგლოტი მდებარეობს გუდამაყრის ქუჩა N4 -ში (მიწის საკადასტრო კოდია 01.12.07.004.022). სასწავლო პროცესი ხორციელდება სამივე საფეხურზე. სკოლას აქვს ერთ მისამართზე არსებული ორი სასკოლო შენობა, თითოეული სამ სართულიანი. ერთ შენობაში სწავლა ხორციელდება დაწყებით საფეხურზე, ხოლო იმავე ეზოში არის მეორე შენობა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. ორივე შენობა სრულად გარემონტებული და აღჭურვილი სათანადო ინფრასტრუქტურით. როგორც ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით დასტურდება, სკოლას მეორე შენობასთან დაკავშირებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისგან მიღებული ჰქონდა პროექტის შეთანხმება და ბრძანება მშენებელობის ნებართვის გაცემის თაობაზე (ბრძანება N7254746). ამონაწერის თანახმად სკოლის დაზუსტებული ფართია 1800.0კვ.მ. რაც შეეხება შენობა-ნაგებობას, N01/3 საერთო ფართია 983,32კვ.მ., ხოლო N02/3 საერთო ფართობი 1240,13 კვ.მ.

შენობა I- ში განთავსებულნი არიან I -IV კლასის მოსწავლეები, ამავე შენობის I სართულზე მდებარეობს სამედიცინო ოთახი, კაფეტერია, დაცვის სამსახურის კაბინეტი, კანცელარია, 1 საკლასო ოთახი, საფინანსო განყოფილება, სათავსო მასწავლებლებისთვის, 1 სველი წერტილი. მე-2 სართულზე განთავსებულია ფსიქოლოგის ოთახი, 5 საკლასო ოთახი, 1 რესურსოთახი, სამასწავლებლო და 1 სველი წერტილი; მე-3 სართულზე განთავსებულია ჭადრაკის და ხატვის კაბინეტები. 5 საკლასო ოთახი, სველი წერტილები ვაჟებისა და გოგონებისთვის, ასევე ადაპტირებული სველი წერტილი.

მეორე კორპუსში (საბაზო/საშუალო საფეხურისთვის) პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, დაცვის ოთახი, სველი წერტილები 2-გოგონებისა და ვაჟებისთვის, კაფეტერია აღჭურვილია ყველა საჭირო საშუალებით. ამავე სართულზე განთავსებულია სათავსო რუქებისთვის. მე-2 სართულზე განთავსებულია: სველი წერტილები 1 გოგონებისთვის, 1 ვაჟებისთვის, თითოეული 2 განყოფილებით, მათგან ერთი ადაპტირებულია სსსმ მოსწავლისთვის. 1

სველი წერტილი თანამშრომლებისთვის. ამავე სართულზეა დირექტორის ოთახი, სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია შესაბამისი სასწავლო რესურსებით, 8 საკლასო ოთახი, თითოეული საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით და სკამით, დაფით და ტელევიზორით. მე-3 სართულზე მდებარეობს კეთილმოწყობილი სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, 5 საკლასო ოთახი, 1 შეხვედრების ოთახი, სველი წერტილები 1 გოგონებისთვის, 1 ვაჟებისთვის, თითოეული 2 განყოფილებით, მათგან ერთი ადაპტირებულია სსსმ მოსწავლისთვის.

სკოლის ეზო არის შემოღობილი პატარა რეკრეაციული ზონით, რომლის კეთილმოწყობაში მოსწავლეებიც არიან ჩართული.

სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სადაც თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია უსაფრთხოდ მუშაობის წესები, დაცულია უსაფრთხოების წესები. რეაქტივები შენახულია დახურულ კარადებში, საკეტით. ლაბორატორიას აქვს გამწოვი კარადა, ონკანი. ლაბორატორიაში არის სამუშაო ჭურჭელი და ყველა პირობას აკმყოფილებს უსაფრთხო, სრულყოფილი მუშაობისთვის.

მასწავლებლების მიერ შენახულია მოსწავლეების მიერ შექმნილი პროდუქტის ნიმუშები. ლაბორატორიაში ყველა პირობაა, რომ მოსწავლეებს, მასწავლებლებს შეეძლოთ კომპლექსური დავალების, კლასგარეშე აქტივობების, თუ STEM ოლიმპიადებისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება.

რაც შეეხება ბიბლიოთეკას, იგი განთავსებულია მეორე შენობის პირველ სართულზე, სადაც ერთ სივრცეშია მოქცეული წიგნსაცავი და სამკითხველო სივრცე. ბიბლიოთეკაში იყო 2 კომპიუტერი და 1 ლეპტოპი, ყველა წიგნი დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით. სკოლას შემუშავებული ჰქონდა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში იყო მკითხველის ელექტრონული ბარათები. ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა OpenBiblio-ს ელექტრონული კატალოგი. წიგნები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და სკოლის თანამშრომლებისთვის.

ყველა საკლასო ოთახში არის მოსწავლის შესაბამისი რაოდენობის მერხი, დაფა, ყველა საკლასო ოთახში იყო კომპიუტერი და პროექტორი, სხვადასხვა თვალსაჩინოება, მოსწავლეთა ნამუშევრები. ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაზუსტდა სკოლის ბაზაზე არსებული სასწავლო ინვენტარის რაოდენობა. სკოლას ჰქონდა 460 მერხი, სკოლას აქვს 31 ლეპტოპი, 14 პერსონალური კომპიუტერი, 5 პრინტერი, 2 პროექტორი (მათ შორის ერთი სააქტო დარბაზში), 1 სმარტ დაფა, ტელევიზორები.

სკოლას ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 07 აგვისტოს გადაწყვეტილების თანახმად (ოქმი N671871) სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 350-ით. მიმდინარე წელს აღნიშნული წარმოების ფარგლებში სკოლამ განაცხადა მოსწავლეთა რაოდენობის ზღვრული რაოდენობის გაზრდა 460 მოსწავლემდე. <u>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ამ რაოდენობას, რადგან სკოლის საკლასო</u>

ოთახების ფართი და რაოდენობა შესაძლებლობას იძლევა სკოლამ საგანმანათლებლო მომსახურება გაუწიოს 440 მოსწავლეს ნაცვლად დაწესებულების მიერ გაცხადებულ 460-ისა. **ინდიკატორი 3.5.1.1.აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლის ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი პირისთვის. სკოლაში განსაზღვრულია სხვადასხვა მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი (დამტკიცებულია 2023 წლის 14.09; ბრძანება N2/1-27). სკოლის ბიბლიოთეკით აქტიურად სარგებლობენ როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები. სკოლის შენობაში არის სპორტული დარბაზი, საკონფერენციო დარბაზი, სკოლის ეზო და ღია პატარა მოედანი ხელოვნური საფარით და რეკრეაციული ზონით, იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც შეუძლიათ არასაგაკვეთილო დროს პირადად გამოიყენონ კომპიუტერული ტექნიკა. შენობაში ასევე გამოყოფილია მოსასვენებელი სივრცე. ვიზუალური დათვალიერებით, სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. ასევე ხელმისაწვდომია ექიმის კაბინეტი, რომელიც განთავსებულია სკოლის შენობის პირველ სართულზე. **ინდიკატორი 3.5.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

ბიბლიოთეკა განთავსებულია საბაზო-საშუალო საფეხურის შენობის პირველ სართულზე. ერთ სივრცეშია მოქცეული წიგნსაცავი და სამკითხველო სივრცე. ბიბლიოთეკაში იყო 2 კომპიუტერი მკითხველებისთვის და 1 ლეპტოპი ბიბლიოთეკარისთვის, შემთხვევითობის პრინციპით ექსპერტთა მიერ შემთხვევითბის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკის წიგნები და ყველა დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით. სკოლას შემუშავებული ჰქონდა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში ყველა მკითხველზე იხსნება ელექტრონული ბარათი. დაწესებულებას იყენებს OpenBiblio-ს ელექტრონულ კატალოგს. სკოლას ჰქონდა მრავალფეროვანი ბიბლიოთეკა 10800 წიგნადი ერთეულით, მათ შორის მხატვრული ჟანრის ლიტერატურის წიგნით, თვალსაჩინოებებით და ა.შ. წიგნები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და სკოლის თანამშრომლებისთვის. **ინდიკატორი 3.5.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

ვიზიტის პერიოდში დაწესებულაში აღარ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლა 2024-2025 სასწავლო წელს საგანმანათლებლო მომსახურებას უწევდა 1 სსსმ მოსწავლეს. სკოლას აქვს შესაძლებლობა სრულფასოვანი სასწავლო სერვისი შესთავაზოს სსსმ მოსწავლეს, რამდენადაც ორივე კორპუსი სრულად ადაპტირებულია შშმ პირის მომსახურებისთვის. კერძოდ დაწყებითი საფეხურის შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილი, ამასთანავე პირველი სართულიდან მეორე/მესამე სართულზე ასასვლელად სკოლას ჰქონდა მოძრავი პანდუსი.

რაც შეეხება საბაზო-საშუალო საფეხურისთვის განკუთვნილ შენობას, მას აქვს ლიფტი, რომელიც არის მოქმედი და როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, ლიფტი პერიოდულად გადის უსაფრთხოების მიზნით შემოწმებას, თუმცა ამის დოკუმენტი სკოლას არ წამოუდგენია. ეტლით მოსარგებლე პირს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ყველა საერთო სარგებლობის სივრცით (ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, საკონფერენციო დარბაზი, ლაბორატორიები, ეზო). საგულისხმოა ისიც, რომ სკოლას გამოყოფილი ჰქონდა რესურსოთახიც. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა 1ფსიქოლოგი და 1 სპეც.მასწავლებელი. სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ სკოლამ მიიღო **რჩევ**ა, სასურველია ერთ-ერთ ადაპტირებულ სველ წერტილზე, ეტლით მოსარგებლისთვის უფრო მარტივად გადაადგილების მიზნით მოიხსნას კარის ზღურბლი. **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ფოტომასალა, რომლითაც დასტურდება სველ წერტილზე ეტლით მოსარგებლისთვის კარის ზღრუბლის მოხსნის ფაქტი.**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორი 3.5.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლის საკონფერენციო დარბაზი გამოიყენება სამუშაო შეხვედრებითვის, საზეიმო ღონისძიებებისთვის, ინტელექტუალური ვიქტორინების, პროექტების, პრეზენტაციების, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრების ჩასატარებლად. სპორტულ დარბაზში ეწყობა სპორტული შეჯიბრებები, მხიარული სტარტები და სხვა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია წიგნადი ფონდით, სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით, მოსწავლეებს საშუალება აქვთ გაეცნონ ლიტერატურას, მოიძიონ ინფორმაცია. სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ გვერდზე ასახულია სხვადასხვა ღონისძიებები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღვნიშნავთ, რომ **ინდიკატორი 3.5.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი (დამტკიცებულია 2023 წლის 14.09; ბრძანება N2/1-27);
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

შპს პოლიგლოტის სკოლაში კომპიუტერული ტექნიკა განთავსებულია როგორც ლაბორატორიაში, ასევე კლასებსა და ადმინისტრაციულ სივრცეებში, რაც ხელს უწყობს როგორც სასწავლო პროცესის, ისე ადმინისტრირების უწყვეტ მხარდაჭერას. სკოლამ წარმოადგინა შესყიდვების დოკუმენტაცია კომპიუტერების, ლეპტოპების, პროექტორების, ეკრანების, პრინტერების, აუდიომოწყობილობებისა და სხვა ტექნიკის შეძენის შესახებ. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, სკოლას აქვს 31 ლეპტოპი, 14 პერსონალური კომპიუტერი, 5 პრინტერი, 2 პროექტორი (მათ შორის ერთი სააქტო დარბაზში), 1 სმარტ დაფა. ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია ტელევიზორი, რომელიც ასრულებს პროექტორის ფუნქციასაც. აღნიშნული მატერიალური რესურსები ემსახურება სასწავლო მიზნებსა და ადმინისტრაციულ ფუნქციონირებას. ამასთან, ინფრასტრუქტურა ტექნიკურად გამართულია: სკოლაში ფუნქციონირებს უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის არსებობა დასტურდება კომპანია სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით. სკოლის საინფორმაციო მენეჯერი უზრუნველყოფს ადმინისტრაციის ოთახების ყველა საჭირო ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვას და მათ გამართულ მუშაობას (პერსონალური კომპიუტერით, პრინტერით, ინტერნეტით, საკონფერენციო ჩართვის მოწყობილობებით, ხმის გამაძლიერებელებით და ა.შ.). აღნიშნული დასტურდება სკოლის დებულებით და საინფორმაციო მენეჯერთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. **ინდიკატორი 3.6.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

შპს სკოლა პოლიგლოტის ვიზუალური დათვალიერებისა და სკოლის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის. მათ გამოყენებას არეგულირებს შპს სკოლა პოლიგლოტის სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის ბრძანებით N2/1-27 დამტკიცებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. იგი განსაზღვრავს წვდომისა და გამოყენების ძირითად პრინციპებს, უსაფრთხოების წესებს, ეთიკურ სტანდარტებსა და ზედამხედველობის მექანიზმებს. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, პროექტორით. აქ ტარდება არა მხოლოდ ისტ-ის გაკვეთილები, არამედ საჭიროებისამებრ იყენებენ სხვა მასწავლებლებიც. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც დასტურდება, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა რეგულირდება წინასწარ შედგენილი განრიგით. ყველა საკლასო ოთახში არის წვდომა ინტერნეტზე (WIFI და საკაბელო ინტერნეტი). სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი,

რომელსაც დაკისრებული აქვს სკოლის კომპიუტერული სივრცეებზე კონტროლის პასუხისმგებლობა. ამასთანავე, როგორც სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, საჭიროების შემთხვევაში საინფორმაციო მენეჯერი ეხმარება კოლეგებს ტექნიკური პრობლემების მოგვარებაში.
სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი Schoolbook, რომლის მეშვეობითაც შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს, მასწავლებელებს, დამრიგებლებს და ადმინისტრაციის წევრებს შეუძლიათ ნახონ საგაკვეთილო ცხრილი, საათები, შეფასების სისტემა, დავალებები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვ. ელემენტები.
უსაფრთხოების მიზნით შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე ხორციელდება 24 საათიანი ვიდეო მონიტორინგი, რომელზეც წვდომა აქვს, როგორც სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს. **ინდიკატორი 3.6.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერნეტის მომსახურების ხელშეკრულება;
- ინტერნეტის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაცია;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- სკოლის დებულება (2022 წლის 05 სექტემბრის ბრძანება №2/1-04);
- საინფორმაციო მენეჯერის ხელშეკრულება;
- ელექტრონულ ჟურნალზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება (2023 წლის 11.09. ბრძანება N2/1-20);
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (2023 წლის 14 სექტემბრის ბრძანება N2/1-27);

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

შპს სკოლა პოლიგლოტში მოქმედებს საქმიწარმოების წესი (2025 წლის 14.01. ბრძანება N2/1-01), რომელიც შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში და განსაზღვრავს დოკუმენტბრუნვის

ორგანიზებისა და მართვის ციკლს. დოკუმენტი დეტალურად არეგულირებს პროცესის ყველა ეტაპს - დაწყებული კორესპონდენციის მიღებითა და რეგისტრაციით, დასრულებული დოკუმენტების შენახვის, დამოწმებისა და გაცემის წესებით. საქმისწარმოების წესი მოიცავს დოკუმენტაციის სამ ძირითად კატეგორიას: შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაცია, თითოეულს კი მიენიჭება მკაფიო რეგისტრაციის პროცედურა, ინდექსური კოდირება და დოკუმენტაციის დამუშავების თანმიმდევრული წესი. დოკუმენტბრუნვის პროცესზე პასუხისმგებელია ოფისმენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური დოკუმენტაციის აღრიცხვას, კონტროლსა და მართვას. პარალელურად სკოლა იყენებს როგორც ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას („სქულ მენეჯმენტ სისტემს"), ასევე აწარმოებს დანომრილ, აკინძულ და ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალებს, რომელთა შორისაა 1. შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; 2. გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; 3. საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი; 4. საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი; 5. მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება/აღდგენის ბრძანებების ჟურნალი; 6. თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დადგინდა საქმისწარმოების წესის დოკუმენტში ტექნიკური უზუსტობა ოფისმენეჯერის, როგორც სტრუქტურული ერთეულის დასახელებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ნაცვლად ოფისმენეჯერისა, საქმისწარმოების წესში გაწერილი იყო ,,საქმისმწარმოებელი", რაც სკოლის სტრუქტურულ სქემასა და სკოლის დებულებაში ასეთი ფორმულირებით არ ფიქსირდებოდა. სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს იყო მხოლოდ ტექნიკური უზუსტობა, რადგანაც სხვაგან ასეთ ჩანაწერი არ გვხვდებოდა დოკუმენტში. **ინდიკატორი 3.6.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

შპს სკოლა პოლიგლოტში დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. აღნიშნული პრაქტიკა დადასტურებულია სკოლისა და შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემს"-ს შორის დადებული ხელშეკრულებით, რომელიც ასახავს სკოლის მიერ „School Management System"-ის ლიცენზირებულად გამოყენების უფლებას. აღნიშნულ სისტემაში ინახება ბრძანებები, წერილები, ცნობები და სხვა ადმინისტრაციული აქტები. აღნიშნული დასტურდება ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერებითაც.

საჭიროებების კვლევისათვის სკოლაში გამოიყენება Google Forms პლატფორმა. სკოლა ასევე აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს სწრაფი ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისათვის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შპს სკოლა პოლიგლოტი მართვაში იყენებს თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს, რაც არსებითად აძლიერებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, შიდა ადმინისტრირების ეფექტიანობასა და დოკუმენტური პროცესების მოწესრიგებას.

საკომუნიკაციოდ სკოლა ასევე იყენებს ოფიციალურ მეილსა და ელ-ჟურნალს. **ინდიკატორი 3.6.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

შპს სკოლა პოლიგლოტს აქვს რეგისტრირებული პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში eSchool.emis.ge, რაც დასტურდება ვიზიტის პროცესში ვიზუალური დათვალიერებით. პროფილში ასახულია სკოლის იურიდიული და საგანმანათლებლო სტატუსის სრული მონაცემები: მისამართი, იურიდიული ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო ინფორმაცია. პროფილში შეყვანილია სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგიური პერსონალის, მოსწავლეთა და მათი კანონიერ წარმომადგენელთა მონაცემები. სისტემაზე წვდომა გააჩნია ოფისმენეჯერს. **ინდიკატორი 3.6.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა საქმიანობს საქმისწარმოების წესით განსაზღვრული პროცედურებისა და ვადების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მარეგულირებელი უწყებებისთვის ანგარიშგებისა და ინფორმაციის მიწოდების პროცესის ეფექტურობას. სკოლა თანამშრომლობს შესაბამის რაიონულ საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, რომლის მეშვეობითაც წარმართავს კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და მის დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ-ებთან. აღნიშნული ურთიერთობა მოიცავს როგორც კონსულტაციებსა და ნებართვების შეთანხმებას, ასევე ინფორმაციის მიწოდებას ფინანსური, ადმინისტრაციული ან სტრუქტურული ხასიათის საკითხებზე. მაგ: ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას ტვირთავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდზე (www.saras.gov.ge); ხოლო საგადასახადო ვალდებულებების შესახებ დეკლარაციებს რეგულარულად წარადგენს შემოსავლების სამსახურში; სახელმძღვანელოებისა თუ სხვადასხვა მარეგულირებელი წესების შეთანხმების პრაქტიკა და სხვ. მაგ: I - XII კლასებში ინგლისურის სახელმძღვანელოების შეთანხმების კორესპონდენცია (2022 წლის 14.07. კორესპონდენცია MES 22 0000805044). აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლა სისტემატურად, დროულად აწვდის ინფორმაციას სახელმწიფო და დარგობრივ ინსტიტუტებს. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი (2025 წლის 14.01. ბრძანება N2/1-01);

- სკოლის დებულება (2022 წლის 05 სექტემბრის ბრძანება №2/1-04);
- ოფისმენეჯერის შრომითი ხელშეკრულება;
- ინგლისურის სახელმძღვანელოების შეთანხმების კორესპონდენცია (I - XII კლასებში) (2022 წლის 14.07. კორესპონდენცია MES 22 0000805044);
- საქმისწარმოების სარეგისტრაციო ჟურნალები;
- ,,სქულ მენეჯმენტ სისტემს"-თან გაფორმებული ხელშეკრულება (2024. 13.12.);

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

შპს სკოლა პოლიგლოტი იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო სისტემას საზოგადოების ინფორმირებისა და მასთან უკუკავშირის უზრუნველსაყოფად. სკოლას გააჩნია აქტიური ოფიციალური ვებგვერდი www.polygloti.edu.ge, რომელზეც განთავსებულია ზოგადი ინფორმაცია როგორც დაწესებულების შესახებ (სტრუქტურა, გუნდი, მისია/ხედვა), ასევე კონკრეტული სასწავლო აქტივობების შესახებ. ვებგვერდის სტრუქტურა ხელს უწყობს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი და მიზნობრივი ინფორმაციის მიწოდებას - მათ შორის: მიღების წესები, სიახლეები, პარტნიორები და სხვა. ვებგვერდის პარალელურად, სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, მათ შორის Facebook, Instagram და YouTube არხს, რომლებიც ემსახურება როგორც ინფორმირებას, ისე სწრაფ რეაგირებას. Facebook გვერდზე სისტემატურად ქვეყნდება სკოლის აქტივობები, ღონისძიებები, მიღწევები. სკოლა ასევე იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, სკოლის კორპორატიულ ელფოსტას და პირად კომუნიკაციას (ზარები, შეხვედრები და სხვ.) - რაც მიუთითებს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა მხოლოდ ინფორმაციის გაზიარებით არ შემოიფარგლება, არამედ ინტეგრირებულია სასკოლო მენეჯმენტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ამასთანავე, სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციების სტრატეგია), რომლითაც რეგულირდება და განისაზღვრება მხარეთა უფლებები, ასევე მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიები, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები. აღნიშნულ დოკუმენტში და სკოლის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტში ნაკლებად არის დადგენილი ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვის

პრინციპები, სოციალური ქსელის ადმინისტრირების წესი. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საინფორმაციო მენეჯერი უწევს კოორდინაციას ვებგვერდის კოორდინირებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებამ მიიღო **რჩევა: სასურველია, რომ სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში (მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციების სტრატეგიები) უფრო მკაფიოდ განისაზღვროს ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის მართვის პრინციპები, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირების წესი და ა.შ. ასევე, საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგად მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების მეთოდები მაგ: უსაფუძვლო კრიტიკის დროს და ა.შ. სასურველია, მკაფიოდ განისაზღვროს სკოლის საკომუნიკაციო საშუალებების მართვის ფორმები. ინდიკატორი 3.6.3.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

შპს სკოლა პოლიგლოტი უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული სანდო და შინაარსობრივად ზუსტი ინფორმაციის გავრცელებას. საინფორმაციო კომუნიკაციის ძირითადი არხებია: სკოლის ვებგვერდი (www.polygloti.edu.ge), სოციალური ქსელები (Facebook, Instagram, YouTube) და კორპორაციული ელფოსტა. ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც ინფორმაციას ამუშავებს სკოლის დირექტორთან შეთანხმებით. სკოლის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებზე ინფორმაციის განთავსების წვდომა შეზღუდულია, რაც უზრუნველყოფს შინაარსის კონტროლსა და დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელების პრევენციას. ინფორმაციის განთავსება ხორციელდება თანმიმდევრულად და გონივრულ ვადებში. **ინდიკატორი 3.6.3.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

შპს სკოლა პოლიგლოტი უზრუნველყოფს უკუკავშირის მიღებასა და გაანალიზებას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისგან, მათ შორის მშობლების, მოსწავლეებისა და სკოლის თანამშრომლებისგან. უკუკავშირის მიღების პრაქტიკაში გამოიყენება რამდენიმე საკომუნიკაციო არხი: სოციალური ქსელები, ოფიციალური ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, ასევე პირისპირ შეხვედრები და ონლაინ გამოკითხვები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ პრაქტიკაში დანერგილია სასკოლო საზოგადოების პერიოდული გამოკითხვა, რაც მოიცავს როგორც კმაყოფილების დონის მონიტორინგს, ისე რეკომენდაციების შეგროვებას. აღნიშნულზე ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას ისაუბრეს სკოლის მოსწავლეებმა, ასევე მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა. მშობლებმა აღნიშნეს, რომ კითხვარები იძლევა იმის საშუალებასაც, რომ ღიად დააფიქსირონ ნებისიერი

განსხვავებული აზრი. მიღებული მონაცემები გამოიყენება სკოლის საქმიანობის დაგეგმვისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. უკუკავშირის მოპოვება არ არის ფორმალური, იგი მჭიდროდ უკავშირდება სკოლის შიდა თვითრეფლექსიურ პროცესს. სკოლის ერთ-ერთ ძლიერ პრაქტიკად შეგვიძლია მივიჩნიოთ ადმინისტრაციის ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას, არამედ აქტიური თანამშრომლობისა და რეაგირების შესაძლებლობას. აღნიშნულ საკითხზე ექსპერტებთან ხაზგასმით ისაუბრეს მშობლებმაც.

ინდიკატორი 3.6.3.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

შპს სკოლა პოლიგლოტს აქვს მოქმედი ოფიციალური ვებგვერდი - www.polygloti.edu.ge, რომელიც წარმოადგენს სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის ძირითად პლატფორმას. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე და მოცემულია საჯარო მონაცემები სკოლის მისიის, ხედვის, ადმინისტრაციის, საგანმანათლებლო გარემოსა და აქტივობების შესახებ. ვებგვერდიდან შესაძლებელია წვდომა სკოლის ოფიციალურ სოციალურ პლატფორმებზე: Facebook გვერდზე, YouTube არხზე, Instagram გვერდზე.

სკოლის შესახებ საბაზისო საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის პლატფორმაზეც - skolebi.emis.ge-ზე განთავსებულ პროფილში, რაც დამატებით უზრუნველყოფს სკოლის გამჭვირვალობას. სკოლა ამჟამად ახორციელებს სწავლების პროცესს ქართულ ენაზე, შესაბამისად, ვებგვერდზე სავალდებულოა ინფორმაციის არსებობა ქართულად - რაც სრულად დაკმაყოფილებულია. სკოლა უზრუნველყოფს ვებგვერდის პერიოდულ განახლებას და საინფორმაციო შინაარსის ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი 3.6.3.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

შპს სკოლა პოლიგლოტს აქვს ვებგვერდი (www.polygloti.edu.ge), სადაც საჯაროდ არის განთავსებული როგორც სკოლის შესახებ ძირითადი და განმსაზღვრელი შიდამარეგულირებელი დოკუმენტები (მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა), ისე ადმინისტრაციულ-საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული საკვანძო ინფორმაცია.

ვებგვერდზე ხელმისაწვდომია:

- სკოლის შესახებ ინფორმაცია;

- საგანმანათლებლო პროგრამების დასახელებები და ჩარიცხვის პროცედურები;
- კვალიფიკაციის სახეობა (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი);
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნები და წესები (შინაგანაწესი; უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესები; ქცევის კოდექსი და სხვ);
- მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების აღწერა;
- გასაჩივრების მექანიზმები;
- ფინანსური მდგრადობის შესახებ საჯარო ანგარიში;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების მიმოხილვა;
- ჩაშენებულია ონლაინ ჟურნალი;
- ელექტორნული ბიბლიოთეკა;
- საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ.

ინფორმაცია ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე. შინაარსი მიზნობრივად პასუხობს სკოლის კომუნიკაციის ფუნქციასა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.3.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი www.polygloti.edu.ge
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგიები);
- Facebook, Instagram და YouTube არხები;
- გამოკითხვის ფორმები;
- გამოკითხვის ანგარიშები (ანალიზი);
- საინფორმაციო მენეჯერის შრომითი ხელშეკრულება;
- ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური პოლიტიკის მიმართულებით პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის ფინანსურ მენეჯერს. მის ფუნქცია-მოვალეობებში შედის: ნაღდი ფულის მიღებისა და გაცემის ოპერაციები; ნაღდი ანგარიშსწორებით მიღებული მოსწავლეთა სწავლის საფასურის შემოსავლის ორდერში გატარების უზრუნველყოფა და შესაბამისი თანხის საკონტროლო-სალარო აპარტში ასახვა; ყოველთვიურ ანგარიშის მომზადება შემოსული თანხებისა და დებიტორული დავალიანების შესახებ; სკოლის დირექტორს ინფორმირება მოსალოდნელი საანგარიშსწორებო ქმედებების შესახებ; სკოლის მატერიალური ფასეულობათა მდგომარეობის აღრიცხვა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციისათვის მასალის მომზადება. სკოლას ასევე ჰყავს ბუღალტერი, რომელიც ახორციელებს სკოლის ფულადი სახსრების მოძრაობის და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვას, სკოლის თანამშრომელთა ხელფასების დროულ დარიცხვასა და გაცემას; ახორციელებს ბუღალტრული ანგარიშების შედგენას და დაწესებულ ვადებში საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოებში წარდგენას; ახორციელებს ბუღალტრული დოკუმენტების აღრიცხვისა და რეგისტრების, ხარჯთა ნუსხების, აგრეთვე, სხვა ბუღალტრული საბუთების შენახვასა და არქივაციას და სხვ.

სკოლამ წარმოადგინა ბიუჯეტი. ძირითადი შემოსავალი არის მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება. სკოლის ერთწლიანი გეგმისა და ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება თავის ფინანსებს მიმართავს სამოქმედო გეგმის შესასრულებლად. სკოლის ფინანსური მენეჯერი ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში ითვალისწინებს სავარაუდო

შემოსავლებსა და ხარჯებს. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა წახალისებაზე, ასევე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, რის გათვალისწინებაც ხდება ბიუჯეტში. სკოლის ბიუჯეტით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელება, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსებისთვის საჭირო თანხებს. **ინდიკატორი 3.7.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

ფინანსური დაგეგმვისას ხდება წინა სასწავლო წლის ფინანსური ანალიზი და შემოსავლების პროგნოზირება. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანა. სკოლა ყოველწლიურად აკეთებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე წარსადგენად. **ინდიკატორი 3.7.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი
- ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით კომისიის შექმნის ბრძანება (2025 წლის 30.05. ბრძანება N2/1-251);
- შესყიდვების დოკუმენტაცია;
- მოსწავლეთა წახალისების მიზნით გასვლითი არაფორმალური ღონისძიების დაფინანსების შესახებ (2023 წლის 20.11. ბრძანება N2/1-37);
- ბრძანება თანამშომელთა წახალისების მიზნით პრემიის გაცემის შესახებ (2024 წლის 08.01. ბრძ. N2/1-01);
- მასწავლებელთათვის ტრენინგის დაფინანსების დოკუმენტი (2025-04-170);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლა პოლიგლოტის მიერ შემუშავებული შინაგანაწესი არეგულირებს სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობები (თავი VII), ვალდებულებებს, წახალისების (მუხლი 25), დისციპლინარულ გადაცდომებსა და პასუხისმგებლობის სახეებს, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესს. (თავი XII). შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად.
ექსპერტებთან გასაუბრებისას მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ყველა მოსწავლე დაცულია არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან. განსაკუთრებული ხაზგასმით ამაზე საუბრობდნენ მობილობით გადმოსული მოსწავლეები. რაც დასტურდება სკოლის შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტის არსებობითაც (მოსწავლის ადაპტაციის წესი-2024 წლის 17.06. ბრძ. N2/1-09). ის, რომ განათლების მიღების უფლება აქვს ყველა მოსწავლეს და სკოლა უზრუნველყოფს ამას, დასტურდება იმითაც, რომ დაწესებულება სრულად ადაპტირებულია სსსმ მოსწავლისთვისაც განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად. ამისთვის სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი დოკუმენტი. მათი შესაძლებლობის რეალიზებისთვის სკოლაში უზრუნველყოფილია, როგორც კლასში საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისი ადამიანური (სპეციალური პედაგოგი), ფიზიკური (რესურსოთახი) და მატერიალური (ადაპტირებული სასწავლო მასალა) რესურსით.
კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტიებს სკოლა იძლევა ასევე სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, საკუთარი

უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მის მიმართ მიღებული უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. ასევე დაცულია მოსწავლეთა საინიციატივი ჯგუფი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იცავს და წარმოადგენს მოსწავლეების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, რაც გაწერილია მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის დებულებაში. განხორციელების პროცესები დასტურდება საინიციატივო ჯგუფის ოქმებით, ანგარიშებით და ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს მოსწავლეებთან გასაუბრებით.

სკოლას აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ (2024 წლის 11.07. ბრძანება N2/1-18.), რომელშიც დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა პირადი მონაცემების დაცვის მექანიზმები; ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ისიც, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ელექტრონული ჟურნალის წარმოების წესი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია დაიცვას და უზრუნველყოს მოსწავლის და მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლება, დროულად მიიღოს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ. მოსწავლეთა ძირითადი გარანტიები მოცემულია დამრიგებლის დებულებაშიც.

სკოლაში ასევე მობილობით გადმოსული მოსწავლეებისთვის სკოლაში ფუნქციონირებს ფრანგული და რუსული ენის კლუბები, რაც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს შეისწავლონ მეორე უცხოური ენა, რომელიც მანამდე არ უსწავლიათ. აღნიშნულ სერვისს ასეთ მოსწავლეებს სკოლა უფასოდ სთავაზობს. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის მხარდაჭერის ფორმა, რომელშიც დეტალურად არის პროგრამა მინიმუმი გაწერილი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. **ინდიკატორი 4.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ შემუშავებული დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, აცნობს უფლებებს და მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები ასევე ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე. მოსწავლეებთან გასაუბრებისას ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ მოსწავლეები სრულად არიან ინფორმირებული სასკოლო რეგულაციებზე, იციან მაგ: კონკრეტული იდეის ინიცირების გაზიარების/განხორციელების მიზნით ვის და როდის უნდა მიმართონ. ასევე იციან თავიანთი უფლება-მოვალეობები და სხვ.

სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის დებულების (2022 წლის 05.09. ბრძანება №2/1-04) მუხლი 11.3.-ის თანახმად, ცალკეულ შემთხვევებში სკოლის დირექტორის ბრძანებით დგინდებოდა სწავლის საფასურის შეღავათები. აღნიშნული პუნქტით ბუნდოვანი რჩებოდა რა კონკრეტულ შემთხვევებზე იყო საუბარი. ამიტომ სასკოლო რეგულაციების მეტი გამჭირვალობისთვის ექსპერტთა რეკომენდაციით, სკოლამ ვიზიტის პერიოდში ცვლილება შეიტანა დებულების აღნიშნულ

პუნქტში (ცვლილებების ბრძანება N2/1-37; 2025 წლის 27.08) და დეტალურად აღწერა ის კონკრეტული შემთხვევები, რომლის საფუძველზეც დირექტორის ბრძანებით რომელიმე მოსწავლეს დაუწესდება შეღავათი. **ინდიკატორი 4.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა მოსწავლეთა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, სწავლის ღირებულება და ანაზღაურების პირობები, ხელშეკრულების პირობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა შეთანხმებასაც ორივე მხარე ადასტურებს ხელმოწერით. ხელშეკრულებას თან ახლავს მშობლის თანხმობა მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. ექსპერტთა მიერ სკოლას მიეცა **რჩევა: მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში გაიწეროს კანონმდებლობით გათვალისწინებული („ზოგადი განათლების შესახებ“ მუხლი 33.2. კერძო სკოლის უფლება-მოვალეობები მოსწავლის მიმართ) პუნქტი ფინანსური დავალიანების შემთხვევაში მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებით. ინდიკატორი 4.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პოლიგლოტის დებულება (2022 წლის 05.09. ბრძანება №2/1-04);
- ბრძანება სკოლა პოლიგლოტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (2025 წლის 27.08; ბრძანება N2/1-37);
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი (2024 წლის 17.06. ბრძ. N2/1-09);
- მონიტორინგი ჯგუფის დებულების თანახმად (2022 წლის 05 სექტემბრის ბრძანება №2/1-04);
- მონიტორინგის ჯგუფის ოქმები;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დოკუმენტი (2024 წლის 18.06. ბრძ. N2/1-10), რომელიც არეგულირებს ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს.

სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს არეგულირებს მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. ამ გუნდის რეკომენდაციების გათვალისწინებით შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. გეგმაში გაწერილი მიზნების შესაბამისად ხდება სსსმ მოსწავლის შეფასება, რაც საფეხურის დაძლევის საფუძველია. საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში.

აღნიშნული წესის მიხედვით (მუხლი 8, პუნქტი 5.), ,,სკოლა უფლებამოსილია, მობილობის მსურველის ჩარიცხვის შემდგომ, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე, დაადგინოს მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა, ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით“. დოკუმენტში არაფერია ნათქვამი იმაზე, რასაც სკოლის შინაგანაწესში (მუხლის 13, პუნქტი 12.) ვკითხულობთ: ,,მოსწავლეს შეიძლება უარი ეთქვას სკოლაში ჩარიცხვაზე, თუ შემოსულ განცხადებათა რაოდენობა აჭარბებს სკოლაში მისაღებ ადგილების ოდენობას ან **მასთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ მისი ცოდნა და უნარები არ არის თავსებადი ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან**“. აღნიშნული მიდგომა ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესით (2012 წლის 19 სექტემბრის ბრძანება N193/ნ) განსაზღვრულ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე საგნის/საგნების

გაძლიერებულ სწავლებას, უფლებამოსილია მობილობის მსურველი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ელექტრონულად მოსწავლის მობილობის განხორციელებამდე, **გაძლიერებული სწავლების საგანში/საგნებში ჩაატაროს გამოცდა მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ცალკეული კლასის/კლასების სასკოლო სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან მოსწავლის ცოდნისა და უნარების თავსებადობის დადგენის მიზნით**. მე-7 პუნქტის მიხედვით დაწესებულება უფლებამოსილია მიღებული შედეგების საფუძველზე, უარი უთხრას მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვაზე.

გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლის მობილობის წესი იყოს დაცული, სკოლა უფლებამოსილია მიღებისას გამოიყენოს ტესტირება მხოლოდ ესგ-თი დადგენილი დონის თავსებადობის დადგენის მიზნით. ამასთანავე იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა გაძლიერებულად ასწავლის ინგლისურ ენას, ხოლო მისაღები ტესტირება/გასაუბრება ტარდება მათემატიკაში, ქართულ ენაში, ლოგიკურ მსჯელობაში, უცხოურ ენაში, მაშინ წინააღმდეგობაში მოდის სკოლა კანონმდებლობასთან და თავად მის მიერ გაცხადებულ უფლებამოსილებასთან, რაც მის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტებშია გაწერილი (შინაგანაწესი: მუხლი 13, პუნქტი 12. და მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები: მუხლი 8, პუნქტი 5). აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა რჩევის საფუძველზე კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანა აღნიშნული პუნქტები (ბრძანება მარეგულირებელ დოკუმენტებში ცვლილების შეტანის შესახებ 2025 წლის 27.08. ბრძანება N2/1-37). ზემოაღნიშნული შიდა რეგულაციები შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი 4.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

ვიზიტის დროს ესქპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა შესაბამისი დოკუმენტაცია. მოსწავლეთა ჩარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. სკოლამ წარმოადგინა ბრძანების ნიმუშები სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სკოლიდან ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების შესახებ. მშობლების ინფორმირებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები: პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ჯგუფებში კომუნიკაცია. სკოლაში პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება. დასტურდება ექსპერტთა მიერ სკოლის შიდა მარეგულირებელი წესების, ბრძანებების, მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მოსწავლეთა პირადი საქმეები და სკოლამ მიიღო **რჩევა: შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ მოსწავლის პირად საქმეში შეტანილი იქნას ინფორმაცია საფეხურების მიხედვით მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობისა და მის მიმართ გამოყენებული წახალისების ფორმების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის**

22 აგვისტოს N113/ნ ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის" შესაბამისად. ინდიკატორი 4.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის დამრიგებლები მშობლებს აცნობენ შინაგანაწესს, ასევე ყველა ყველა იმ წესს, რომელიც შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით არის განსაზღვრული. ასევე აცნობენ სკოლის მიერ შეთავაზებულ მომსახურების სერვისებსა და პირობებს. მაგ: მეორე ენის და კლუბების არჩევის შესაძლებლობას და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტები გაზიარებულია და ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზეც, შესაბამისად, ყველა დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი. ასევე მშობელთან/კანონიერ წამომადგენელთან დადებულ ხელშეკრულებაშიც გაწერილია შესაბამისი მომსახურების პირობები. როგორც ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, სკოლა მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს უფასო წრეების სახით სთავაზობდა ფრანგული და რუსული ენის წრეს, რაც მოსწავლეებს ეხმარებოდა ენობრივი დონის სხვაობის დაძლევაში. **ინდიკატორი 4.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს, სხვადასხვა სერვისებსა და სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი (2023 წლის 11.09. ბრძანება N2/1-21), რომელიც საჯარო ინფორმაციას აწვდის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

სკოლის მიერ შემუშავებული მშობელთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგია) (მუხლის 3.3.1.) თანახმად, მშობელს მოსწავლის ამორიცხვის/გარიცხვის/სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, ევალებოდა სკოლისთვის დაუყოვნებლივ დაებრუნებინა გადაცემული სასწავლო რესურსი (სახელმძღვანელოები), ხოლო კერძო სკოლაში გადაყვანის შემთხვევაში სკოლისთვის ასევე დაებრუნებინა ბუკი მასთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად. აღნიშნულ პუნქტთან დაკავშირებით ექსპერტებმა ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დაადგინეს, რომ მოსწავლეები არ იღებენ ბუქებს და არც სახელმძღვანელოებს. ხოლო ეს ჩანაწერი იყო ტექნიკური შეცდომა, რომელშიც ექსპერტთა რჩევის საფუძველზე მშობელთან ურთიერთობის დებულებაში შეტანილ იქნა ცვლილება, თუმცა თავად ცვლილების ბრძანება

სკოლას არ წარმოუდგენია. ინფორმაცია სკოლის შესახებ ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე და არის საჯარო, გამჭირვალე და არ შეიცავს დისკრიმინაციულ ელემენტებს. **ინდიკატორი 4.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები (2024 წლის 18.06. ბრძ. N2/1-10);
- სკოლის შინაგანაწესი (დამტკიცებულია 2019 წლის 09.09. ბრძანება N2/1-07; ცვლილება შეტანილია 2022 წლის 15.03. ბრძანება N2/1-02);
- ბრძანება მარეგულირებელ დოკუმენტებში ცვლილების შეტანის შესახებ (2025 წლის 27.08. ბრძანება N2/1-37);
- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება (2023 წლის 11.09. ბრძანება N2/1-21);
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგიები);
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

შპს სკოლა პოლიგლოტი დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი (2024 წლის 17.06. ბრძ. N2/1-09), რომელშიც დეტალურად არის აღწერილი წარმატებული ადაპტაციის და ასევე დეზადაპტაციის ნიშნები, ამავდროულად წესი მოიცავს დეზადაპტაციის დროს განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალს. პირველკლასელთა მიღებამდე სკოლის ფსიქოლოგი ახორციელებს სასკოლო მზაობის შემოწმებას. სპეციალური კითხვარის მეშვეობით ხდება ბავშვის უნარების შემოწმება. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს მოსწავლის განწყობას სასკოლო ცხოვრების შესახებ. **ინდიკატორი 4.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

ახალი მოსწავლის წარმატებულ ადაპტაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მასწავლებლისა და დამრიგებლის პოზიტიური დამოკიდებულება და პროფესიული უნარები (ეს შესაძლებელია განხორციელდეს თამაშით, მოსწავლისათვის საინტერესო განმავითარებელი აქტივობების გამოყენებით) წახალისებით, დაამყარონ კომუნიკაცია თანაკლასელებთან, იმუშაონ ჯგუფურად და ა.შ. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს და მოსწავლეებს; ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს;

სკოლა უზრუნველყოფს ახლადჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას (დარბაზის, ლაბორატორიების, კაბინეტების, ეზოს და სხვა ტერიტორიების გაცნობას).

სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც ასევე ჩართულია მოსწავლის ადაპტაციის პროცესში. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა ფსიქოლოგის სამოქმედო გეგმა და წლიური ანგარიში, რომლებშიც იკვეთება მისი მუშაობა მოსწავლის ადაპტაციის მიმართულებით. ამაზე ექსპერტებთან ისაუბრეს მოსწავლეებმაც, რომლებიც იხსენებდნენ არამარტო დამრიგებლის, არამედ ფსიქოლოგის მხარდაჭერას ადაპტაციის პერიოდში. ვიზიტის პერიოდში როგორც ექსპერტთა მიერ დადგინდა სკოლას 2024-2025 სასწავლო წელს ჰყავდა სსსმ მოსწავლე, რომელსაც სასწავლო მომსახურებას უწევდა ასევე სპეც.მასწავლებელი. შესაბამისად, სკოლა ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ყველა მოსწავლეს ახალ გარემოში ადაპტირებაში და არა მარტო ახალ მოსწავლეებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღვნიშნავთ, რომ **ინდიკატორი 4.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეს სთავაზობს შუალედურ წერებზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და საშემოდგომო გამოცდის ჩატარებამდე რემედიაციის პროგრამას. რემედიაციის პროგრამა სპეციალურად იქმნება კონკრეტული მოსწავლისთვის სასწავლო პროცესში გამოკვეთილი შეფერხებების აღმოფხვრის მიზნით. სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები საჭიროების მიხედვით უტარებენ მოსწავლეებს საგნობრივ კონსულტირებას/დამატებითიმეცადიენობას, რისთვისაც სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერის (აკადემიური შედეგების გაუმჯობესების) ფორმა. ძირითადად, ეს ხდება სწავლის დასრულების შემდგომ არასაგაკვეთილო დროს. მასწავლებლები მიმდინარე შეფასებების და შემაჯამებელი დავალებების შესრულების შემდეგ მოსწავლეებს აძლევენ შესაბამის კონსტრუქციულ უკუკავშირს. საგნის მასწავლებელი უწევს კონსულტაციას, აძლევს რეკომენდაციას, კონსულტაციები მიმდინარეობს ასევე ექსტერნის გამოცდების წინ. აღნიშნული დასტურდება ექსპერტთა მიერ სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. **ინდიკატორი 4.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმა; სკოლის დებულება; სადამრიგებლო მუშაობის დებულება; მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის დებულება; ოქმები და სხვ.) დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ასევე აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის და სარეგისტრაციო ჟურნალების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა და სხვ,) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში.

სსსმ მოსწავლის შემთხვევაში საგნის მასწავლებლები ცდილობენ დავალებების მორგებას - ადაპტირებას მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. როგორც ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს დადგინდა, სპეციალური მასწავლებელი წინასწარ შედგენილი გრაფიკის საშუალებით ახორციელებს სსსმ მოსწავლეებთან დამატებით მუშაობას რესურსოთახში. გრაფიკი შედგენილია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწინებით.

სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხებში ჩართულია როგორც სკოლის ადმინისტრაცია, ასევე კათედრები. **ინდიკატორი 4.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლას აქვს დიდი საკონფერენციო დარბაზი, ასევე სპორტული დარბაზი, რომელთაც იყენებს ღონისძიებებისთვის, გამოფენებისთვის, პროექტებისთვის. მოსწავლეებთან გასაუბრებით, ასევე მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის ოქმებითა და ანგარიშით დასტურდება, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობების წახალისებაზე (მოსწავლეთა წახალისების მიზნით გასვლითი არაფორმალური ღონისძიების დაფინანსების შესახებ 2023 წლის 20.11. ბრძანება N2/1-37). მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი გამოთქვამს ინიციატივებს და ადმინისტრაცია/პედაგოგები ყოველთვის ცდილობენ ყურადღებით განიხილონ მათი ინიციატივა. მოსწავლეთა ინიციატივით არაერთი პროექტი ჩატარდა, მოწვეული ჰყავდათ სკოლაში ცნობილი ადამიანები და ა.შ.

სასწავლო გარემოს გასაძლიერებლად და გასამდიდრებლად სკოლა სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს ასაკის და მათი ინტესების გათვალისწინებით. კლუბებს ხელმძღვანელობენ პედაგოგები. დამატებითი მომსახურების შეთავაზებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებიც. სკოლის მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა გამოფენებში, საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში, რაც უდიდეს როლს თამაშობს მათი მოტივაციის ამაღლებაში. კონფერენციები და ოლიმპიადები არის საუკეთესო საშუალება კვლევის, საჯარო გამოსვლების, წერის უნარების განსავითარებლად დაცულ და ორგანიზებულ გარემოში. ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა ხელს უწყობს მათ პიროვნულ ზრდასა და თავდაჯერებულობას.

სკოლა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მათ სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას სხვადასხვა კლუბების ფუნქციონირების მიზნით. კერძოდ: ლიტერატურული კლუბი; სკოლა პოლიგლოტის ეკოკლუბი, არტკლუბი, ისტორიის მკვლევართა კლუბი და სხვ.

სკოლაში არაფორმალური განათლების მენეჯერის ხელმძღვანელობით 2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდა ინტერდისციპლინარული პროექტი, რომლის მიზანიც იყო მოსწავლეთა მომზადება ციფრული ეპოქის გამოწვევებისთვის. პროექტის მიზანი იყო: მოსწავლეთა ციფრული და კრეატიული უნარების განვითარება; თანამედროვე ტექნოლოგიების - კერძოდ, ხელოვნური ინტელექტის-გააზრებული გამოყენება; მომავლის პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერა; ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის გაღვივება ციფრულ სამყაროში. პროექტის კონცეფცია იყო „ციფრული ჰუმანიზმის“ იდეა - ტექნოლოგიების გამოყენება არამხოლოდ პრაქტიკული მიზნებისთვის, არამედ როგორც ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის გამაძლიერებელი ძალა. ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო არაფორმალური განათლების მენეჯერის

სამოქმედო გეგმას, ასევე სემესტრულ ანგარიშებს, რომელშიც ცალსახად იკვეთებოდა სხვადასხვა ვორკშოპები, სამუშაო შეხვედრები ციფრულ სამყაროსთან დაკავშირებით. ამის საფუძველზე ექსპერტთა მიერ სკოლამ მიიღო **რჩევა: სასურველია არაფორმალური განათლების მენეჯერის სამოქმედო გეგმაში და ანგარიშში ასახული იყოს უფრო მრავალფეროვანი აქტივობები და არ მოიცავდეს მხოლოდ ციფრული ტექნოლოგიების, ციფრული აზროვნების უნარების განვითარების მიმართულებებს.** აღნიშნული დასტურდებოდა არაფორმალური განათლების მენეჯერის სამოქმედო გეგმით, ანგარიშით. **ინდიკატორი 4.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, უკუკავშირის გათვალისწინებით სკოლა განსაზღვრავს ინტერვენციებს. კმაყოფილების კითხვარის ნიმუშები აუმჯობესებენ სასწავლო პროცესს და მომსახურების ხარისხს. სასწავლო წლის ბოლოს სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენას სპეციალურად შედგენილი მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარების მეშვეობით, რომლის ანალიზის საფუძველზეც, შესაძლებლობის ფარგლებში დგება გასატარებელი ღონისძიებების ნუსხა მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად. **ინდიკატორი 4.2.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (2024 წლის 17.06. ბრძ. N2/1-09);
- სადამრიგებლო მუშაობის დოკუმენტაცია;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- ფსიქოლოგის შრომითი ხელშკრულება;
- ფსიქოლოგის სამოქმედო გეგმა;
- ფსიქოლოგის წლიური ანგარიში;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის (აკადემიური შედეგების გაუმჯობესების) ფორმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის დებულება (2022 წლის 05 სექტემბრის ბრძანება №2/1-04);
- სადამრიგებლო მუშაობის დებულება;

- მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის დებულება;
- მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის ოქმები და ანგარიში;
- მოსწავლეთა წახალისების მიზნით გასვლითი არაფორმალური ღონისძიების დაფინანსების შესახებ 2023 წლის 20.11. ბრძანება N2/1-37;
- კვლევის კითხვარები;
- არაფორმალური განათლების მენეჯერის სამოქმედო გეგმა და სემესტრული ანგარიშები;
- სკოლის ვებგვერდი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა. სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით. მოსწავლეები ეცნობიან ცალკეულ პროფესიებს და დასაქმების შესაძლებლობებს. მოსწავლეები პედაგოგებისა და სკოლის დირექციის მხარდაჭერით სტუმრობენ სხვადასხვა უნივერსიტეტებს, სკოლაში მოდიან სტუმრები, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან შესახვედრად და პროფესიებზე სასაუბროდ. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა და მოსწავლეებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, მოსწავლეები სტუმრად იყვნენ საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტში და სხვ. გარდა ამისა, სკოლაში არაფორმალური განათლების მენეჯერის ხელმძღვანელობით 2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში განხორციელებული ინტერდისციპლინარული პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ სხვადასხვა პროფესიას სხვა კუთხითაც. კერძოდ, აღნიშნული პროექტის ამოცანები იყო: თანამედროვე პროფესიული სფეროების გაცნობა: კურსი მოიცავდა დეტალურ მიმოხილვას ახალი პროფესიების შესახებ, რომლებიც გაჩნდა ციფრული ეპოქის განვითარებით, როგორებიცაა მონაცემთა ანალიტიკოსი, AI ინჟინერი, კიბერუსაფრთხოების სპეციალისტი, კონტენტ-კრეატორი და სხვა. პროფესიული ორიენტაცია: კურსი დაეხმარა მოსწავლეებს გაეანლიზებინათ თავიანთი ინტერესები, შესაძლებლობები და მომავალ პროფესიასთან დაკავშირებული გამოწვევები, რაც საშუალებას მისცემდათ პროფესიის სწორად არჩევაში. **ინდიკატორი 4.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის დირექციის, პედაგოგების განმარტებით სკოლის ორგანიზებით პერიოდულად ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, მოსწავლეებს ურიგდებათ სხვადასხვა პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების მიერ მომზადებული გზამკვლევები. სკოლა ზრუნავს იმისთვის, რომ მოსწავლეები იყვნენ სათანადოდ ინფორმირებული ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი 4.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა მიმართულებით კვლევები კითხვარების მეშვეობით, ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა დამრიგებელთა შეფასების კვლევის შედეგები. აღნიშნული კვლევის მიზანი სხვა საკითხებთან ერთად იყო ის, რომ შეფასებულიყო დამრიგებლის ჩართულობა მოსწავლეთა პროფორიენტაციის ხელშეწყობის პროცესში. კვლევის შედეგების მიხედვით გამოიკვეთა, რომ მიზანშეწონილია სადამრიგებლო საათის ფარგლებში, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა პროფორიენტაციის ხელშეწყობის კუთხით გაძლიერება. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ სკოლამ მიიღო **რჩევა: სასურველია სკოლამ კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ჩაატაროს მოსწავლეების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში, გამოკითხვის შედეგები, უკუკავშირი სკოლას მისცემს შესაძლებლობას კიდევ უფრო ეფექტურად დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები. ინდიკატორი 4.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერის წლიური მუშაობის ანგარიში;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- დამრიგებლის პორტფოლიო;

- არაფორმალური განათლების მენეჯერის სამოქმედო გეგმა და სემესტრული ანგარიშები;
- მემორანდუმები;
- სკოლის ვებგვერდი;
- დამრიგებლის მუშაობის შეფასების კვლევის შედეგები (2024-2025 სასწავლო წელი);

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი (დამტკიცებულია 2024 წლის 6 სექტემბერს. ბრძანება N2/1-31).

ვიზიტის პერიოდში სკოლაში აღარ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდებოდა სკოლის მიდგომები ინკლუზიური განათლების მიმართულებით. 2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში ირიცხებოდა 1 სსსმ მოსწავლე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიზნით შექმნილი იყო შესაბამისი ისგ ჯგუფი (დამტკიცებულია 2024 წლის 09 სექტემბერს. ბრძანება N2/1-33) და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული ფორმების შესაბამისად. ისგ ჯგუფები პერიოდულად იკრიბებოდა და განიხილავდა სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებულ სწავლების საკითხებს. აღნიშნული დასტურდება ისგ ჯგუფების ოქმებით. სკოლას ჰყავდა ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის (2024 წლის 27.09. ბრძანება N2/1-35), რომელსაც წლის ბოლოს განხორციელებული აქვს შიდა მონიტორინგი და შედგენილია დასკვნა. სკოლას აქვს რესურსოთახი და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის მიერ დგება ინტერვენციის გეგმები. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა 1 სპეც.მასწავლებელი. სკოლამ წარმოადგინა ინდ.გეგმები საგნობრივი მიმართულებებით. **ინდიკატორი 4.2.3.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის წარმომადგენლებთან, მასწავლებელებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შესახებ. სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელშიც შედის კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი (სპეციალური მასწავლებელი) და საგნის მასწავლებლები. ისინი მუშაობენ თანამშრომლობის პრინციპით, მათ შორის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან მჭიდრო თანამშრომლობით და კომუნიკაციით. სპეციალურ მასწავლებელს შედგენილი აქვთ სამოქმედო გეგმა და ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები. ასევე, შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში. ექსპერტთა მიერ ისგ ფორმისა და ინდ.გეგმების შემოწმებისას სკოლას მიეცა **რჩევა: შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ სრულფასოვნად იქნას შევსებული ისგ.ფორმა. ისგ.ჯგუფის მუშაობა ნამდვილად დასტურდებოდა წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებელთან გასაუბრებით, თუმცა მნიშვნელოვანია ისგ. ფორმა სრულად იძლეოდეს ინფორმაციას შესაბამისი პუნქტების მიხედვით. მაგ: რა საგნებში საჭიროებს მოსწავლე ინდ.გეგმას, როდის ჩატარდა ისგ.ჯგუფის შეხვედრები და ა.შ. ინდიკატორი 4.2.3.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი (დამტკიცებულია 2024 წლის 6 სექტემბერს. ბრძანება N2/1-31);
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება (2024 წლის 27.09. ბრძანება N2/1-35);
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება (დამტკიცებულია 2024 წლის 09 სექტემბერს. ბრძანება N2/1-33);
- ისგ ფორმა;
- მონიტორინგის ჯგუფის ოქმები;
- მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- ინკლუზიური განათლების პროგრამა;
- სსსმ მოსწავლის ინდ.გეგმები;
- ინტერვენციის გეგმა;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის მიხედვით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ შემდეგ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობებს სხვადასხვა წრეებისა თუ კლუბების სახით. კერძოდ: ქართული ცეკვის წრე; გახანგრძლივებულის წრე; ეკოკლუბი; ისტორიის მკვლევართა და მემატიანეთა კლუბი; ლიტერატურული კლუბი; ხელოვნური ინტელექტი, ციფრული უნარები და მომავლის პროფესიები;
ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობებს: ჭადრაკის წრე; ხატვის წრე; ფრანგული ენის წრე; რუსული ენის წრე. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა კლუბების წესდება, პროგრამები, ანგარიშები. სკოლა მოსწავლეებს ასევე სთავაზობს დამატებით არასავალდებულო მომსახურებას-გახანგრძლივებულ სწავლებას, რომლის პირობები მოსწავლის მშობლისთვის/კანონიერი წარმომდგენლისთვის წინასწარ არის ცნობილი და ამასთანავე, იგი ასახულია მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც.
სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურების სახით სთავაზობს კვებას. სკოლა დაწყებითი საფეხურის შენობის პირველ სართულზე და ასევე საბაზო-საშუალო საფეხურის შენობის პირველ სართულზე თავად უზრუნველყოფს კვების საკითხს. სკოლა რეგისტრირებულია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში (E24116311; 13.09.2024წ.) და აქვს კვების პროდუქტების წარმოების უფლება. სასკოლო კვების ობიექტის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას აკონტროლებს სკოლის კვების მონიტორინგის ჯგუფი სკოლის ექიმის ჩართულობით სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაკონტროლების მიზნით, რაზეც დგება სპეციალური აქტი. აღნიშნული აქტები წარმოდგენილ იქნა ვიზიტის პერიოდში. სკოლას ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს შესაბამისი პერსონალი (მზარეული-2, მზარეულის დამხმარე-3). **ინდიკატორი 4.2.4.1.აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითი პრინციპით. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან კლუბურ მუშაობას სხვადასხვა ასაკის გათვალისწინებით. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა და მშობლებმა ესპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, სასკოლო ცხოვრებაში დაწესებულება აქტიურად იყენებს კითხვარებს სხვადასხვა მიმართულებით და მათ შორის მოსწავლეთა ინტერესების გამოვლენისთვის, რის საფუძველზეც ხდება კლუბების შეთავაზება. სკოლა მშობლებთან შესაბამისი პირობის გაცნობის შედეგად აფორმებს ხელშეკრულებას. განხორციელებული აქტივობები თანხვედრაშია კანონმდებლობის შესაბამის ნორმებთან და მოთხოვნებთან. **ინდიკატორი 4.2.4.2.აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო დასაქმებული უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოთი. შრომითი ხელშეკრულებით გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება, დაიცვას უსაფრთხოების წესები. დამატებით სერვისებთან მიმართებაში განხორციელებული მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, რასაც მოწმობს სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების და ბრძანებების სახით. სკოლაში დირექტორის ბრძანების (2024 წლის 03.09; ბრძანება N2/1-24-1) საფუძველზე შექმნილია კვების მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც დაევალა კვების პროდუქტებისა და კვების ობიექტზე (კაფეტერია) ჰიგიენურ-სანიტარული ნორმების დაცვის მონიტორინგი. სკოლამ წარმოადგინა კაფეტერიის მონიტორინგის აქტები. **ინდიკატორი 4.2.4.3.აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- 2024-2025 სასწავლი წლის სასკოლო გეგმა;
- ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან (E24116311; 13.09.2024წ.);
- შინაგანაწესი;
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- კითხვარები;
- კვების მონიტორინგის ჯგუფის დანიშვნის ბრძანება;
- კვების მონიტორიგნის ჯგუფის მიერ შევსებული აქტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება**

	☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები. სამივე საფეხურის კათედრის პედაგოგები შეძლებისდაგვარად იაზრებენ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავების სტრუქტურასა და პრინციპებს. კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივი კათედრების მიერ, სასკოლო სასწავლო პროგრამების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.1.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითა და არსებული პრაქტიკის, განხორციელებული აქტივობების გათვალისწინებით. პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპლექსური ბუნების დავალებების შერჩევის დროს მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, უნარებსა და შესაძლებლობებს, ასევე ასაკობრივ თავისებურებებს. გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სწავლის მიზნები

ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. **ინდიკატორი 2.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს კათედრის ყველა წევრი. კათედრაზე პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, დაკვირვების საფუძველზე გამოკვეთენ პრობლემას, შეიმუშავებენ მისი მოგვარების გზებს, რის საფუძველზეც იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სასწავლო პროცესი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასკოლო პროექტებს. მსჯელობის დროს გამოიკვეთა, რომ აქვთ მზაობა და გამოცდილებას არსებული პრაქტიკა განავითარონ, მეტად უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კათედრის ოქმები, პედსაბჭოს ოქმები, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის ანგარიშები და სხვ.). **ინდიკატორი 2.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგებთან ინტერვიურების საფუძველზე გაირკვა, რომ კათედრებმა შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმები. შემუშავების პროცესში აქტიურად არის ჩართული დირექტორის მოადგილე და ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც კოორდინირებას უწევს ჯგუფის მუშაობას. კურიკულუმი განიხილება კათედრის ფარგლებში. მტკიცდება სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად პედაგოგიური საბჭოს მიერ, რაც გულისხმობს იმას, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ გაცნობისა და გაზიარების მიზნით იგი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სასკოლო საზოგადოების წევრები ცდილობენ საკუთარი საქმიანობა დაუკავშირონ კურიკულუმს, რათა მეტად ეფექტურად და შედეგზე ორიენტირებულად ჩაერთონ ამ დოკუმენტის რეალიზებაში. როგორც ექსპერტებთან გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, ისინი ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, აანალიზებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ გამოწვევებს და ისე გეგმავენ სამომავლო ნაბიჯებს. კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, ასახულია სამიზნე ცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები, ასევე გათვალისწინებულია პროექტული ტიპის დავალებები. **ინდიკატორი 2.1.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლა პოლიგლოტის კურიკულუმის მეთოდოლოგია (2023 წლის 15.08. ბრძანება N2/1-12);

- კურიკულუმზე მომუშავე ჯგუფის შექმნის ბრძანება (2023 წლის 14.09. ბრძანება N2/1-14);
- კურიკულუმებზე მომუშავე ჯგუფის ოქმი N1, 04.09.2024წ;
- ბრძანება სასკოლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დამტკიცების შესახებ (2024 წლის 09.09. ბრძანება N2/1-32);
- კურიკულუმებზე მომუშავე ჯგუფის ოქმიN2; 18.01. 2025 წ;
- 2024-2025სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის რევიზია;
- პედსაბჭოს ოქმები;
- კათედრის დებულება;
- კათედრის ოქმები;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- არაფორმალური განათლების მენეჯერის ანგარიში;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში გამოკვეთილია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის რევიზიის დროს ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას და მოსწავლეთა ინტერესებს. კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები და ინტერესები. გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სწავლის

	მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. **რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა ახალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ საბუნებისმეტყველო საგნებში, საბაზო და საშუალო საფეხურზე თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. ასევე, საგანთა შორის ინტეგრირებული პროექტების, პროდუქტების შექმნაზე. ასევე, განახორციელონ შემაჯამებლების მრავალმხრივ საინტერესოებისა და მრავალფეროვნების მიზნით სხვადასხვა ტიპის დავალებები (ციტირება ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრის ოქმიდან). სკოლას აქვს ლაბორატორია, ასევე იყენებენ ელექტრონულ რესურსებს, ტელესკოლის გაკვეთილებს. სკოლაში ფუნქციონირებს ასევე „ეკო-კლუბი“. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია) კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასაკობრივი თავისებურებები. მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად სასწავლო წლის მანძილზე ხდება კურიკულუმების დანერგვა. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმში ყველა თემასთან მიმართებით გათვალისწინებული იყოს შემოქმედებითი ტიპის დავალება, რომელიც მიზნობრივად იქნება დაკავშირებული თემასთან, იქნება რეალისტური და განხორციელებადი. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გაითვალისინონ მრავალფეროვანი და დიფერენცირებული მიდგომა (სამივე საფეხური - ყველა საგანი). სასურველია სასწავლო წლის ბოლოს შეიქმნას დოკუმენტირებული ანგარიში კურიკულუმის ეფექტურობისა და მიღწეული შედეგების შესახებ, რაც დაეხმარება მომავალ დაგეგმვას და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	**ინგლისური ენის დაწყებით საფეხურზე** <u>შუალედური მიზანი ან არ არის გათვალისწინებული, ან მხოლოდ ერთია, რაც არ არის საკმარისი მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.</u> მაგ: პირველი კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში "მაგალითები შედარებისთვის" გრაფაში წერია: "სამოსის განსხვავება წელიწადის დროების მიხედვით", რაც

	გაურკვეველია და არ იძლევა მოსწავლისთვის კონკრეტულ მიმართულებას, თუ რა ტიპის შემოქმედებით პროდუქტს უნდა შექმნას. იგივე პრობლემა ვლინდება **ფრანგული ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებშიც**. მაგ: მეოთხე კლასის კურიკულუმში შუალედური მიზნის მისაღწევი დავალების პირობაა: "ჩემი ტანსაცმელი" – აღწერე ტანსაცმელი, რომელსაც ატარებ სკოლაში და სკოლის გარეთ, დღესასწაულებზე". თუმცა, <u>არ არის მითითებული, რა ტიპის შემოქმედებითი პროდუქტი უნდა იყოს ეს (პრეზენტაცია, პოსტერი, ესე, დიალოგი, ვიდეო და ა.შ.).</u> კურიკულუმებში გრაფა „მაგალითები შედარებისთვის" გამოყენებულია კონკრეტული დავალებების ჩამოყალიბებისთვის და არა მაგალითების მოსაცემად. **მაგ: მე-8 კლასის ფრანგული ენის კურიკულუმში:** მითითებულია „ხასიათის ცვლილების შედარება ასაკის მიხედვით" **ინგლისურში:** „შეადარეთ ტრადიციული და თანამედროვე სახლის მოდელები საქართველოში, რა შეიცვალა და რამ განაპირობა ცვლილება? იმსჯელეთ არგუმენტირებულად". ეს დავალებები, შინაარსობრივად მნიშვნელოვანია, თუმცა, არ იძლევა პედაგოგისთვის მაგალითებს, თუ როგორ შეიძლება მსგავსი აქტივობების მომზადება მოსწავლეების სხვადასხვა საჭიროებების გათვალისწინებით. **მე-10 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში** "მაგალითები შედარებისთვის" სექციაში ვკითხულობთ ზოგადი ხასიათის „აქტივობებს" როგორიცაა „შეფუთვა და შეხვევა პროდუქტის", თუმცა რას წარმოადგენს ეს აქტივობა, როგორ უნდა განხორციელდეს და რა მიზნით - არ ჩანს. ამგვარი გაურკვეველობა არ იძლევა მოსწავლისთვის შესაძლებლობას, გააცნობიეროს დავალების მიზანი და აირჩიოს შესაძლო მიდგომები მისი შესრულებისთვის. <u>სკოლას მიეცა **რჩევა კონკრეტულად მიუთითოს თითოეული შუალედური მიზნისთვის მოსალოდნელი შემოქმედებითი პროდუქტის ტიპები**</u>: • პრეზენტაცია • პოსტერი • ესე • დიალოგი • ვიდეო • დიორამა

	• სხვა შემოქმედებითი ფორმები ეს მისცემს მოსწავლეებს შესაძლებლობას, აირჩიონ მათთვის შესაფერისი გამოხატვის ფორმა. გრაფა "მაგალითები შედარებისთვის" გამოიყენოს მისი ფუნქციონალური დანიშნულების შესაბამისად - მოცემულ იქნეს კონკრეტული მაგალითები სხვადასხვა მიდგომებისა. კურიკულუმებში მითითებულ აქტივობებს ჰქონდეს დეტალური აღწერა: • რა უნდა შეასრულონ მოსწავლეებმა • რა კრიტერიუმებით • რა ფორმატში (წერილობით, ზეპირად, გრაფიკულად) • რა მიზნით ხორციელდება აქტივობა • რა ალტერნატივები არსებობს **საშუალო საფეხურზე** არ იყო წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმი ინგლისურ და ფრანგულ ენებში, შესაბამისად, ვერ მოხერხდა საშუალო საფეხურის შესაბამისობის დადგენა სტანდარტთან. დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი (საშუალო საფეხურზე) დახარვეზებული იყო, რადგანაც ტექნიკური მიზეზის გამო, ვერ მოხერხდა საშუალო საფეხურის ინგლისურის კურიკულუმების ნახვა. დაწესებულების მიერ **არგუმენტირებული პოზიციის** წარდგენის შედეგად ექსპერტს მიეცა საშუალება შეესწავლა საშალო საფეხურის კურიკულუმები და მიიჩნევს, რომ **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით **დაწყებით და საბაზო** საფეხურზე წარმოდგენილი სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები და შემოქმედებითი/კომპლექსური ტიპის დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიუკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და განსაზღვრავს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. საშუალო საფეხურზე, 2024-2025 სასწავლო წელს, საათობრივ ბადეში არ იყო გათვალისწინებული და შესაბამისად, არ ისწავლებოდა ,,პროექტული სწავლების“ სავალდებულო საგნები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. გამომდინარე

	აქედან, საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის საგნების მიმართულებით სკოლის მიერ დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი კურიკულუმები და რესურსები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს გაზიარებული დოკუმენტი: „პროექტი-საათობრივი ბადე 2025-2026 სასწავლო წელი სკოლა პოლიგლოტი“, რომელშიც ახალი სასწავლო წლიდან გათვალისწინებულია მე-10 კლასში „პროექტი ხელოვნებაში“ 1 სთ. კვირეული დატვირთვით, ხოლო 11-ე კლასში „პროექტი მუსიკაში“. სკოლამ **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დანართის სახით წარმოადგინა საბაზო და საშუალო საფეხურის სავალდებულო საგნების - პროექტული სწავლების - როგორც მუსიკაში, აგრეთვე სახვით და გამოყენებთ ხელოვნებაში, კურიკულუმები X, XI და XII კლასებში.** ასევე წარმოდგენილია საათობრივი ბადე, სადაც სავალდებულო საგნები შეტანილია ცხრილში. შესაბამისად, საშუალო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და განსაზღვრავს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლის სამივე საფეხურის კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებსა და სასწავლო პრინციპებს. დოკუმენტაციის, კონკრეტული კომპლექსური დავალებების გაცნობისა და პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოჩნდა, რომ პედაგოგები კურიკულუმს განიხილავენ, როგორც მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს. პედაგოგები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ორიენტირებას გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, საფეხურის სასწავლო შედეგებზე და ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრების - როგორც შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზი გამოიყენონ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების რეალიზებისათვის. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმების ჩარჩოში შევსებულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხთა კლასტერი, ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებები, მაგალითები შედარებისათვის, სასწავლო რესურსები, განსაზღვრული საათების რაოდენობა; მასში წარმოდგენილი საკითხებით/საკითხთა კლასტერით დაფარულია თემები. ორიენტირება

	ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. **რჩევა:** **დაწყებით საფეხურზე:** მე-5 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემები და სამიზნე ცნებები განისაზღვროს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის შესაბამისად. **საბაზო საფეხურზე:** სასურველია კათედრამ საბაზო და საშუალო საფეხურისთვის შეიმუშაოს კურიკულუმის ერთნაირი ფორმატი. მაგ. როგორც მოგვაწოდა მე-7 კლასისათვის. საბაზო საფეხურზე კურიკულუმით წარმოდგენილი სამიზნე ცნებები მოსაყვანია მესამე თაობის ესგ-ს სამიზნე ცნებებთან შესაბამისობაში. **საშუალო საფეხურზე:** სასურველია კათედრამ საშუალო საფეხურისთვის შეიმუშაოს კურიკულუმის ერთნაირი ფორმატი. მაგ. როგორც მოგვაწოდა მე-11 კლასისათვის. სასურველია, საფეხურის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება მუშავდებოდეს. კურიკულუმით წარმოდგენილი სამიზნე ცნებები მოსაყვანია მესამე თაობის ესგ-ს სამიზნე ცნებებთან შესაბამისობაში. კურიკულუმით წარმოდგენილი საკითხებითა და ქვესაკითხებით დაფარული იყოს ყველა თემა. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმების დაგეგმვისას გაითვალისწინეს ესგ-ს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტი, ამასთან თემების შერჩევისას უპირატესობა მიანიჭეს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რადგან მოსწავლისათვის საინტერესო კონტექსტი უბიძგებს მას იქცეს სწავლის აქტიურ სუბიექტად. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

	ინდიკატორი 2.1.2.1. **აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კურიკულუმები შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები. წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალების ბარათები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და საჭიროებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს კვლევის კითხვარები მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის, რომლის მიხედვითაც წლის მანძილზე არკვევენ, რამდენად იმუშავა კურიკულუმმა და რა აქვთ გასათვალისწინებელი მომდევნო წლისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, კათედრის შეხვედრებზე ხდება სხვადასხვა პროცესების გაანალიზება და შემდეგ გათვალისწინება. კურიკულუმი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია) კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, ასახულია სამიზნე ცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები, ასევე გათვალისწინებულია პროექტული ტიპის დავალებები. სასწავლო პროცესი ემსახურება გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გაძლიერებას. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ კათედრაზე შეიმუშაოს და დაამტკიცოს ერთი ფორმის დოკუმენტი (საგნობრივი კურიკულუმი), სადაც სწავლის შედეგები განისაზღვრება საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. საგნის გრძელვადიანი მიზნებისა (სამიზნე ცნებები) და სასწავლო თემების/საკითხების/კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის

	გათვალისწინებით. სასურველია კურიკულუმის პერიოდული გადახედვა და კორექტირება არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, რათა საგნობრივი მიზნები, თემები და შუალედური მიზნები, მუდმივად იყოს აქტუალური და მოსწავლეთა უნარების განვითარებისკენ მიმართული (**სამივე საფეხური** - ყველა საგანი). **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	მიუხედავად იმისა, რომ საბაზო საფეხურზე კურიკულუმები მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს, ინგლისური და ფრანგული ენის კურიკულუმებში სამიზნე ცნებები მოცემულია ძველი სტანდარტის მიხედვით. სკოლას მიეცა **რჩევა** საბაზო საფეხურის ინგლისური და ფრანგული ენის კურიკულუმები განაახლოს სამიზნე ცნებების ახალი ეროვნული სტანდარტის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების მიმართულებით **დაწყებითი და საბაზო** საფეხურის კურიკულუმები, წარმოდგენილი თემები, თემატური ბლოკები, სამიზნე ცნებები, რესურსები, შემოქმედებითი პროდუქტის, თუ კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას მოსწავლის პროცესში ჩართვისათვის. ყოველივე ეს მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნების, სამიზნე ცნებების და შედეგების მიღწევისკენ. საშუალო საფეხურზე 2024-2025 სასწავლო წელს საათობრივ ბადეში არ იყო გათვალისწინებული და შესაბამისად, არ ისწავლებოდა ,,პროექტული სწავლების“ სავალდებულო საგნები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. გამომდინარე აქედან, საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის საგნების მიმართულებით სკოლის მიერ დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი კურიკულუმები და რესურსები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს გაზიარებული დოკუმენტი: „პროექტი-საათობრივი ბადე 2025-2026 სასწავლო წელი სკოლა პოლიგლოტი“, რომელშიც ახალი სასწავლო წლიდან გათვალისწინებულია მე-10 კლასში „პროექტი ხელოვნებაში“ 1 სთ. კვირეული დატვირთვით, ხოლო მე-11 კლასში „პროექტი მუსიკაში“. აღნიშნული მოცემულობა არ აკმაყოფილებდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლამ **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა საბაზო/საშუალო საფეხურის**

	სავალდებულო საგნების - პროექტული სწავლების X, XI და XII კლასების კურიკულუმები - როგორც მუსიკაში, აგრეთვე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. ესთეტიკური აღზრდის კათედრის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, წარმოდგენილი თემები, თემატური ბლოკები, რესურსები, შემოქმედებითი პროდუქტის - პროექტის იდეები იძლევა შესაძლებლობას მოსწავლის პროცესში ჩართვისათვის. ყოველივე ეს მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნების, სამიზნე ცნებების და შედეგების მიღწევისკენ. რაც შეეხება სამიზნე ცნებებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში სრულად არის წარმოდგენილი, ხოლო მუსიკის საგნის X და XII კლასების კურიკულუმში არ წერია საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული პირველი სამიზნე ცნება - „ბგერა“. **რჩევა: (საბაზო და საშუალო საფეხურზე)** ერთი კონკრეტული თემის, თუ პროექტის დამუშავების/შესწავლის პროცესში, სასურველია და აუცილებელიც დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, ხოლო ყოველივე ეს გაწერილი იყოს კურიკულუმში. საშუალო საფეხურის სტანდარტში მუსიკის საგნის ექვსივე ცნება ნათლად არის წარმოდეგნილი და აგრეთვე პროექტული სწავლების სახელმძღვანელოშიც მოცემულია სტანდარტიდან ამონარიდი (იხ. პროექტული სწავლების მასწავლების წიგნი გამომცემლობა „პეგასი“ 2022 წ. - გვ.12). **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო მასალა - მხატვრული ტექსტები, შერჩეული თემები, კომპლექსური ბუნების დავალებები ეხმარება მოსწავლეს კონკრეტული იდეების, პრობლემების გაცნობიერებასა და განზოგადებაში. რამდენიმე კომლექსური დავალების პირობა და მასწავლებელთა მხრიდან ამ დავალების შესასრულებლად გამოყენებული სასწავლო აქტივობები, შესაძლებლობას იძლევა შეძლებისდაგვარად ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ფუნქციურ - კომპეტენტური უნარების განვითარებასა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმებში იკვეთება კორელაცია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ

	სავალდებულო თემებთან და სამიზნე ცნებებთან. დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალების შინაარსი, მიზნობრივი აქტივობებისა და რესურსის შეთავაზება, კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. ხშირ შემთხვევაში, წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები იძლევა მოსწავლის დაფიქრებისა და წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას. **რჩევა:** სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმებში გაითვალისწინონ რამდენიმე კომპლექსური ან შემოქმედებითი ტიპის დავალება. **ინდიკატორი 2.1.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში თემის ფარგლებში მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. ყველა თემას ახლავს შუალედური დავალების პირობა - საკლასო, ან სასკოლო სპორტული ფესტივალი, რომლის განხორციელებითაც მასწავლებლები უზრუნველყოფენ გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმები შემუშავებულია სავალდებულო თემების გათვალისწინებით. საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში მოცემული დავალებები/ შემაჯამებელი დავალებები ემსახურება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას/ შესრულებას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში თემები ძირითადად გაწერილია საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. გრძელვადიანი მიზნები და შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით. კათედრას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური

	დავალების ბარათები, თუმცა ზოგიერთ საგანში (მათემატიკა, ბუნებისმეტყველება), დავალების ბარათებში ჩარჩენილია ძველი სტანდარტის ცნებები, რაზეც კათედრამ მომდევნო სასწავლო წლისთვის გამოსწორება განაცხადა. ქართულში (მე-3/4 კლასებში) კურიკულუმში შეტანილია ცნება „გრამატიკა (პრაქტიკული)“, თუმცა არ ჩანს ის საკითხები რითაც ცნებას დაამუშავებენ. სკოლას მიეცა **რჩევა** აღნიშნულის გამოსწორების. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული და დაგეგმილი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სკოლა ძირითადად იყენებს სახელმძღვანელოებს და ელექტრონულ რესურსებს: ტელესკოლის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ მომზადებულ პრეზენტაციებს, მოძიებულ თემატურ მასალას. აქვთ ცხრილები, პლაკატები (რაც ჩანს გადაღებულ ფოტო-მასალაში) სკოლას აქვს კეთილმოწყობილი და აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია) საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია რესურსები (სახელმძღვანელო, დამატებითი მატერიალური და ელექტრონული რესურსები და სხვა) არის მიზნობრივი, გათვალისწინებულია ასაკობრივი შესაბამისობა. **რჩევა**: სასურველია კურიკულუმში ასახული იყოს ყველა საკითხის შესაბამისი რესურსი, ასევე მიეთითოს სახელმძღვანელო-გამომცემლობა-ავტორი-გვერდები **(სამივე საფეხური** - ყველა საგანი). სასურველია რესურსების პერიოდული გადამოწმება და განახლება, რათა უზრუნველყოს მათი აქტუალურობა და შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტების ფოტო-მასალა უცხოურ ენებში, სადაც დასტურდება, რომ სკოლა იყენებს მრავალფეროვან რესურსებს სასწავლო პროცესში. თუმცა, დაწყებით საფეხურზე ფრანგულ ენაში V კლასში ღია გაკვეთილის რეფლექსიის ანალიზის შედეგად ჩანს, რომ არსებობს თემატური მიმართების პრობლემა - გაკვეთილის მთავარი თემა იყო „მე და ჩემი ოჯახი", მაგრამ წინარე ცოდნის გააქტიურება მოხდა ალექსანდრე დიუმას „სამი მუშკეტერის" პერსონაჟების აღწერის მიხედვით. აღნიშნული ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟებსა და ოჯახურ თემატიკას შორის ლოგიკური კავშირი არ ჩანს. ეს ქმნის კონცეპტუალურ არათანმიმდევრობას და შეიძლება გაურკვევლობას იწვევდეს მოსწავლეებში თემების ურთიერთკავშირის მიმართ. **რჩევა**: სასურველია უზრუნველყოფილი იყოს გაკვეთილის მთავარ თემასა და წინარე ცოდნის გააქტიურების აქტივობებს შორის ლოგიკური კავშირი. "ოჯახი" თემისთვის შეიძლება წინარე ცოდნის გააქტიურება მოხდეს ოჯახის წევრების აღწერის მაგალითებით, ნათესაური კავშირების ლექსიკის გამეორებით, ან თავად მოსწავლეების ოჯახებზე მცირე კითხვა-პასუხებით. მოხდეს მასწავლებელთა გადამზადება შესაბამისად. საშუალო საფეხური დახარვეზდა, რადგან მხოლოდ მე-10 კლასის კურიკულუმი არის წარმოდგენილი ინგლისურ ენაში. შესაბამისად, შეუძლებელია განსაზღვრა რამდენად მიემართება საშუალო საფეხური სტანდარტის მოთხოვნებს. დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი (საშუალო საფეხურზე) დახარვეზებული იყო, რადგანაც ტექნიკური მიზეზის გამო, ვერ მოხერხდა საშუალო საფეხურის ინგლისურის კურიკულუმების ნახვა. დაწესებულების მიერ **არგუმენტირებული პოზიციის** წარდგენის შედეგად ექსპერტს მიეცა საშუალება შეესწავლა საშალო საფეხურის კურიკულუმები და მიიჩნევს, რომ <u>**ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**</u>
ესთეტიკური აღზრდა	ესთეთიკური აღზრდის საგნების მიმართულებით **დაწყებით და საბაზო** საფეხურზე სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი რესურსით. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც წარმოდგენილია ფოტომასალის სახით.

	საშუალო საფეხურზე 2024-2025 სასწავლო წელს საათობრივ ბადეში არ იყო გათვალისწინებული და შესაბამისად, არ ისწავლებოდა ,,პროექტული სწავლების“ სავალდებულო საგნები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. გამომდინარე აქედან, საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის საგნების მიმართულებით ხარვეზდება, რადგან, სკოლის მიერ დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი კურიკულუმები და რესურსები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს გაზიარებული დოკუმენტი: „პროექტი-საათბორივი ბადე 2025-2026 სასწავლო წელი სკოლა პოლიგლოტი“, რომელშიც ახალი სასწავლო წლიდან გათვალისწინებულია მე-10 კლასში „პროექტი ხელოვნებაში“ 1 სთ. კვირეული დატვირთვით, ხოლო მე-11 კლასში „პროექტი მუსიკაში“. აღნიშნულის გამო, ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული. სკოლამ **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დანართის სახით წარმოადგინა საბაზო/საშუალო საფეხურის სავალდებულო საგნების - პროექტული სწავლების X, XI და XII კლასების კურიკულუმები როგორც მუსიკაში, აგრეთვე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში.** ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე **საშუალო** საფეხურზე სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი რესურსით. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. შერჩეული რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას და აკადემიური ცოდნის კონსტრუირებისათვის ქმნის მეტ-ნაკლებად ხელსაყრელ პირობებს. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	თითქმის ყველა კლასის საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე საგანმანათლებლო

	რესურსები, რომლებიც ჩაშენებულია ლინკების სახით (ტელესკოლის გაკვეთილები, ხან აკადემიის რესურსები, იუტუბის ვიდეო რესურსები). კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები ხელს უწყობს სამიზნე ცნებების დამუშავებას და მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმებში ყველა თემასთან მიმართებით მასწავლებლებს გაწერილი აქვთ ელექტრონული რესურსები ლინკების სახით: სახელმძღვანელოები, გზამკვლევები, სხვადასხვა ვარჯიშის ვიდეოინსტრუქციები. მასწავლებლებს ასევე წარმოდგენილი აქვთ ცალკე ფაილში ყველა თემისთვის პრეზენტაციები. მასწავლებლების მიერ შერჩეული რესურსები ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება ასაკობრივი ჯგუფის თავისებურებებს. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია ელექტრონული რესურსების გამოყენებით. პროგრამების: ვიზუალური პროგრამირება www.scretch.org თამაშების ლაბორატორია School.emis.ge , ღრუბლოვანი სერვისების გამოყენება უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლას კომპიუტერული კლასი აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია მოსწავლეებმა იმუშაონ სხვადასხვა პროგრამებში: Code.org , ვსწავლობთ თამაშით. **ინდიკატორი 2.1.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილი აქვთ სახელმძღვანელოები და ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსები, რომლებსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრის დროს გამოიკვეთა ზეპირსიტყვიერად, რომ: სკოლა მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე ახორციელებს დიფერენცირებულ

	სწავლებას. მაგალითად, საბუნებისმეტყველო მიმართულების გაძლიერებით იმუშავეს ოლიმპიადის ამოცანებზე და თემებზე. ამ ეტაპზე ისგ გეგმით სარგებლობს სკოლის ერთი მოსწავლე. სსსმ მოსწავლეებისათვის კურიკულუმის ადაპტაცია და ისგ გეგმის შემუშავება ხდება ესგ- ით მითითებულ ვადებში. **რჩევა:** რადგან, სკოლის მიერ დიფერენცირებული მიდგომების განხორციელება მხოლოდ ზეპირსიტყვიერად გამოიკვეთა, სასურველია შესაბამისი მასალა წარმოდგენილი იყოს თვალსაჩინოების სახით. ასევე, სსსმ მოსწავლის ნამუშევარი. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია) სასწავლო პროცესი სკოლაში დაფუძნებულია ინკლუზიურობის პრინციპებზე და ითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს სწავლების პროცესის ეტაპებზე. **რჩევა:** სასურველია მკაფიოდ გამოიკვეთოს მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად დაიგეგმოს მოკლევადიანი მიზნები. მკაფიოდ გამოიკვეთოს კათედრის წევრების მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები - კურიკულუმში შეტანილი ცვლილებები კლასის საჭიროებიდან გამომდინარე. სასურველია, რომ **სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სპეციალური საგანმანათლებლო გეგმის (ისგ) შემუშავების პროცესში კათედრის ყველა წევრი ჩაერთოს**, რათა სკოლამ შეიმუშაოს და განახორციელოს სპეციალური სასწავლო გეგმა ნებისმიერი ტიპის მოსწავლის მიღებისა და მხარდაჭერისათვის, რაც ხელს შეუწყობს სკოლაში ინკლუზიური განათლების ხარისხიანად განხორციელებას და უზრუნველყოფს ნებისმიერ მოსწავლეზე მორგებულ საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ წარმოადგინა ინდ.სასწავლო გეგმები, კურიკულუმში არ არის გათვალისწინებული მსგავსი საკითხები. არ არის მითითებული ალტერნატიული დავალებები იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც ვერ ასრულებენ მითითებულ აქტივობას ტექნიკური ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო.

	რჩევა: კურიკულუმში ყოველი დავალებისთვის უნდა იყოს გათვალისწინებული რამდენიმე ალტერნატიული შესრულების ვარიანტი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ მონაწილეობას განურჩევლად მათი ტექნიკური საშუალებებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისა. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რითაც გამოხატავს მზაობას სსსმ მოსწავლეების სწავლების მიმართ და მათთვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში გაწერილი არ არის აქტივობები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. როგორც კათედრის წევრებთან გასაუბრებით დადგინდა, მოსწავლე არ საჭიროებს ამ საგნებში ისგ-ს. **რჩევა:** სასურველია ისგ-ში საგნის ცნებაზე/ცნებებზე და ქვეცნებებზე დაფუძნებული აქტივობები იყოს შემთავაზებული სსსმ მოსწავლეთათვის. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციის მიხედვით კომპლექსური დავალებები შეძლებისდაგვარად მოდიფიცირებულია და სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომები. სკოლას გააზრებული აქვს ამ მეთოდიკური ორიენტირის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში. პედაგოგები აკვირდებიან მოსწავლის განვითარებას, ქმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და ცოდნის დონის დინამიკის გასაანალიზებლად. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	ზუსტ და საბუნებისმეყველო კათედრას გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის პრინციპები. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ბუნების დავალებებზე, რაც თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას; ამის თვალსაჩინოდ წარმოადგინეს კომპლექსური ტიპის დავალებები. კათედრას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ასევე, სსსმ მოსწავლისთვის ინდ.გეგმის მიხედვით შედგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული ადაპტირებული დავალებების ნიმუშები, რომლის

	საფუძველზეც ვასკვნით, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლე არის განსხვავებული თავისი ინდივიდუალური ფიზიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ინტერესებით და სწავლის სტილით, რასაც ითვალისწინებენ ფიზიკური აქტივობის პროცესში და მაქსიმალურად უზრუნველყოფენ, რომ ყველა მოსწავლე თანაბრად იყოს ჩართული მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლებს შეუძლიათ დავალების მოდიფიცირება და მოსწავლის უნარებსა და საჭიროებაზე მორგება. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანს, რომ დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; ვინაიდან 2024-2025 სასწავლო წელს არ ჰყავდათ სსსმ მოსწავლე მოხდა 2023-2024 სასწავლო წლის სსსმ მოსწავლის ინდ.გეგმის შესწავლა, რის შედეგად ჩანს, რომ 2023-2024 სასწავლო წელი დაგეგმილი იყო მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს სსსმ მოსწავლისთვის შედგენილი ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. მასწავლებელი იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა მოდელს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას (ჩანს კურიკულუმებში, სადაც დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს) **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ დოკუმენტაციის სახით წარადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, შემაჯამებელი დავალების ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის ჯგუფის სხდომის ოქმები. შეფასების რუბრიკები: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურისთვის. პროექტის შეფასების რუბრიკები. სკოლა შეფასებას ახორციელებს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებებით. მონაცემები მუშავდება კათედრაზე და გაეცნობა სასკოლო საზოგადოებას. **რჩევა:** განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/რუბრიკები საგნების მიხედვით უნდა იყოს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი ხასიათის და არ ასახავს კონკრეტული პროდუქტის შექმნის დროს მოსწავლის შეფასებას. ***დაწყებითი საფეხური:*** მე-2 კლასის ბუნებისმეტყველება: განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში სამიზნე ცნებები არასრულია. განხორციელებული კომპლექსური დავალების შეფასება. მე-3 კლასი პირველ თემაში ერთი სამიზნე ცნებაა. მე-4 კლასი: არ არის გაწერილი შუალედური პროდუქტი. მე-6 კლასის ბუნებისმეტყველება: „შუალედური მიზნის მისაღწევი დავალების იდეა“ - გრაფა ცარიელია. დაწყებით საფეხურზე შეფასება (განმავითარებელი/განმსაზღვრელი) უნდა ასახავდეს კონკრეტული პროდუქტის შეფასებას და არა ზოგადი ტიპის შეფასებას. ***საბაზო საფეხური:*** ფიზიკა მე-7 კურიკულუმში მეორდება სამიზნე ცნებები ერთ თემაში. შუალედური დავალების პირობის გრაფა ცარიელია. მე-10კლასი ფიზიკა ქვეცნებები მიუსადაგეთ სამიზნე ცნებებს. საბაზო საფეხურზე გასათვალისწინებელია შეფასება კონკრეტული დავალების, რომელიც კურიკულუმით განახორციელეთ.

	საშუალო საფეხური: ფიზიკა: მე-11 კლასი კურიკულუმში სამიზნე ცნებებს შეუსაბამეთ ქვეცნებები მე-12 კლასების კურიკულუმებს არ ახლავს შუალედური პროდუქტის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები. ქიმია მე-11 კლასი, პროდუქტის შეფასების რუბრიკა. კურიკულუმებს არ ახლავს მატრიცები. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია) სასწავლო პროცესში შეფასებისათვის გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. **რჩევა:** სასურველია, შეფასების სისტემის გამდიდრება მრავალფეროვანი ინსტრუმენტებით და მკაფიოდ გაწერა, თემასთან მიმართებით სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით, თუ როგორ უწყობს ხელს შეფასება სწავლის მიზნების მიღწევასა და მოსწავლის მხარდაჭერას**(სამივე საფეხურზე),** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტად დააკავშირონ ესგ-ის მიხედვით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მისაღწევ შედეგებთან. სასურველია წლის დასაწყისში კათედრის მიერ შემუშავდეს შემაჯამებელი დავალებებისთვის განმსაზღვრული შეფასების სქემები-საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი მორგება გამოკვეთილ საჭიროებებზე. სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მოერგოს შესაბამის თემატიკას, კურიკულუმში დაკონკრეტდეს შუალედური სასწავლო მიზანი. ასევე, მიეთითოს პროდუქტი/პროდუქტები. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, რადგან როგორც განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ასევე განმავითარებელი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის ობიექტურ აღრიცხვას. თუმცა, ფრანგულ ენაში წარმოდგენილი იყო ზოგადი შეფასების სისტემა. **სკოლას მიეცა რჩევა:** ორგანიზება გაუწიონ ფრანგული ენის მასწავლებლებისთვის

	მიზნობრივ ტრენინგს შეფასების სისტემების ერთიანი ფორმის შემუშავებასა და გამოყენებაზე. მაგ: მომზადდეს კონკრეტული შეფასების რუბრიკები თითოეული ენობრივი უნარ-ჩვევისთვის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა) ცალ-ცალკე. **ინდიკატორი 2.1.2.5 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების მიმართულებით **დაწყებით და საბაზო** საფეხურზე წარმოდენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სახვითი და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. **რჩევა:** 1. **მუსიკის საგნის საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში** შეფასება, სასურველია გაიწეროს დამოუკიდებლად, საბაზო საფეხურის ყველა ცნების - ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა და ჟანრის მიხედვით, თემასა და საკითხთან მიმართებაში და მიენიჭოს მათ 1 ქულა, რაც ჯამში დადებითი შეფასების 6 - მაქსიმალური ქულას შეადგენს. საშუალო საფეხურზე, 2024-2025 სასწავლო წელს, საათობრივ ბადეში არ იყო გათვალისწინებული და შესაბამისად, არ ისწავლებოდა ,,პროექტული სწავლების“ სავალდებულო საგნები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. გამომდინარე აქედან, საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის საგნების მიმართულებით ხარვეზდება, რადგან სკოლის მიერ დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი კურიკულუმები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და რესურსები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს გაზიარებული დოკუმენტი: „პროექტი-საათობრივი ბადე 2025-26 სასწავლო წელი სკოლა პოლიგლოტი“, რომელშიც ახალი სასწავლო წლიდან გათვალისწინებულია მე-10 კლასში „პროექტი ხელოვნებაში“ 1 სთ. კვირეული დატვირთვით, ხოლო მე-11 კლასში „პროექტი მუსიკაში“. ამის გამო ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, თუმცა **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ დანართის სახით წარმოადგენა საბაზო საფეხურის სავალდებულო საგნების - პროექტული სწავლების - როგორც მუსიკაში, აგრეთვე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, შეფასების რუბრიკები.** **რჩევა:** 2. მუსიკის მიმართულებით წარმოდგენილია შეფასების რუბრიკის „ჩეკლისტი“,

	რომელშიც შეფასების კრიტერიუმები არის ზოგადი, სამწუხაროდო არსად წერია რომელიმე ცნება, ან **საშუალო საფეხურის** მუსიკის საგნის სტანდარტის მისაღწევი შედეგები. სასურველია რუბრიკები იყოს კონკრეტულად აგებული პროექტის ფარგლებში შესასწავლ ცნებებზე და მისაღწევ შედეგებზე. 3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით წარმოდგენილი „პროექტის შეფასების რუბრიკაში“ ქულები არის დონეებზე მიწერილი და კრიტერიუმი ათია მოცემული. სასურველია, ქულობრივი მაჩვენებელი მოიხსნას, რადგან პროექტული სწავლების მიმართულებით მოსწავლე არ ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. სასურველია, შედგენის დროს აქცენტი გაკეთდეს ცნებებსა და მიზნებზე და რუბრიკაში გაიწეროს განმავითარებელი კომენტარის სახით **(საშუალო საფეხური). ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	პედაგოგებს შეძლებისდაგვარად გააზრებული აქვთ შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში. სამივე საფეხურის კათედრა კომპლექსური დავალების შესაფასებლად იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არის როგორც ზოგადი ხასიათის, ასევე კონკრეტული დავალებისთვის/თემისთვის. სამივე საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. ყველა კლასისთვის წარმოადგინა საფეხურების მიხედვით თითო თემისთვის შექმნილი როგორც განმსაზღვრელი, ასვე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (1-4 კლასებში-განმავითარებელი). მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს დიაგნოსტიკური წერების მიხედვით. წარმოადგინეს დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი წერების შედეგების ანალიზი თითქმის ყველა კლასში. შეფასების ყველა დოკუმენტის საფუძველზე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მასწავლებლები აქცენტს აკეთებენ არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. **რჩევა:** სასურველია, დოკუმენტების წარმოდგენისას დაცული იყოს მოსწავლის

	პერსონალური ინფორმაცია. **ინდიკატორი 2.1.2.5 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის საშუალებითაც დეტალურად აღიწერება, თუ რა მოლოდინი უნდა გვქონდეს მოსწავლისგან კონკრეტულ ქვესაკითხთან და მასთან ერთად სამიზნე ცნებასთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება ეხმარება მასწავლებლებს სწორად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. მასწავლებლებმა ასევე წარმოადგინეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კურიკულუმის ყველა თემის მიმართ, რომლის მიზანია მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემა (განმსაზღვრელი და განმავითარებელი). V-VI კლასში იყენებენ საკლასო და შემაჯამებელ შეფასებებს, ხოლო I-IV კლასებში განმავითარებელ შეფასებას. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს შემუშავებული აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები. **ინდიკატორი 2.1.2.5 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია სოლო ტაქსონომიის რუბრიკები ბუნებისმეტყველებაში, სადაც დონეების მიხედვით გაწერილია კონკრეტული დავალების ფარგლებში მისაღწევი შედეგები. სხვა საგნებში (ქართული, მათემატიკა) წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა ცნებების მიხედვით მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარე და არა კონკრეტული დავალების მიხედვით რა უნდა შეძლოს მოსწავლემ. სკოლას მიეცა **რჩევა** შექმნას კონკრეტული კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმა დანართი 2024-2025;

- სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარების მექანიზმი დანართები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შემაჯამებელი დავალების ვერიფიკაცია;
- ვერიფიკაციის ჯგუფის სხდომის ოქმები;
- შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი/განმსაზღვრელი);
- შემაჯამებელი დავალების ფორმები I - XII კლასების კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები სამივე საფეხურზე;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე;
- შუალედური დავალების ბარათები სამივე საფეხურზე;
- დიაგნოსტიკური ტესტის ნიმუშები სამივე საფეხურზე;
- ისგ დაწყებით საფეხურზე;
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები სამივე საფეხურზე;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზები;
- მასწავლებლების რეფლექსია;
- ღია გაკვეთილების გეგმა;
- კათედრის ოქმი N1 (2024-2025წ);
- საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმა დანართი 2024-2025;
- სკოლა ,,პოლიგლოტის“ სასკოლო სასწავლო-გეგმა-2024-2025წ.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიმართულებაზე და დახვეწაზე. სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება, ურთიერთდასწრება. ერთობლივი თანამშრომლობა სასკოლო ინტელექტუალურ თამაშებში: "რა, სად, როდის?" ასევე, აქცენტი კეთდება მეტად აქტუალურ თემებზე: ალკოჰოლი, თამბაქო და მავნე ჩვევების პრევენცია. ძირითადად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია) სასწავლო პროცესში ხდება კურიკულუმის მოდიფიცირება საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლაში ხორციელდება შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, ურთიერთდაკვირვება, თვითრეფლექსია, რაც პროცესს ორიენტირებულს ხდის შედეგზე. კათედრა აძლიერებს არაფორმალურ განათლებას, აკავშირებს ფორმალურ განათლებასთან მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებით. **რჩევა:** სასურველია ყოველი წლის ბოლოს დაიგეგმოს კურიკულუმი ანალიზი, თუნდაც კომენტარების სახით. სასურველია ანალიზის შედეგები აისახოს კათედრის გეგმაში და

	გამოყენებულ იქნას როგორც მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისა და პროცესის გაუმჯობესების საფუძველი (**სამივე საფეხური** - ყველა საგანი). **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	გამომდინარე იქიდან, რომ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია მხოლოდ მე-10 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმი და შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები ინგლისურ და ფრანგულ ენებში ვერ ხდება განსაზღვრა თუ რამდენად არის საშუალო საფეხურზე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული. აუცილებელია საშუალო საფეხურზე კურიკულუმების შემუშავება ინგლისურ და ფრანგულ ენებში. დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი (საშუალო საფეხურზე) დახარვეზებული იყო, რადგანაც ტექნიკური მიზეზის გამო, ვერ მოხერხდა საშუალო საფეხურის ინგლისურის კურიკულუმების ნახვა. ფრანგული ენის კურიკულუმები წარმოდგენილი იყო VIII კლასის ჩათვლით, რაც შეესაბამებოდა 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო გეგმას. დაწესებულების მიერ **არგუმენტირებული პოზიციის** წარდგენის შედეგად ექსპერტს მიეცა საშუალება შეესწავლა საშუალო საფეხურის კურიკულუმებიც და მიიჩნევს, რომ **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზდრის საგნების მიმართულებით **დაწყებით და საბაზო საფეხურებზე,** წარმოდგენილი მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები. თემატური ბლოკებსა და თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, რომელთა დაძლევას/გააზრებას ემსახურება თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, განსაზღვრულია ქვეცნებები. კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი პროდუქტების, თუ კომპლექსური დავალების იდეები, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს. **რჩევა:** მუსიკის საგანში, საბაზო საფეხურზე, სასურველია შემოქმედებითი პროდუქტების შეთავაზება მოსწავლეთათვის, იქნება ეს კომპლექსური დავალება, პრეზენტაციის მომზადება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, მცირე მოკვლევა-კველვა კონკრეტული თემისა და სახიკითხის, მოკლე მოხსენება თუ სხვა. საშუალო საფეხურზე 2024-2025 სასწავლო წელს საათობრივ ბადეში არ იყო გათვალისწინებული და შესაბამისად, არ ისწავლებოდა ,,პროექტული სწავლების“ სავალდებულო საგნები სახვით და

	გამოყენებთ ხელოვნებასა და მუსიკაში. გამომდინარე აქედან, საშუალო საფეხური ესთეტიკური აღზრდის საგნების მიმართულებით ხარვეზდება, რადგან სკოლის მიერ დოკუმენტაციაში, არ არის წარმოდგენილი კურიკულუმები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და რესურსები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს გაზიარებული დოკუმენტი: „პროექტი-საათობრივი ბადე 2025-26 სასწავლო წელი სკოლა პოლიგლოტი“, რომელშიც ახალი სასწავლო წლიდან გათვალისწინებულია მე-10 კლასში „პროექტი ხელოვნებაში“ 1 სთ. კვირეული დატვირთვით, ხოლო მე-11 კლასში „პროექტი მუსიკაში“. სკოლამ **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დანართის სახით წარმოდგენა** საბაზო/საშუალო საფეხურის სავალდებულო საგნების X, XI და XII კლასების პროექტული სწავლების კურიკულუმები, როგორც მუსიკაში, აგრეთვე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. ესთეტიკური აღზდრის კათედრაზე, **საბაზო/საშუალო საფეხურზე,** წარმოდგენილი მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები. თემატურ ბლოკებსა და თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, რომელთა გააზრებას ემსახურება თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, განსაზღვრულია ქვეცნებები. კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი პროდუქტები და პროექტის იდეები, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს. თუმცა, როგორც უკვე 2.1.2.2 ინდიკატორის აღწერაში აღინიშნა, მუსიკის საგნის კურიკულუმში არ არის გაწერილი პირველი ცნება - „ბგერა“. **რჩევა: (საშუალო საფეხური)** ერთი კონკრეტული თემის, თუ პროექტის დამუშავების/შესწავლის პროცესში, სასურველია და უცილებელიც დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, ხოლო ყოველივე ეს გაწერილი იყოს კურიკულუმში. საშუალო საფეხურის სტანდარტში მუსიკის საგნის ექვსივე ცნება ნათლად არის წარმოდეგნილი და აგრეთვე პროექტული სწავლების სახელმძღვანელოშიც მოცემულია სტანდარტიდან ამონარიდი (იხ. პროექტული სწავლების მასწავლების წიგნი გამომცემლობა „პეგასი“ 2022 წ. - გვ.12). **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ეფუძნება კურიკულუმში წარმოდგენილი სავალდებულო თემების, ქვესაკითხებისა და საკითხების გააზრებასა და გაცნობიერებას. თემების გაანალიზებისა და გააზრებისათვის, შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის/კომპლექსური დავალებები. სასწავლო

	პროცესი დაგეგმილია შერჩეული კონკრეტული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და სასწავლო აქტივობები. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, სასწავლო პროცესში დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები (მაგალითად: ჰაერის დაბინძურება, ზოოპარკის დაპროექტება, პროცენტები ჩვენს ცხოვრებაში) კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო საკითხები და კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სხვადასხვა თემასთან გაწერილია შუალედური დავალების პირობად შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალები. ასევე წარმოდგენილია თემატური გეგმები და შუალედური დავალების ბარათები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ცხადი გახდა, რომ მათ განახორციელეს შიდა სასკოლო სპორტული ფესტივალები: დაწყებით საფეხურზე - „მხიარული სტარტები“, საშუალო საფეხურზე - „მძლეოსნობა“, საბაზო და საშუალო საფეხურზე - „კალათბურთი“ და „ფრენბურთი“, ასევე განახორციელეს სპორტული ფესტივალები „მაგიდის ჩოგბურთში“ და „მინიფეხბურთში“, სადაც სხვადასხვა კლასები მონაწილეობდნენ. სკოლის მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეები სპორტის მასწავლებლის ხელმძღვანელობით მონაწილეობას იღებდნენ სასკოლო ლიგაზე ფეხბურთში, სადაც წარამატებას მიაღწიეს და ნახევარ ფინალამდე მივიდნენ. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები/შეფასების კრიტერიუმი/შესრულებული დავალებები/

	შემაჯამებელი წერები/შემაჯამებლი წერის ანალიზი. მოსწავლეთა ნამუშევრები. **რჩევა:** სასურველია მასწავლებელმა მოსწავლეები ამუშაოს უფრო მეტად პრაქტიკულ დავალებებზე/შემაჯამებელი წერები განახორციელოს პრაქტიკული სამუშაოებითაც. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება კათედრის შეხვედრა და კურიკულუმების განხილვა. აქვთ კითხვარები, რომლის მიხედვითაც აწარმოებენ კვლევას და გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმებს. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს კურიკულუმების შეფასების ცხრილი. დიაგნოსტირება ზედა საფეხურზე აქვთ, დაწყებით საფეხურზე არ ახორციელებენ, თუმცა მომავალში დაგეგმილი აქვთ. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა აქტიურად იყენებს უკუკავშირის მექანიზმებს (კონსულტაციები, პედაგოგიური საბჭოს სხდომები, მშობელთა შეკრებები, სადამრიგებლო საათები), რაც უზრუნველყოფს საჭიროებების დროულად იდენტიფიცირებას. გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ეფუძნება მონაცემებს და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებაც ხდება შესაბამისი ანალიზის საფუძველზე. არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ მოსწავლეთა, მშობლებისა და პედაგოგიური გუნდის მხრიდან გამოვლენილ საჭიროებებზე სკოლა დროულად რეაგირებს. ამის მაგალითია როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შეთავაზება კონკრეტული აკადემიური ან სოციალურ-ემოციური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებელთა შორის გადანაწილების ან საათობრივი განრიგის კორექტირება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი 2.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ შემუშავებულია შეფასების სისტემის ვეიფიკაციის მექანიზმი. შემაჯამებელი დავალების ვერიფიკაცია, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის. შეფასებას სამი კომპონენტით ახორციელებენ საკლასო,

	საშინაო, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია) მასწავლებელთა შეფასების პროცესი სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. **რჩევა:** სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება. შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს. სასურველია პერიოდულად მოხდეს შეფასების რუბრიკების რეაქტუალიზაცია სწავლების პრაქტიკიდან გამომდინარე და კათედრის წევრებთან ერთად განხილვა, რათა შეფასება კიდევ უფრო ინფორმატიული და ეფექტური გახდეს მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად (სამივე საფეხური-ყველა საგანი). **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალური პროგრესის ობიექტურ აღრიცხვას. სისტემაში მოქმედებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმიც, რაც ზრდის პროცესის სანდოობასა და გამჭვირვალობას. თუმცა, ფრანგულ ენაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ზოგადი შეფასების სისტემა, რაც ქმნის ერთგვარ დისბალანსს. სწორედ ამიტომ, სკოლას მიეცა **რჩევა:** • ფრანგული ენის მასწავლებლებისთვის ორგანიზდეს მიზნობრივი ტრენინგი ერთიანი შეფასების სისტემის შემუშავებისა და გამოყენების მიმართულებით; • მომზადდეს დეტალური შეფასების რუბრიკები თითოეული ენობრივი უნარ-ჩვევისთვის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი); **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის მიმართულების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ **დაწყებით და საბაზო** საფეხურებზე კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს, მორგებულია სასწავლო თემებზე და სამიზნე ცნებებზე. მოსწავლეთათვის შეფასების რუბრიკები ნაცნობია, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური. საშუალო საფეხურზე 2024-2025 სასწავლო წელს საათობრივ ბადეში არ იყო გათვალისწინებული და შესაბამისად, არ ისწავლებოდა ,,პროექტული სწავლების“ სავალდებულო საგნები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. გამომდინარე აქედან, საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის საგნების მიმართულებით ხარვეზდებოდა, რადგან სკოლის მიერ დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი კურიკულუმები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და რესურსები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს გაზიარებული დოკუმენტი: „პროექტი-საათობრივი ბადე 2025-2026 სასწავლო წელი სკოლა პოლიგლოტი“, რომელშიც ახალი სასწავლო წლიდან გათვალისწინებულია მე-10 კლასში „პროექტი ხელოვნებაში“ 1 სთ. კვირეული დატვირთვით, ხოლო მე-11 კლასში „პროექტი მუსიკაში“. სკოლამ **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დანართის სახით წარმოადგინა საბაზო/საშუალო საფეხურის სავალდებულო საგნების - პროექტული სწავლების შეფასების რუბრიკები - როგორც მუსიკაში, აგრეთვე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში.** ესთეტიკური აღზრდის კათედრის სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ **საბაზო/საშუალო** საფეხურზე კურიკულუმებს თან ახლავს შეფასების რუბრიკის ნიმუშები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და მორგებულია სასწავლო თემებზე. მოსწავლეთათვის შეფასების რუბრიკები სავარაუდოდ ნაცნობია, რადგან სკოლამ ეს დოკუმენტაცია სწავლის დაწყების შემდეგ წარმოადგინა, შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური.**_ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეები გათვითცნობიერებულნი არიან შეფასების მიზნობრიობაში, ისინი იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. კომპლექსური

	დავალებებისთვის და შეფასების რუბრიკებისთვის მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის დანერგვას შეუწყობს ხელს. პედაგოგები ცდილობენ თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება დახვეწონ ამ კუთხით და შეფასების სისტემა გამოიყენონ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსასაზღვრად მრავალფეროვანი და სამართლიანი მიდგომებით. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კათედრა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს. ამას მოწმობს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საფეხურების და კლასების მიხედვით, კონკრეტულ თემებზე გაწერილი. შემაჯამებელი ტესტების შეფასების რუბრიკები. კათედრამ ინტერვიუს შემდეგ გაითვალისწინა რჩევა და სამივე საფეხურზე წარმოადგინა მკაფიო შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. შეფასების კრიტერიუმებს აცნობენ მოსწავლეებს. კათედრას აქვს მზაობა შექმნას ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც იქნება სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	მასწავლებლებს კურიკულუმში გაწერილი ყველა თემისთვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, ემსახურება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლის განვითარების მაქსიმალურ ხელშეწყობას უზრუნველყოფს. შეფასებისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლის მიღწევების აღწერა და ადეკვატური უკუკავშირი კომენტარის სახით - თუ რა უწყობს/უშლის ხელს მოსწავლის წინსვლას. მასწავლებლები წინასწარ აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს იმის შესახებ, თუ რა და როგორ შეფასდება. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე.

	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს შექმნილი აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ხოლო დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში ინდივიდუალური განმავითრებელი შეფასება. **რჩევა**: მასწავლებელმა შექმნას ყველა თემისთვის ინდივიდუალური განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა და არ იხელმძღვანელოს ზოგადი შეფასების რუბრიკით. **ინდიკატორი 2.2.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და მასწავლებლებთან დიალოგი, ცხადყოფს იმას, რომ კათედრა დიდ ყურადღებას აქცევს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციას ახორციელებს:

- დირექტორის მოადგილე;
- ხარისხის მართვის მენეჯერი;
- კათედრის მიერ შერჩეული წევრი;

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი, რომელიც მოიცავს, ზოგად დებულებებს, ვერიფიკაციის დაგეგმვასა და წარმართვას, მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის პროცედურას, ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირების და პასუხისმგებლობის სფეროს. სკოლა სამივე საფეხურზე შეფასების პირველ მოდელს იყენებს. სამკომპონენტიანი შეფასებისთვის მნიშვნელოვანია მოქმედ სტანდარტთან შესაბამისი რუბრიკების შექმნა და გამოყენება სასწავლო პროცესში. სკოლა 2024-2025სასწავლო წელს განახორციელა შემაჯამებელი დავალებების ვერიფიკაციის პროცესი.

კათედრას ასევე წარმოდგენილი აქვს: შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მასწავლებელების გაკვეთილებზე ურთიერთდაკვირვების ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსიები, კათედრის სხდომის ოქმი, სადაც გაანალიზებული და შეჯამებული აქვთ სწავლებაში არსებული მდგომარეობა. სკოლის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი და პირობები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ესთეტიკური მიმართულებით შემაჯამებელი, შემოქმედებით თუ კომპლექსური დავალებები არ არის გამრავალფეროვნებული. ვიზიტის ფარგლებში სკოლის მიერ

მოწოდებულ იქნა მუსიკის შემაჯამებელი ტესტური დავალებები. შეფასების რუბრიკებში ზოგან საერთოდ არ ფიგურირებს ცნებები თუ ქვეცნებები. ზოგან, თითქოს, ხელოვნურად არის მითითებული. ასევე სახელმწიფო ენის მიმართულებით სასკოლო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ფორმები და მეთოდები არ გახლავთ სრულყოფილი. წინა ვიზიტის რეკომენდაცია შეფასების სისტემასთან დაკავშირებით მეტნაკლებად გათვალისწინებულია. საერთო შეფასებით, მათ აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ მოსწავლის შედეგების, სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი და აწარმოონ სტატისტიკური შეფასებაც, რომლებიც ტიპური ვერიფიკაციის მეთოდებია. გარკვეული საგნების შემაჯამებელი სამუშაოს შეფასების სქემა მორგებულია შემაჯამებელი დავალებისა და საგნის სპეციფიკას. **ინდიკატორი 2.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები და სხვადასხვა ცნობები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველა თანამშრომელი იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს და აწვდის ყველა მოთხოვნილ მონაცემს ადმინისტრაციას. სკოლა ინახავს კანონით განსაზღვრული ვადით არსებულ მონაცემებს. **ინდიკატორი 2.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლა პოლიგლოტის კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურზე);
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სამოქმედო გეგმა;
- სავალდებულო პროექტების განხორციელების რეფლექსიები საშუალო საფეხურზე;

- მოსწავლეთა მიერ შექმნილი ნამუშევრები (კომპლექსური დავალებები და სავალდებულო პროექტები).

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა კურიკულუმით განსაზღვრული რესურსების სახით ძირითადად იყენებს სახელმძღვანელოს, ელ. რესურსებს, ასევე, საბუნებისმეტყველო საგნებში არის პლაკატები, სკოლას აქვს ლაბორატორია. **ინდიკატორი 2.2.2**.1. **აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია) გრიფირებული სახელმძღვანელოებთან ერთად გამოიყენება ციფრული რესურსები, სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები (დამატებითი ლიტერატურა, რუკები, გლობუსები, სქემები, ფოტომასალა). უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა. რესურსები მოსწავლეთათვის თანაბრად ხელმისაწვდომია. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმში ყველა თემას შეესაბამებოდეს და მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი მატერიალური და ელ.რესურსები. სასურველია რესურსების პერიოდული განახლება და ხელმისაწვდომობის მონიტორინგი, რათა მოსწავლეებს მუდმივად ჰქონდეთ აქტუალური და მრავალფეროვანი მასალები სწავლის პროცესისთვის. **ინდიკატორი 2.2.2**.1. **აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლამ წარმოადგინა 2022 წელს სამინისტროსთან შეთანხმებული დოკუმენტი (N 4-40), სადაც დაწყებით საფეხურზე შეთანხმებული სახელმძღვანელო არ ემთხვევა კურიკულუმით წარმოდგენილ სახელმძღვანელოებს. **შეთანხმების მიხედვით სკოლას მე-2 კლასიდან ძირითად სახელმძღვანელოდ აღებული უნდა ჰქონოდა Give me Five 1, Give me Five 2, Give me Five 3, Give me Five 4, Give me Five 5, თუმცა კურიკულუმები ამ კლასებში აგებულია სახელმძღვანელოებზე Macmillan English Language 1, Macmillan English Language 2, Macmillan English Language 3, Macmillan English Language 4.** გარდა ამისა, 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის პროექტითაც

	დასტურდება, რომ სკოლა არ იყენებს 2022 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული დოკუმენტით განსაზღვრულ სახელმძღვანელოებს (N 4-40), რაც ეწინააღმდეგება რეგულაციებს არაგრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყენების შესახებ. შესაბამისად, **<u>დაწყებით საფეხურზე (მე-2 კლასიდან მე-6 კლასის ჩათვლით) დარღვეულია სახელმძღვანელოს შეთანხმების წესი.</u>** სკოლამ **არგუმენტირებული პოზიციის სახით** წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან გაგზავნილი წერილი (2025 წლის 06.10. N4-110;), რომლის საფუძველზე სკოლა 2025-2026 სასწავლო წლისთვის ითხოვს სახელმძღვანელოების შეთანხმებას მე-2 კლასიდან მე-6 კლასის ჩათვლით Macmillan English 1, Macmillan English 2, Macmillan English 3, Macmillan English 4, Macmillan English 5. ამასთანავე დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ინგლისური ენის სახელმძღვანელოების გამომცემლობა წერილობით ადასტურებდა Give Me Five და Macmillan English სახელმძღვანელოების პროგრამულ იდენტურობას და ისინი ერთმანეთის ალტერნატივად მიიჩნევა (თავად წერილი სკოლის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა). აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმოდგენლებმა ინტერვიუს დროს დაგვიდასტურეს სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოებით მუშაობის ფაქტი. **ზემოაღნიშნული არგუმენტის მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწყებით საფეხურზე (მე-2 კლასიდან მე-6 კლასის ჩათვლით) დარღვეულია სახელმძღვანელოს შეთანხმების წესი. კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 აპრილის N425389 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმძღვანელოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების წესის“ მე-6 მუხლის პუნქტი 2-ის ქვეპუნქტი „ა“, „გ“. კანონმდებლობის თანახმად სკოლამ <u>განაცხადი სამინისტროში უნდა წარადგინოს სკოლის/სკოლის სტატუსის მაძიებლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე არაუგვიანეს 60 დღით ადრე. შეთანხმებული სახელმძღვანელო სასწავლო პროცესში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად არ გამოიყენება შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომდევნო სასწავლო წლამდე.</u>** შესაბამისად, მიმდინარე წლის 06 ოქტომბერს სკოლის მიერ გაკეთებული განაცხადი 2025-2026 სასწავლო წლისთვის სახელმძღვანელოს შეთანხმების თაობაზე ვერ ამოქმედდება 2026-2027 სასწავლო წლამდე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **<u>ინდიკატორი 2.2.2.1. არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების მიმართულებით, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნების სწავლებისთვის, **დაწყებით და საბაზო საფეხურებზე** შერჩეულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. დამხმარე რესურსად მუსიკის საგანი იყენებს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ბეჭდურ რესურსებს, როგორც თემებისა და საკითხების სახით აგრეთვე ვიდეო-აუდიო რესურსის ფორმატით. მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ პერსონალურ კომპიუტერს, ხმის გამაძლიერებელს, პროექტორს მოსწავლეთა პრეზენტაციების წარსადგენად. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისთვის კი სხვადასხვა თვალსაჩინოებას, პლაკატებს, პრეზენტაციებს, მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს და სხვა. საშუალო საფეხურზე 2024-2025 სასწავლო წელს საათობრივ ბადეში არ იყო გათვალისწინებული და შესაბამისად, არ ისწავლებოდა ,,პროექტული სწავლების“ სავალდებულო საგნები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. გამომდინარე აქედან, საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის საგნების მიმართულებით ხარვეზდება, რადგან სკოლის მიერ დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი კურიკულუმები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და რესურსები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს გაზიარებული დოკუმენტი: „პროექტი-საათობრივი ბადე 2025-2026 სასწავლო წელი სკოლა პოლიგლოტი“, რომელშიც ახალი სასწავლო წლიდან გათვალისწინებულია მე-10 კლასში „პროექტი ხელოვნებაში“ 1 სთ. კვირეული დატვირთვით, ხოლო მე-11კლასში „პროექტი მუსიკაში“. სკოლამ **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დანართის სახით წარმოდგენა საბაზო/საშუალო საფეხურის სავალდებულო საგნების - პროექტული სწავლების კურიკულუმები** X, XI და XII კლასებში, როგორც მუსიკაში, აგრეთვე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნების სწავლებისთვის, საშუალო საფეხურზე, შერჩეულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. დამხმარე რესურსად მუსიკის საგანი იყენებს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ რესურსებს. კათედრაზე მასწავლებლები გაკვეთილებზე იყენებენ პერსონალურ კომპიუტერს, ხმის გამაძლიერებელს, პროექტორს მოსწავლეთა პრეზენტაციების წარსადგენად, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისთვის კი სხვადასხვა თვალსაჩინოებას, პლაკატებს, პრეზენტაციებს და სხვა. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას ძირითად რესურსად დასახელებულია გრიფირებული

	სახელმძღვანელოები, დამხმარე რესურსად კი სხვადასხვა ლიტერატურული ნაშრომები და ტექსტები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხებს და გრძელვადიან სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	საგნობრივი კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი და ელექტრონული რესურსების ბმულები და რომლის გამოყენებასაც გეგმავს მასწავლებელი. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმებში და თემატურ გეგმებში თემებთან მიმართებით ჩაშენებულია სხვადასხვა სასწავლო რესურსი ლინკების სახით: სახელმძღვანელოები, გზამკვლევები მასწავლებლებისთვის, პრეზენტაციები სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმოშობის ისტორიით და ძირითადი წესებით, ვარჯიშის ვიდეოინსტრუქციები, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილზე უსაფრთხოების და ქცევის წესები, სპორტული ფესტივალის წესები და საშეჯიბრო სისტემა. მასწავლებლები მრავალფეროვანი რესურსებით მოსწავლეებს შესასწავლი საკითხეების უკეთ გააზრებაში ეხმარებიან. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	მასწავლებელი კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლებისას ხელმძღვანელობს ელექტრონული რესუსებით, რომელიც გაწერილი აქვს კურიკულუმში. **რჩევა**: მასწავლებელმა მოსწავლეების დახმარებით შექმნას ელექტრონული რესურსი, რომელსაც გამოიყენებს სწავლებისას. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. კათედრის კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები იძლევა მოსწავლის განვითარების საშუალებას. ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სახელმძღვანელოების ჩამონათვალი. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოცემულ ეტაპზე სკოლას აქვს დამხმარე ელექტრონული რესურსების ვალიდაციის მექანიზმი. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია) დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე შეთანხმებულად, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე ორიენტირებით, გათვალისწინებულია რესურსების სანდოობა და მიზნობრიობა. **რჩევა:** სასურველია რესურსების შერჩევის პროცესში პერიოდულად გამოიყენონ მოსწავლეთა უკუკავშირი, რათა უფრო ზუსტად განისაზღვროს მათ საჭიროებებზე ორიენტირებული მასალა და დაინერგოს მრავალფეროვანი, აქტუალური რესურსების გამოყენება. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას საგნობრივი კათედრის სისტემატური შეხვედრების მეშვეობით, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში მიმდინარეობს, რაც დასტურდება ინგლისური ენის მასწავლებლის ანგარიშით. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების მიმართულებით წარმოდგენილი რესურსები ვალიდურია. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები და მათი მიზნობრიობა განხილულია კათედრათა სხდომებზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა სასწავლო-საგანმანათლებლო არხებიდან. ზემოთნახსენები ფაქტორები ცხადყოფს დამხმარე რესურსების მეტ-ნაკლებ ვალიდაციას. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კათედრის მიერ შემოთავაზებული დამხმარე რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს და დასამუშავებელ თემებს. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით გახდა ცნობილი და ინტერვიუზეც გამოიკვეთა, საგანმანათლებლო რესურსები განიხილეს სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის პირველ სხდომაზე და შეარჩიეს ისეთი რესურსები, რომელიც ხელს უწყობს სწავლის უნარის განვითარებას და ინტეგრირებას, მასალის სიღრმისეულ წვდომას. ამასთან, ხაზი გაესვა იმ ფაქტორს, რომ რესურსი უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაბამისი და სანდო წყაროებიდან მოპოვებული. კათედრის სხდომაზე დაადგინეს 2024-2025 სასწავლო წლისათვის გამოსაყენებელი სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს**

	სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ დამხმარე რესუსრების ვალიდაცია ხორციელდება კათედრის წევრებთან შეთანხმების შედეგად. **რჩევა:** სასურველია კათედრის ოქმს დანართის სახით ახლდეს დამატებითი რესურსების ჩამონათვალი. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოცემულ ეტაპზე სკოლა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ძირითად სახელმძღვანელოთი და დამხმარე ელექტრონული რესურსებით, კომპიუტერებით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია) კურიკულუმებში ასახული მატერიალური და ციფრული რესურსები ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხდება მათი გამრავალფეროვნება კონკრეტული კლასის საჭიროებიდან გამომდინარე. ხელმისაწვდომია კომპიუტერები, პროექტორი, უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა. რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. **რჩევა:** სასურველია რესურსების შერჩევა მოხდეს თემატური მიზნების შესაბამისად და რეგულარულად განახლდეს ახალი, აქტუალური, მრავალფეროვანი მასალებით. **ასევე სასურველია** მოსწავლეთა სისტემატური უკუკავშირის მიღება, რათა რესურსების გამოყენება

	იყოს ეფექტური და მათი მრავალფეროვნება პასუხობდეს კლასის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულყოფილად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - სკოლაში არის ლეპტოპი და პროექტორი, რაც მნიშვნელოვანია უცხოურ ენებში ოთხივე უანრების გაუმჯობესებისათვის. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით წარმოდგენილია სხვადასხვა თვალსაჩინოებები, პლაკატები, პრეზენტაციები, ინსტრუმენტები, ლეპტოპი, ხმის გამაძლიერებელი, ელ.რესურსების მბულები და სხვა. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სასკოლო სივრცეში, სწავლა-სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ მატერიალური რესურსები. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით, რაც საშუალებას აძლევს, როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლას აქვს შიდა სპორტული დარბაზი. სპორტის დარბაზში დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები, ტანვარჯიშული კედელი, ტანვარჯიშული სკამები. დარბაზში აქვთ ყველა საჭირო სპორტული ინვენტარი: მაგიდის ჩოგბურთი, ფაზლი ხალიჩა (ტანვარჯიშისთვის), საკმაო რაოდენობის კონუსი (ფიშკა) მოედნის მოსანიშნად, კეგლები ბოულინგისთვის, ჰულაჰუპი/რგოლი და ბურთები. ეზოში არ აქვთ სპორტული მოედანი, თუმცა აქვთ ხელოვნურ საფარიანი სივრცე მცირე ფიზიკური აქტივობისთვის. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, მასშტაბური სასკოლო სპორტული ფესტივალების განსახორციელებლად იყენებენ სკოლის ახლოს მდებარე კეთილმოწყობილ სპორტულ მოედანს. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრის წევრებთან შეთანხმების შედეგად. **რჩევა:** სასურველია კათედრის ოქმს დანართის სახით ახლდეს დამატებითი რესურსების ჩამონათვალი. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი და გასაუბრებაზე გამოკვეთილი დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს. **ინდიკატორი 2.2.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

შპს სკოლა პოლიგლოტში ვიზიტის პერიოდში დასაქმებული იყო: დირექტორი-1; დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობითი პროცესების მენეჯერი-1; დირექტორის მოადგილე-საორგანიზაციო პროცესების მართვის მენეჯერი-1; უფროსი მასწავლებელი-34; მოწვეული მასწავლებელი-7; მასწავლებლობის მაძიებელი-1; სპეციალური მასწავლებელი-1; ფინანსური მენეჯერი-1; ხარისხის მართვის მენეჯერი-1; მთავარი ბუღალტერი-1; კომპანიის მდგრადი განვითარების მენეჯერი-1; ოფისმენეჯერი-1; დაცვა-1; არაფორმალური განათლების მართვის მენეჯერი-1; ბიბლიოთეკარი-1; ფსიქოლოგი-1; ექიმი-1; შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი-1; გახანგრძლივებული ჯგუფის ხელმძღვანელი-1; საინფორმაციო მენეჯერი-1; დამხმარე მასწავლებელი-2; დამლაგებელი-2; მეეზოვე-1; მზარეული-2; მზარეულის დამხმარე-3.

emis-ის ბაზის მონაცემებზე დაყრდნობით და პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა 7 მოწვეული მასწავლებელი. შრომითი ხელშეკრულებით მათთან განსაზღვრული იყო კანონმდებლობის შესაბამისად საათობრივი დატვირთვა არაუმეტეს 9 საათისა. თუმცა, სკოლის საათობრივი ბადის შესწავლის საფუძველზე ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ ყველა მათგანთან დარღვეული იყო ეს პირობა და მათი საათობრივი დატვირთვა შეადგენდა 12-დან 18საათს. აღნიშნული ეწინააღმდეგება კანონმდებლობას (ზოგადი განათლების კანონი მუხლი 2, პუნქტი ღ9). გარდა ამისა, სკოლას ვიზიტის პერიოდშიც არ ჰქონდა გამოცხადებული კონკურსი მასწავლებელის პოზიციაზე, რითაც შესაძლებელი იქნებოდა საჭირო ადამიანური რესურსის მოძიება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰყავდა კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი მის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად.

დაწესებულებამ **არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა emis-ს ბაზა და საათობრივი ბადე,** რომლის მიხედვით დასტურდება, რომ დაცულია მოწვეული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა კანონმდებლობის შესაბამისად.

მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება 8 საათს. ამასთანავე სკოლას www.teacherjobs.ge გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი. საათობრივი ბადისა და emis-ს ბაზის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ **ინდიკატორი 2.2.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსების ამსახველი ფოტომასალა;
- 2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასწავლო რესურსების ნუსხა;
- ბრძანება გარე კონკურსის გამოცხადებაზე;
- საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- ემისის ბაზა;
- საათობრივი ბადე;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- www.teacherjobs.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ	☒ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ

შეესაბამება ☒არ შეესაბამება	შეესაბამება ☐არ შეესაბამება	შეესაბამება ☐არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებული პირები, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პედაგოგები კურიკულუმის განვითარებას მოიაზრებენ ციკლურ პროცესად და განიხილავენ მას სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილად. კურიკულუმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობით ხდება. კონკრეტულად, კათედრაზე ერთად შეიმუშავებენ ურთიერთდასწრებისა და ურთიერთშეფასების გეგმასა და ინსტრუმენტებს, ამზადებენ რეკომენდაციებს და გამოვლენილ პრობლემაზე ორიენტირებულად გეგმავენ მოსწავლეებისთვის საჭირო აქტივობებს. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). კურიკულუმის მონიტორინგს უზრუნველყოფს დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესების მიმართულებით და ხარისხის მენეჯერი. **ინდიკატორი 2.3.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც იკვეთება საკვანძო საკითხები სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებასთან მიმართებით. გარდა ამისა, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განხორციელებული შემოქმედებითი ბუნების დავალებების რევიზიას ახორციელებენ პრობლემის გამოკვეთაზე ორიენტირებულად. მათ აქვთ სწორი ხედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შეუძლიათ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენონ პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის. **ინდიკატორი 2.3.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარება და მხარდაჭერა. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“, რომელიც დირექციასთან ერთად ინაწილებს პასუხისმგებლობას გააუმჯობესოს სწავლა-სწავლების ხარისხი, განავითაროს სკოლის თანამშრომლობითი კულტურა. ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს დამტკიცებული დებულების მიხედვით, რომლის თანახმად ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შედეგების ანალიზი, დაკვირვების შედეგები განიხილება მასწავლებელთან ერთად და გაიცემა რეკომენდაციები მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად. პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და გასცემენ განვითარებაზე ორიენტირებულ, არგუმენტირებულ უკუკავშირს. მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ისინი ცდილობენ ისწავლონ წარსულ გამოცდილებაზე და გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. მასწავლებლები, მონიტორინგსა და შეფასებას საკუთარ საქმიანობაზე თავად ახორციელებენ გაკვეთილზე ურთიერთდასწრებით. მიღებული უკუკავშირის შედეგად ყურადღებას ამახვილებენ იმ საკითხებზე, რომლებიც ეხმარება მათ, ასახონ გაუმჯობესების გზები, გადაჭრან გამოკვეთილი პრობლემები. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით პედაგოგები, კათედრის წევრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს, შემაჯამებელ დავალებებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს. გამოკვეთენ პრობლემურ საკითხებს და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობენ გააუმჯობესონ სასწავლო პროცესის ხარისხი. **ინდიკატორი 2.3.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლა პოლიგლოტი კურიკულუმის მეთოდოლოგია (2023 წლის 15.08. ბრძანება N2/1-12);

- ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;
- ხარისხის მართვის მენეჯერის, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესების მართვის მენეჯერის, პედაგოგების კურიკულუმის ანგარიშები;
- კურიკულუმის ანალიზი;
- კათედრის ოქმები და ანგარიშები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები, ანგარიშები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი თანაბარ ძალას ანიჭებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, რაც თავის მხრივ, მოიაზრებს სწავლის შედეგების დიაგნოსტირებას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება დაწყებით საფეხურზე ხორციელდება განმავითარებელი (I-IV და V კლასის პირველი სემესტრი) და განმსაზღვრელი (V კლასის მეორე სემესტრი-VI კლასები) შეფასების რუბრიკებით, ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრები ცალკეულ ინსტრუმენტებზე და პრაქტიკებზე დაყრდნობით აწარმოებენ ჰოლისტურ შეფასებას. შეფასება არის ინტეგრირებული და ერთიანი და ამასთან, მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით **ინდიკატორი 2.3.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის მიერ ყველა საგანში გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა და მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად, მაგ: ფსიქო-ემოციური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე,

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.3.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუს მიხედვით სკოლაში მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. ასევე, იყენებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, მოსწავლეთა შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი (შუალედური წერები), რაც თითოეული მოსწავლის მიღწევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეფასების საშუალებას იძლევა. გასაუბრებისას გამოიკვეთა, მასწავლებლები შეფასებას ახორციელებენ სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, რაც იძლევა მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინების საშუალებას, მისი მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას. საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებუული შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. სისტემატურად ხდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ვლინდება ძლიერი და სუსტი მხარე და მუშავდება რეკომენდაციები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სისტემატურად იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებს. კერძოდ, გამოკითხვა, დაკვირვება, ინტერვიურება და სხვა. შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებით ადგენენ მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა აზრს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. სკოლას აქვს და სამომავლოდაც გეგმავს შუალედური წერების განხორციელებას. ყოველივე ეს მოწმობს, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. **ინდიკატორი 2.3.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას, მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. გასაუბრებისას გამოიკვეთა კათედრის წევრთა მზაობა ურთიერთდაკავშირებულად, სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით შეძლონ დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მაგალითად, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ. **ინდიკატორი 2.3.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები;
- კითხვარები;
- მოსწავლეთა ნაშრომები;
- ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;
- ხარისხის მართვის მენეჯერის, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესების მართვის მენეჯერის, პედაგოგების კურიკულუმის ანგარიშები;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრები ორიენტირებული არიან განახორციელონ მიმდინარე პროცესების მუდმივი შესწავლა და რეფლექსია. შესაბამისად, მათ შეუძლიათ ძალისხმევა მიმართონ დასახული მიზნების მიღწევისა და გაუმჯობესებისაკენ. კერძოდ, ისინი იცნობენ კონკრეტულ საკვანძო საკითხებს, რაც განაპირობებს ამ ინდიკატორის დაკმაყოფილებას. ესენია, მაგალითად, წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილება, ამ გამოცდილების გათვალისწინებით გასაზიარებელი გამოცდილება სასკოლო საზოგადოებაში, ახალი წლის დაგეგმვისას გასათვალისწინებელი ასპექტები ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლის და მშობლის დონეზე და ა.შ. **ინდიკატორი 2.4.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2 **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. სკოლის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი რევიზიის პროცედურები იძლევა იმის საშუალებას, რომ სკოლამ ყოველწლიურად უზრუნველყოს სასწავლო წლის შეჯამებისას შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით კურიკულუმის გაუმჯობესება. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები განიხილავენ მიმდინარე პროცესს და გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზებზე დაყრდნობით ცვლიან თავიანთ პრაქტიკას. ცვლილებების ასახვა რევიზირებულ კურიკულუმში ვლინდება სასწავლო რესურსებისა თუ მიდგომების შეცვლით/დამატებით. **ინდიკატორი 2.4.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;
- ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;
- ხარისხის მართვის მენეჯერის, სასწავლო მენეჯერის, პედაგოგების კურიკულუმის ანგარიშები;
- კურიკულუმის ანალიზი;
- კათედრის ოქმები;
- შეფასების რუბრიკები;



აღმზრდელობითი პროცესების მართვის

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 16.10.2025წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: